

მწვანე შუქი ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე

A5



ონოფრიშვილი მიღწეულით ამაყობს, პარლამენტი კი განმარტებებს ითხოვს

A6



რაც უნდა სკანდალური იყოს, რეფორმა დროზე უნდა დაამთავრო

B1

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 14 აპრილი, 2005 წელი. №84 (944)

ფასი 50 თეთრი

# გაზსადენის პრივატიზაცია შეჩერებულია

### ბუშის ვიზიტის წინ ხელისუფლება პოზიციებს "არბილებს"

*კონრად ადენაუერის ფონდი, გაზეთი "24 საათი" და "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" გუშინ შეეცადა, ერთ მაგიდასთან შეეკრიბა სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე, ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური, საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი დავით ინგოროყვა, ენერგოუსაფრთხოების სფეროში მოღვაწე ქართველი ექსპერტები და ქვეყნის მაგისტრალური გაზსადენების შესაძლო პრივატიზებაზე, ქვეყნის უსაფრთხოებაზე ჟურნალისტების თანდასწრებით ემსჯელათ, რათა ხელისუფლების პოზიცია გარკვევით ჩამოყალიბებულიყო. ეს მცდელობა ნაწილობრივ წარმატებული აღმოჩნდა - მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ დისკუსიაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა, ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა ცალსახად დააფიქსირა, რომ მაგისტრალების პრივატიზების საკითხი, ამ ეტაპზე, მთავრობაში არ განიხილება. თუმცა, ეჭვი იმის თაობაზე, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში ისევ შეიძლება დადგეს, მინისტრს ბოლომდე არ გაუფანტავს.*



*მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვა ამ ეტაპზე დღის წესრიგში არ დგას, განაცხადა ნიკა გილაურმა.*

გუშინ ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურისა და საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტის დავით ინგოროყვას პრეზენტაციებიდან ნათლად გამოჩნდა, რომ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების პრივატიზების აუცილებლობის გასამაგრებელი ისეთი არგუმენტი - ამ მაგისტრალების სავალალო მდგომარეობა და მათი რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხების არარსებობა - პრაქტიკულად, მოხსნილია: მინისტრი და კორპორაციის პრეზიდენტი გუშინ, ერთი მხრივ, თავად გაზსადენების მართვაში მიღწეულ წარმატებებზე, დანაკარგების შემცირების ტენდენციაზე, რუსეთისადმი დავალიანების გადახდის დაწყებაზე საუბრობდნენ; მეორე მხრივ კი, საკმაოდ ნათლად მიუთითებდნენ, რომ მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხებს, სავარაუდოდ, დონორები გაიღებენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# დეპუტატები ლიცენზიებზე "ლიცენზიას" არ იძლევიან

გიორგი ასანიშვილი

*ქვეყნის უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების ერთმა ხელმა არ იცის, რას აკეთებს მეორე: გუშინ, ზუსტად იმ დროს, როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილი სახელმწიფო კანცელარიაში ლიცენზიების შემცირებისა და მათი გაცემის წესის გამარტივებაზე საუბრობდა, ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ლაშა გოცირიძემ დეპუტატებს წარუდგინა კანონპროექტი, რომლის თანახმადაც, თამბაქოსა და ნავთობპროდუქტების ბიზნესი მთლიანად ლიცენზირებადი უნდა გახდეს.*

მთავრობა საკანონმდებლო ორგანოსგან ითხოვს თანხმობას, რომ ლიცენზირებას დაექვემდებაროს იმპორტიორის მიერ თამბაქოს ნაწარმის იმპორტი და საბითუმო მიწოდება (ლიცენზიის საფასური - 450 ლარი), მწარმოებლის მიერ თამბაქოს ნაწარმის წარმოება და საბითუმო მიწოდება (200 ლარი), პირის მიერ თამბაქოს ნაწარმის საბითუმო (200 ლარი) და საცალო (150 ლარი) მიწოდება, იმპორტიორის მიერ ნავთობპროდუქტების იმპორტი და საბითუმო მიწოდება (3000 ლარი), მწარმოებლის მიერ ნავთობპროდუქტების წარმოება და საბითუმო მიწოდება (3000 ლარი), პირის მიერ ნავთობპროდუქტების საბითუმო (3000 ლარი) და საცალო (1000 ლარი) მიწოდება, აგრეთვე, ნავთობპროდუქტების გადაზიდვა (2000 ლარი).

გაგრძელება A3 გვერდზე

## სამართალი

### თვითმარქვია "ტერორისტს" ფსიქიატრიულ ექსპერტიზას ჩაუტარებენ



ჩოჩიშვილის განცხადებას აბსურდულს უწოდებენ მისი მეუღლე და მეზობლები. მათი განმარტებებით, მერაბ ჩოჩიშვილს ტერაქტის განხორციელება არ შეეძლო, ვინაიდან ბოლო ექვსი თვის განმავლობაში იგი საწოლიდან არ ამდგარა.

A4

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7-A8

## გამარჯვებული ხვალ გამოვლინდება

**დასრულდა გაზეთ "24 საათის" და მისი პარტნიორი ავიაკომპანია "ბრითიშ ეარვეიზის" ერთობლივი კონკურსი. ვიქტორინა-კონკურსში მონაწილე ჩვენი გაზეთის მკითხველთა დიდმა ნაწილმა საკონკურსო შეკითხვებს სწორი პასუხი გასცა. ხვალ, 15 აპრილს, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართება ვიქტორინა-კონკურსის ბოლო ფაზა: გათამაშდება ლატარია, რომელიც გამოავლენს "ბრითიშ ეარვეიზის" რეგულარული რეისის, თბილისი-ლონდონი-თბილისის ორი ბილეთის მფლობელს. მათ, ვინც სწორი პასუხები გამოგზავნა, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით უკვე ეცნობათ ლატარიაში მონაწილეობის თაობაზე. ლატარია ჩატარდება "შერატონ მეტეხი პალასის" დარბაზ "ბალავარში", პარასკევს, 15 აპრილს, 17 საათსა და 30 წუთზე.**

## ამინდი

| | 14/4 | 15/4 | 16/4 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 23 | 19 | 24 |
| ქუთაისი | 26 | 24 | 23 |
| ბათუმი | 21 | 24 | 21 |
| სოხუმი | 26 | 24 | 21 |
| ფოთი | 24 | 26 | 22 |
| თელავი | 23 | 18 | 23 |
| ზუგდიდი | 27 | 26 | 23 |
| გორი | 19 | 16 | 19 |
| ახმეტა | 23 | 18 | 24 |
| ჭიათურა | 22 | 20 | 21 |
| გაგრა | 23 | 22 | 18 |
| სამტრედია | 24 | 24 | 23 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8300 |
| ევრო | 2.3682 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.4651 |
| რუბლი | 0.0658 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| სამართალი | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | ევროისტორია | B6 |
| პროექტი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# რევოლუციური ლოზუნგები საქართველოში კვლავ აქტუალურია

### ხელისუფლება კორუფციის შემდეგ ბიუროკრატიის დამარცხებას გეგმავს

თამარ ხორბალაძე

*საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის სხდომების ხშირი სტუმარი არ გახლავთ, მხოლოდ - განსაკუთრებულ შემთხვევებში. გუშინაც ქვეყნის პირველი პირი პირველი საათისთვის სხდომას "რევოლუციური ლოზუნგებით" შეუერთდა:*

**"საქართველოში ბიუროკრატიის წინააღმდეგ ახალი რევოლუცია უნდა მოხდეს,"** - განაცხადა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მთავრობის სხდომაზე.

მან მინისტრთა კაბინეტს წარუდგინა ე.წ. ანტიბიუროკრატიული პროექტი, რომელიც პრეზიდენტის თქმით, ხალხს, რომელმაც რევოლუცია მოახდინა, მისცემს საშუალებას, დაამარცხოს ბიუროკრატია.

**"რევოლუცია მოახდინა ხალხმა და თუ აქამდე ამ ხალხს ბიუროკრატია უწესებდა კანონს, ახლა ხალხი დაუწესებს ბიუროკრატიას კანონებს,"** - განაცხადა სააკაშვილმა, რომელმაც ჩამოთვალა ის სფეროები, სადაც გაუქმდება ლიცენზიები; მათ შორის არის "საქსტანდარტი", რომელიც, პრეზიდენტის თქმით, გაუქმდება. ასევე გაუქმდება კვების პროდუქტების ხარისხის შემოწმების კომისია, ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევა და კონტროლი, აღარ იქნება ლიცენზიები საქალაქთაშორისო გადაზიდვებზე. გარდა თბილისისა, დანარჩენ საქართველოში მომუშავე ყველა მძღოლს შეეძლება გადაიყვანოს მგზავრები ნებართვების გარეშე. ასევე გაუქმდება წინასარეისო სამედიცინო შემოწმებაც,

გაგრძელება A6 გვერდზე

# ხელისუფლება საკუთარი შეცდომების გამოსწორებას ცდილობს

გიორგი ასანიშვილი

ერთ-ერთი პირველი ღონისძიება, რომელიც "ვარდების რევოლუციის" შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ განახორციელა, გარე ვაჭრობის სფეროში წესრიგის დამყარების მცდელობა იყო. გარკვეული ძალების მხრიდან მძაფრი წინააღმდეგობის მიუხედავად, პრობლემა თითქოს გადაიჭრა კიდეც, მაგრამ სამართალდამცავი სტრუქტურების წაყრუების გამო, გარე ვაჭრობის მოწესრიგების საკითხი დღეისათვის ისევ აქტუალური გახდა.

გუშინ იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტში დაიწყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი ცვლილებების განხილვა, რომლებიც გარე ვაჭრობასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს უკავშირდება. კანონპროექტის თანახმად, დადგენილი წესებიდან გადახვევის შემთხვევაში, პიროვნება 20-დან 50 ლარამდე ოდენობის თანხით დაჯარიმდება, სამართალდამცავებისთვის ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევისას კი გათვალისწინებულია ჯარიმა 50-დან 100 ლარამდე ან ადმინისტრაციული პატიმრობა შვიდ დღემდე ვადით.

გაგრძელება A6 გვერდზე



*ბიძინა ბრეგაძის განმარტებით, კანონის დამრღვევი პირები სასჯელს პოლიციის განყოფილებებში არსებული წინასწარი დაკავების საკნებში მოიხდიან.*

# გარე ვაჭრობის აღკვეთის ეფექტური მეთოდი

ნანა ქადაგიშვილი

*უკანონო ვაჭრობის აღკვეთის დროებითი ღონისძიებების შესახებ თბილისის მერის განკარგულების შესრულება, მაკონტროლებელთა ჯგუფმა, "დეზერტირების ბაზრის" მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული პირველი რეიდით დაიწყო.*

გარე მოვაჭრეები დეზერტირების ბაზრის მიდამოებიდან გუშინ პირველად არ აუყრიათ, მაგრამ გუშინდელ რეიდს მაინც განსაკუთრებული წივილ-კივილი მოჰყვა. გამგებელმა და პოლიციამ რაც წაგვართვა, თან წაიღო, რაც არა და, გაგვისრისაო, - კიოდნენ ბაზრის წინ შეკრებილი მოვაჭრეები. მართლაც, ვაგზლის ტერიტორიის გარე ვაჭრობისგან გათავისუფლება მერიამ შარშან დაიწყო, მაგრამ აქამდე მაკონტროლებელთა საქმიანობა, ძირითადად, მოვაჭრეთა აყრით შემოიფარგლებოდა.

სამეწარმეო საქმიანობის შესახებ კანონი, რომელიც მაკონტროლებელს სავაჭრო ობიექტების სასამართლოს ნებართვის გარეშე შემოწმებას უკრძალავს, გარე ვაჭრობას არ ეხება, რადგან გარე ვაჭრობა, დიდი ხანია, კანონით აკრძალულია. ამის მიუხედავად, გარე მოვაჭრეთათვის პროდუქციის მასობრივად ჩამორთმევის ფაქტები იშვიათი იყო, რადგან სანიტარიული კოდექსის თანახმად, სანიტარიულ ინსპექციას გარე ვაჭრობის ადგილებიდან მხოლოდ მალფუჭებადი პროდუქტის ამოღების უფლება აქვს. გუშინ კი სანიტარიული, ვეტერინარული სამსახურების, გამგეობის წარმომადგენლებისა და პოლიციისგან შემდგარმა ჯგუფმა გარე მოვაჭრეებს, დიდი გაწევ-გამოწევის შემდეგ, პროდუქტი ყუთებიანად ჩამოართვა და ლაბორატორიაში შესამოწმებლად წაიღო.

გაგრძელება A2 გვერდზე

## რუისპირი ნაღმზე იდგა

თუ დღემდე თეალავის რაიონის სოფელ რუისპირის მოსახლეობისთვის სოფლის ბოლოში განლაგებული ჰიდრომეტეოლოგიური ბაზა საშიშროებას წარმოადგენდა, ამჯერად, როგორც შს სამინინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის კახეთის რეგიონული სამმართველოს ხელმძღვანელობა ირწმუნება, სოფელს საშიშროება აღარ ემუქრება. გუშინ აღნიშნულმა უწყებამ ბაზის საწყობში არსებული სეტყვის საწინააღმდეგო ორმოცამდე ჭურვი, რომლებიც ასაფეთქებელ ნივთიერებას - ჰექსოგინს შეიცავდა, სოფლის ტერიტორიიდან გაიტანა.

**"აღნიშნული ჭურვები 30-პროცენტიანი ტროტილის სიმძლავრეს აღემატება. თუ აქ არსებული ჭურვების რაოდენობით ვიმსჯელებთ, იგი არა მარტო ერთ კონკრეტულ უბანს, არამედ მთელ სოფელს უქმნიდა საშიშროებას,"** - განმარტავს აღნიშნული უწყების ხელმძღვანელი ნუგზარ ხუცაიძე.

აღსანიშნავია, რომ ამ ტერიტორიაზე 1999 წლიდან 2003 წლამდე, თავდაცვის სამინისტროს საარტილერიო დივიზიონი იდგა, ხოლო მას შემდეგ, რაც აქ ტრაგედია დატრიალდა და ჰიდრომეტეოროლოგიური ბაზა საშიშ ზონად გამოცხადდა, სამინისტრომ ნაწილი გაიყვანა. შეგახსენებთ, რომ 2002 წელს სეტყვის საწინააღმდეგო ჭურვებზე სამი ჯარისკაცი აფეთქდა. აქედან მხოლოდ ერთის გადარჩენა მოხერხდა. სპეციალისტების თქმით, ჭურვები ისეთ ნივთიერებებს შეიცავს, რომლებიც სანადირო თოფის ტყვიების დამზადებისთვის გამოიყენება.

მას შემდეგ კი, რაც დანაღმული ტერიტორიიდან საჯარისო ნაწილი გავიდა, ჰიდრომეტეოროლოგიური ბაზის საწყობი დაუცველი იყო, მიუხედავად იმისა, რომ მას რვა დარაჯი ჰყავდა. თუ ვის დაქვემდებარებაში იყო დღემდე ეს დაწესებულება, თვით დარაჯებისთვისაც კი გაურკვეველია, რადგან მათ ჯამაგირს სოფლის საკრებულო უხდიდა.

*24 საათი*

## აჭარა მორიგ ენერგოკრიზისს გადაურჩა

*მოთხოვნა აჭარის ენერგოკომპანიისადმი, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრისთვის 400 000 ლარის დავალიანების გადახდის შესახებ, ნაწილობრივ შესრულებულია. აჭარის მოსახლეობას უშუქობა აღარ ემუქრება.*

შორენა გოგიჩაიშვილი
*ბათუმიდან*

აჭარის ენერგოკომპანიის მიერ დაგროვილი დავალიანების გადაუხდელობის გამო, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი რეგიონს დენის გათიშვით ემუქრებოდა. აჭარის ენერგოკომპანიამ საბითუმო ბაზრის ანგარიშზე 200 000 ლარი გადარიცხა, თუმცა დავალიანების დაფარვისათვის კიდევ 200 000 ლარია საჭირო.

ამ დროისათვის მიღწეულია შეთანხმება, რომ აღნიშნულ თანხას საბითუმო ბაზარი ეტაპობრივად მიიღებს. აჭარის ენერგოკომპანიის გენერალური დირექტორი რუსლან ხოროშვილი იმ გაურკვევლობებზე საუბრობს, რომელიც აჭარის ჩაბნელების მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო **"აქ გაურკვევლობებს ჰქონდა ადგილი. კერძოდ, ისინი არ თვლიდნენ ჩვენს მიერ დენის იმპორტისათვის გადახდილ თანხებს, რაც, ბაზრის წესებით, რეალურად უნდა ჩაგვეთვალოს მიმდინარე გადასახადებში. ეს სიტუაცია იქნა გასწორებული, შეცდომები აღმოფხვრილი, და მოლაპარაკებების შედეგად დადგინდა, რომ დაახლოებით 200 000 ლარი იყო ის თანხა, რომელიც ჩვენ უნდა გადაგვერიცხა დამატებით, რაც ჩვენ გავიზიარეთ, რადგან ეს იყო ლეგიტიმური მოთხოვნა,"** - განაცხადა რუსლან ხოროშვილმა

აჭარის ენერგოკომპანიის გენერალური დირექტორის განცხადებით, აჭარის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის მხრივ პრობლემები არ არის მოსალოდნელი. შეფერხების წარმოქმნის შემთხვევაში, აჭარა ელექტროენერგიას თურქეთიდან მიიღებს. მისი განმარტებით, ენგურჰესის გაჩერება, სავარაუდოდ, მაისის მეორე ნახევრისათვის გადაიდო. ფაქტობრივად, ამ სიტუაციაში საქართველოს უკვე ჭარბი ელექტროენერგია აქვს და შეზღუდვები მოსალოდნელი არ არის.

**"რაც შეეხება მომავალს. მაისში, როცა ენგურჰესი გაჩერებული იქნება, ჩვენ გვაქვს გეგმები იგივე თურქეთიდან დენის იმპორტისა. უბრალოდ, ჩვენ ამ დროისთვის თურქეთიდან ელექტროენერგიის მიღება აღარ გვჭირდება. როგორც კი ეს პრობლემა წამოიჭრება, ჩვენ გვაქვს ამის რესურსი, და მომავალი ზამთრისთვისაც ელექტროენერგიის მოწოდება თურქეთიდან, ფაქტობრივად, გარანტირებული გვექნება,"** - აღნიშნა გენერალურმა დირექტორმა.

## აჭარის ეკონომიკური განვითარების და ბათუმის განაშენიანების პროგრამები მალე ამოქმედდება

შორენა გოგიჩაიშვილი
ჯაბა ანანიძე
*ბათუმიდან*

აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის პროგრამის საჯარო განხილვა მოაწყო. განხილვაში სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები, ასევე კომერციული ბანკის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

პროგრამა ითვალისწინებს სამეწარმეო სუბიექტების სუბსიდირებას მოკლე და გრძელვადიანი კრედიტებით. რეგიონის განვითარების პროგრამას ბანკებთან ერთად ბიუჯეტიც დააფინანსებს, რისთვისაც ბიუჯეტიდან უკვე მილიონი ლარია გამოყოფილი. პროგრამის პროექტის მიხედვით, ხარჯების 70 პროცენტი კომერციულმა ბანკებმა უნდა დააფინანსონ, თუმცა განხილვაში მონაწილე ბანკების მმართველებმა რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში ცვლილებების შეტანა მოითხოვეს. მათი განცხადებით, სასურველია, სახელმწიფო და კომერციულმა ბანკებმა ეს პროექტი თანაბრად დააფინანსონ. პროგრამა აჭარაში დაახლოებით ორ თვეში ამოქმედდება და ძირითადი პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის დარგები იქნება.

აგრეთვე, ქალაქ ბათუმის მერიამ და რაიონულმა სამსახურებმა ერთად იმსჯელეს ქალაქისა და რაიონის განვითარების პროგრამაზე, რომლის პროექტის საჯარო განხილვა უკვე მოაწყვეს. სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ამ პროგრამაში მითითებულია რეგიონის ეკონომიკის განვითარების რეალიები. პროექტის განხილვის მიზანი იყო ქალაქის განაშენიანების სტატუსის გარკვევა, ასევე განკარგულებების გაცემა კერძო პირების უძრავ-მოძრავ ქონებაზე, მშენებლობების პარამეტრების საკითხი და სხვა კონკრეტული პრობლემები. **"პროექტი, რომელიც უახლოეს ხანში განხორციელდება, დაგვეხმარება ქალაქის განაშენიანებისთვის ნორმატიული აქტის შემუშავებაში, რომელიც ქალაქის საკრებულომ უნდა მიიღოს. ეს არის ის ბაზისი, რომელსაც დავეყრდნობით მომავალ მუშაობაში, ისე, რომ ქალაქი იყოს განაშენიანებული თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, რომ არ დაირღვეს ძველი ბათუმის იერსახე,"** - განაცხადა ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელმა მურმან დუმბაძემ. ქალაქის განაშენიანების პროგრამა საბიუჯეტო თანხებით დაფინანსდება.

## გარე ვაჭრობის აღკვეთის ეფექტური მეთოდი

პირველი გვერდიდან

მოვაჭრეებს კი შეჰპირდნენ, რაც საღი და ხარისხიანი იქნება, უკან დაგიბრუნებთო, მაგრამ ბევრმა მათგანმა ხელი ჩაიქნია. **"მერის განკარგულება მაკონტროლებელს ამის უფლებას აძლევს. პროდუქტი შემოწმების მიზნით ჩამოვართვით. თანაც, გარე ვაჭრობის აღსაკვეთად ეს ყველაზე ეფექტური მეთოდია,"** - დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელმა რამაზ სულამანიძემ მერის განკარგულებაში აღნიშნული "კანონის ფარგლებში ქმედითი ღონისძიებების გატარება" ასე განგვიმარტა.

დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე გუშინდელი რეიდის მოწყობა ბაზარში მოვაჭრეთა აქციამაც დააჩქარა. გუშინ დილით მათ ქუჩა გადაკეტეს და გარე ვაჭრობის აღკვეთა მოითხოვეს, ეგენი რომ გარეთ დგანან, ხალხი ბაზარში აღარ შემოდისო, - ჩიოდნენ. დღეისთვის "დეზერტირების ბაზარში" 700 თავისუფალი დახლია, თუმცა ამ ადგილებით გარე მოვაჭრეთა დაინტერესება ვერაფრით მოხერხდა.



პოლიციამ და გამგებელმა პროდუქცია წაგვართვეს, ჩიოდნენ მოვაჭრე ქალები.

**"ყველამ რომ გარეთ ივაჭროს, ბაზარმა როგორ უნდა იმუშაოს. შენობაში 150 ათასი ლარის რემონტი ნასესხები ფულით გავაკეთეთ, ეს თანხა ხომ უნდა გადავიხადოთ? ყოველდღიურად ერთი მეტრი სიგრძის დახლში მოვაჭრე 3 ლარს იხდის. ამ თანხის გადახდა ყველა მათგანს შეუძლია, მაგრამ მაგათ მაინც გარეთ ვაჭრობა ურჩევნიათ, იქ არაფერს გვახდევინებენო. მე რომ ბიუჯეტში გადასახადი არ გადავიხადო, ვინმე მაპატიებს? მაგათ რატომ პატიობენ? შემოვიყვანეთ ყველა გარე მოვაჭრე, მივეცით დახლები, მაგრამ ყველას ბაზრის შესასვლელში უნდა დგომა,"** - აცხადებს ბაზრის დირექტორი თემურ პაპუაშვილი. გარე მოვაჭრეები კი ამბობენ, რომ ბაზარში "ჩეკი" 3-5 ლარი ღირს, მათ კი დღეში ამაზე მეტი არ რჩებათ.

## სპორტული დარბაზის გახსნა დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა

თამაზ ხარაიშვილი
*ოზურგეთიდან*

ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედში დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა საშუალო სკოლის სპორტული დარბაზის კაპიტალური რემონტის დამთავრება და მისი ექსპლუატაციაში გაშვება. სოფლის გამგეობის ძალისხმევით, სკოლის სპორტდარბაზი საფუძვლიანად შეკეთდა და ამიერიდან აქ ყველა პირობა არსებობს კალათბურთის, მინი ფეხბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის სექციების ნაყოფიერი საქმიანობისათვის. რა თქმა უნდა, ჩატარდება თითქმის გაუქმებული (განსაკუთრებით ზამთარში და უამინდობისას) ფიზკულტურის გაკვეთილები. ისიც სათქმელია, რომ სოფელ შემოქმედს რამდენიმე სოფელი მჭიდროდ ესაზღვრება და ამ დარბაზით სარგებლობის საშუალება არა მარტო აქაურებს, არამედ მომიჯნავე დასახლების ახალგაზრდებსაც მიეცემათ.


პრეზიდენტის რწმუნებული გურიაში საყაიმო შედეგით კმაყოფილი დარჩა.

სპორტული დარბაზის გახსნაზე სკოლის უფროსკლასელმა ვაჟებმა მხარისა და რაიონის ხელმძღვანელების გამოწვევა მიიღეს და მათ კალათბურთში ამხანაგურად გაეჯიბრნენ. მატჩი იმდენად აზარტული გამოდგა, კალათბურთი ალაგ-ალაგ გურულების საყვარელ ლელობურთს ემსგავსებოდა. სახელისუფლებო გუნდმა, რომელშიც აქტიური თამაშით გამოირჩეოდნენ მხარის გუბერნატორი ჟანი კალანდაძე და ოზურგეთის რაიონის გამგებელი ვალერი ჩიტაიშვილი, ბოლო წამებში შეძლო ანგარიშის გათანაბრება და შეხვედრა გადაიყვანა ოვერ-ტაიმში, რომელიც აღარ შედგა, რადგან მეტოქეებმა ჩათვალეს, რომ საყაიმო შედეგი ზუსტად შეეფერებოდა იმდღევანდელ განწყობილებას.

## ინვალიდები სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას ითხოვენ

თამარ დვალი

*უკვე მესამე დღეა, რაც სახალხო დამცველის ოფისში შეზღუდული შესაძლებლობის პირები შიმშილობის აქციას მართავენ. ისინი ხელისუფლებისაგან "დისკრიმინაციული პოლიტიკის" შეცვლას, ხოლო ფინანსთა სამინისტროსაგან - 1998, 1999 წლებში მითვისებული თანხის დაბრუნებას ითხოვენ. კერძოდ, საუბარია 691 ათას ლარზე, რომლის გასტუმრებაც უზენაესმა სასამართლომ ფინანსთა სამინისტროს დააკისრა, თუმცა ეს გადაწყვეტილება დღემდე არ აღსრულებულა. გუშინ აქციის მონაწილეები ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე მიიწვიეს და პრობლემების გადაჭრას დაჰპირდნენ.*

**"წელიწადზე მეტია, ამ ქვეყანაში რევოლუცია მოხდა, თუმცა ჩვენ მიმართ არაფერი შეცვლილა. დღემდე არ არის გააზრებული სახელმწიფო პოლიტიკა. არაკომპეტენტური ხალხი ქაოტურად წყვეტს, თუ რა პრობლემებია მოსაგვარებელი და რა პრიორიტეტებია დასასახი სახელმწიფო ბიუჯეტში. სახელმწიფო პროგრამებში, ნაცვლად ინტეგრაციის კომპონენტისა, ჩაწერეს გონებადაქვეითებულთა და უნარშეზღუდულთა ჰოსპისური მომსახურება. ეს ნიშნავს, რომ სადღაც უნდა შეგვყარონ და გვკვებონ,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას აქციის მონაწილე გიორგი ძნელაძემ. მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი ოთხჯერ გაიზარდა, მათთვის მაინც არაფერი შეცვლილა. პირიქით, გაზრდის ნაცვლად, ინტეგრაციის პროგრამები 40 პროცენტით შემცირდა.

**"ფინანსთა სამინისტრომ 1998, 1999 წლებში თანხა, რომელიც ჩვენს კუთვნილ ანგარიშზე უნდა დამჯდარიყო, ბიუჯეტში წაიღო. ამას მოჰყვა სამწლიანი სასამართლო პროცესი. უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს თანხა დაგვბრუნებოდა, რაზეც აღსრულების ფურცელიც გაიცა. წელიწადნახევარია, კანონის აღსრულებას ამაოდ ველით. ფინანსთა სამინისტრომ 2002, 2003 წლებში აღძრული საქმე მოიმიზეზა და განგვიცხადა: სანამ საქმე წარმოებაშია, ფულს ვერ მოგცემთო,"** - აღნიშნეს მოშიმშილეებმა.

გუშინ პარლამენტარებმა აქციის ოთხი მონაწილე ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე მიიწვიეს და ვითარებაში გარკვევის შემდეგ, დახმარებას დაჰპირდნენ. **"ჩვენ შიმშილობას მანამ არ შევწყვეტთ, სანამ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება არ აღსრულდება. როგორც პარლამენტში დაგვპირდნენ, ორ დღეში ჯანდაცვის, ფინანსთა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტები შეიკრიბებიან და ჩვენ მიერ დაყენებულ საკითხებს განიხილავენ, რაც დიდ მიღწევად მიგვაჩნია,"** - აღნიშნეს პარლამენტიდან გამოსულმა აქციის მონაწილეებმა.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე "პოლიტიკურად და ტაქტიკურად გაუმართლებლად" მიიჩნევს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებას ევროკავშირიდან მუდმივი წარმომადგენლის გამოწვევის თაობაზე.

როგორც ბრიუსელიდან დაბრუნებულმა პარლამენტის თავმჯდომარემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილება ევროკავშირში საქართველოს ელჩის გამოწვევის შესახებ მისი ოფიციალური ვიზიტის დასრულებამდე მოვიდა. "მინდა, ვკითხო საგარეო საქმეთა სამინისტროს, რატომ იყო ელჩის გამოწვევის გადაწყვეტილება ასეთი სასწრაფო," - აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ბენელუქსის ქვეყნებში საქართველოს ელჩის თანამდებობაზე დეპუტატ სალომე სამადაშვილის კანდიდატურის წარდგენა მისი და პრეზიდენტ სააკაშვილის შეთანხმებით განხორციელდა.

"მესმის, რომ ისინი საჭირონი არიან იქ, სადაც პრეზიდენტი მიანიშნებს, მაგრამ აქტიური ადამიანების გარეშე პარლამენტის დატოვებას ამიერიდან მხარს აღარ დავუჭერ," - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ. "პრეზიდენტს ჰქონდა სურვილი, რომ სალომე სამადაშვილს აქტიურად ემუშავა ევროკავშირში და მან ეს გააკეთა," - დასძინა მან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "კონსერვატორი" პარლამენტარი კახა კუკავა ირაკლი ჩუბინიშვილის რუსეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნას მიზანშეუწონლად მიიჩნევს. "კარგი იქნებოდა, ამ პოსტზე გამოცდილი კანდიდატურის შერჩევა," - განაცხადა მან. რაც შეეხება ბენილუქსის ქვეყნებში ელჩის თანამდებობაზე პარლამენტარ სალომე სამადაშვილის კანდიდატურის წარდგენას, კუკავა ამ ფაქტს მიესალმება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს დღეს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ტერი დევისი ეწვევა.

ვიზიტის დროს, გენერალური მდივანი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს, საგარეო საქმეთა მინისტრ სალომე ზურაბიშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის ხელმძღვანელობას შეხვდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, ახლები" ზუგდიდის გამგებლის კახა არდიას სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულად დანიშვნას მიზანშეუწონლად მიიჩნევენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ორდღიანი სამუშაო ვიზიტით გუშინ თბილისს რუს ექსპერტთა დელეგაცია ეწვია, რომელსაც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი იგორ სავოლსკი ხელმძღვანელობს. ვიზიტის მიზანს რუსეთსა და საქართველოს შორის სამხედრო საკითხებისა და ჩარჩო-ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა წარმოადგენს. ქართული მხრიდან მოლაპარაკებებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე წარმართავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო ისრაელთან, კანადასთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, იაპონიასთან და ევროკავშირის ქვეყნებთან ცალმხრივ უვიზო რეჟიმს აწესებს.

ეს გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობამ ევროპასთან ინტეგრაციის ტემპის დასაჩქარებლად მიიღო, - განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კახა სიხარულიძემ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე.

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ამ გადაწყვეტილების შედეგად წელიწადში 1 200 000 ლარს იზარალებს, შედეგი გაცილებით მეტი იქნება, რადგან უვიზო რეჟიმი ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას და აღნიშნულ ქვეყნებთან დაახლოების პროცესს დააჩქარებს. **ინტერ-პრესი**




მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა ნიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# გაზსადენის პრივატიზაცია შეჩერებულია

პირველი გვერდიდან

მიუხედავად იმისა, რომ გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა დავით ინგოროყვამ დონორებისგან მოზიდული მთლიანი თანხის დასახელებაზე, მოლაპარაკებების მიმდინარეობის მოტივით, თავი შეიკავა, ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა ერთი ციფრი მაინც დაასახელა: ათასწლეულის ფონდი, "მილენიუმ ჩელენჯი" ანუ ამერიკის მთავრობა ამ მიზნით 40 მილიონი დოლარის გრანტის გამოყოფაზე უკვე თანახმაა. აღნიშნული სამუშაოები, როგორც შეხვედრაზე გაირკვა, 2005 წლიდან 2008 წლამდე უნდა ჩატარდეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, მილსადენი, რომელიც 15 წელია არ გარემონტებულა, სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

დონორებს შორის მინისტრი ასევე ასახელებს მსოფლიო ბანკს, ევროპის განვითარების ბანკს, ტასის-ის პროგრამას, კომპანია "ბიპი"-ს და ირანის მთავრობას. დავით ინგოროყვას ინფორმაციით, ჩრდილო-სამხრეთის მაგისტრალის რეაბილიტაციას, პირველ ეტაპზე, 40 მილიონი აშშ დოლარი სჭირდება. გილაურის ზემოხსენებული ინფორმაციიდან გამომდინარე, ამ თანხის მოძიება დღეს მთავრობისთვის პრობლემა აღარ არის. მართალია, ინგოროყვას თქმით, 60 მილიონი დოლარი სისტემის მდგრადი განვითარებისთვის არის საჭირო, გაზსაცავებისთვის - 60 მილიონი აშშ დოლარი და სისტემის სრულ რეაბილიტაციას კი - 613 მილიონი აშშ დოლარი სჭირდება, რაც უდავოდ შთამბეჭდავი თანხებია, მაგრამ დონორების სერიოზულობა, მათი დაინტერესება და ენერგოსექტორის მესვეურთა გუშინდელი ოპტიმიზმი ნათელყოფს, რომ მოლაპარაკებები ამ მიმართულებით საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს.

მარტივად ეს ნიშნავს, რომ დასავლეთი საკუთარი ენერგოინტერესების ლობირებისთვის, ანუ, შესაძლოა, სწორედ რუსული "გაზპრომის" სცენარის დასაბლოკად, საკმაოდ სერიოზული თანხების გაღებისთვის მზადყოფნას გამოთქვამს და ეს მზადყოფნა გახლავთ კიდეც არგუმენტი, რომელმაც ბუშის მოსალოდნელ ვიზიტთან და ამერიკის ხელისუფლების საკმაოდ ნათელ პოზიციასთან ერთად, საქართველოს ხელისუფლების საპრივატიზაციო გეგმები გაზსადენებთან დაკავშირებით შეაფერხა.

თუმცა ის, რომ მაგისტრალური გაზსადენების პრივატიზების საკითხი ბოლომდე მოხსნილი არ არის, მინისტრ გილაურის გამოსვლაშიც გამოჩნდა. მან აღნიშნა, რომ გარდა რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხების დეფიციტისა, პრივატიზაციის აუცილებლობის დასაბუთებაში მნიშვნელოვანია ისიც, რომ გაზსადენი ბუნებრივი აირით უნდა შეივსოს, რისთვისაც დამატებითი გარანტიებია მისაღები.

ექსპერტი ლიანა ჯერვალიძე მიიჩნევს, რომ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების გაყიდვის საკითხი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ძალზე სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს. **"რუსული სახელმწიფო მონოპოლისტისთვის - "გაზპრომისათვის" მაგისტრალური გაზსადენების მიყიდვა პრივატიზაციის ჭრილში არ უნდა განიხილებოდეს. პრივატიზაცია სახელმწიფო ქონების კერძო მფლობელობაში გადაცემას გულისხმობს და არა საკუთარი სახელმწიფო კომპანიისათვის ქონების ჩამორთმევას და არაკეთილგანწყობილი ქვეყნის სახელმწიფო მონოპოლისტი კომპანიისათვის გადაცემას. ამასთან ერთად, რუსული სახელმწიფო მონოპოლისტი კომპანია "გაზპრომისათვის" მაგისტრალური მილსადენების მიყიდვა სერიოზულ საფრთხეებს შეიცავს ქვეყნის შიდა პოლიტიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით; ხელს შეუშლის ქვეყანაში ტრანსპარენტული და კონკურენტული გაზის ბაზრის ჩამოყალიბებას. თუ იმ საფრთხეებს გავითვალისწინებთ, რომელიც ამგვარი გადაწყვეტილების მიღებას აუცილებლად მოჰყვება, "გაზპრომისათვის" მაგისტრალური მილსადენების მიყიდვა, მხოლოდ მილსადენების არსებული ტექნიკური მდგომარეობის საბაბით, სერიოზული მიდგომა არ არის,"** - აცხადებს ექსპერტი.

ექსპერტი თეიმურაზ გოჩიტაშვილი კი მიიჩნევს, რომ ქვეყნის მაგისტრალური გაზსადენების გასხვისებით ქვეყანა გაცილებით ნაკლებ ეკონომიკურ დივიდენდს მიიღებს, ვიდრე მათი შენარჩუნების და, მით უმეტეს, ამოქმედების შემთხვევაში. **"თუ საქართველოს გაზის სექტორში შექმნილ მდგომარეობას და მისი განვითარების შესაძლო სცენარებს ქვეყნის მთავრობის მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და რეგიონული ბაზრის შესაძლო ცვლილებების გათვალისწინებით განვიხილავთ, გამოჩნდება, რომ თუ საქართველოში "სიღარიბის დაძლევის" პროგრამა წარმატებით განხორციელდა (ეს კი აუცილებლად უნდა მოხდეს), უახლოეს წლებში გაზის მოხმარება ქვეყანაში მნიშვნელოვნად მოიმატებს. ამ ჭრილში, ქვეყნის მაგისტრალური გაზსადენების გასხვისების ნაცვლად, შესაძლებელია, მათ მაქსიმალურ დატვირთვაზე ვიფიქროთ, რადგან ამ მაგისტრალების სატრანზიტო ფუნქციების გამოყენება მათი რეაბილიტაციის შესაძლებლობასაც მოგვცემს. თუ არჩევანი მაინცდამაინც პრივატიზაციაზე იქნა შეჩერებული, მაგისტრალის საფასური უნდა დადგინდეს არა "მილების" ფასის მიხედვით, არამედ იმ შესაძლო მოგების გათვალისწინებით, რომელიც შეიძლებოდა იდეალურ შემთხვევაში საქართველოს მიეღო. ამ შემთხვევაში კი, მაგისტრალური გაზსადენის ფასი 450 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბებს,"** - მიიჩნევს გოჩიტაშვილი.

როგორც შეხვედრაზე გაირკვა, გარანტია იმისა, რომ მთავრობა უახლოეს მომავალში მაგისტრალური გაზსადენების პრივატიზების საკითხს არ მიუბრუნდება, სამი საკითხის წარმატებულ გადაწყვეტაზეა დამოკიდებული. კერძოდ, სექტორში კორუფციის აღმოფხვრაზე, გაზის დანაკარგების შემცირებასა და გაზის საფასურის ამოღების მაჩვენებლების გაზრდაზე.

ამ უკანასკნელი პრობლემის მოსაგვარებლად, მთავრობა გაზის მომხმარებელთა გამრიცხველიანებას და სექტორის რეგულირების მოდიფიცირებას გეგმავს.

კერძოდ, გამრიცხველიანების პროცესი მიმდინარეობს ყაზბეგი-საგურამოს მონაკვეთზე და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნულ სამუშაოებს მსოფლიო ბანკი და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებენ. **"აღნიშნული მრიცხველის მაჩვენებლის გაყალბება შეუძლებელია, თუ, რა თქმა უნდა, მას ჩაქუჩით ვინმე არ დაამტვრევს,"** - განაცხადა ინგოროყვამ.

გარდა ამისა, გუშინვე გაირკვა, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე გაზის მრიცხველი დამონტაჟდება. გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტის დავით ინგოროყვას განცხადებით, მრიცხველის დამონტაჟებას ევროკომისია დააფინანსებს, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება საქართველოში შემოსული ბუნებრივი აირის მოცულობისა და ხარისხის დადგენა. სამონტაჟო სამუშაოები 2005 წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს.

მანამდე კი, მთავრობა გაზის მოწოდებაზე ზრუნვას აგრძელებს, რადგან, როგორც ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, ამჟამად მთავარი პრიორიტეტი ქვეყნის უწყვეტი გაზმომარაგებით უზრუნველყოფაა და არა მილსადენის პრივატიზაცია. ენერგეტიკის მინისტრის ინფორმაციით, საქართველოს 2007 წლისთვის 3,3 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი დასჭირდება, ამიტომ, ხელისუფლება აირის შესაძლო მომწოდებლებთან მოლაპარაკებებს იწყებს. მათ შორის, შესაძლოა, საქართველომ ირანს ბუნებრივ აირში ელექტროენერგია გაუცვალოს. ამის თაობაზე მოლაპარაკებები ირანსა და საქართველოს მთავრობებს შორის 26 აპრილს გაიმართება. ბუნებრივი აირის მიღება და ელექტროენერგიის ირანისათვის გადაცემა აზერბაიჯანის გავლით უნდა მოხდეს. **"აზერბაიჯანიდან საქართველოში ბუნებრივი აირის შემოტანის და საქართველოდან აზერბაიჯანში ელექტროენერგიის გადაცემის ტექნიკური შესაძლებლობები რეალურად არსებობს, ამიტომ საქართველო, ენერგოუსაფრთხოების აუცილებლობიდან გამომდინარე, დივერსიფიკაციის ამ მიმართულებას აუცილებლად განიხილავს,"** - აღნიშნა გილაურმა.

ასე რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, გუშინ საქართველოს ხელისუფლების საბოლოო გადაწყვეტილება მაგისტრალურ გაზსადენებთან დაკავშირებით არ გაცხადებულა, თუმცა ცხადი გახდა, რომ აშშ-ს პრეზიდენტს საქართველოს ხელისუფლება სამი თვის წინანდელისგან განსხვავებული, მნიშვნელოვნად "შერბილებული" და გააზრებული პოზიციით ხვდება.

*24 საათი*


კომპანია GMS

სამუშაოდ იწვევს

25 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს სამედიცინო პროდუქციის მენეჯერის თანამდებობაზე.

მოთხოვნები:

- სამედიცინო განათლება;
- უცხო ენა;
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

გთხოვთ მოგვაწოდოთ რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენაზე.

ელ-ფოსტა: info@siesta.ge

ფაქსი: 32 02 91

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ:

ტელ: 53 72 18 15-17 საათამდე


## დეპუტატები ლიცენზიებზე "ლიცენზიას" არ იძლევიან



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*გიგა ბოკერია: "მთავრობამ უნდა დადოს გარანტიები, რომ ახალი კანონი კორუფციული გარიგებების საფუძველი არ გახდება".*

პირველი გვერდიდან

ფინანსთა მინისტრის მოადგილის ლაშა გოცირიძის განმარტებით, "ნავთობპროდუქტებისა და თამბაქოს სფეროში ლიცენზიების გაცემის შესახებ" კანონის მიღების საჭიროება კონტრაბანდასთან ბრძოლის აუცილებლობამ და საქონლის აღრიცხვიანობის საჭიროებამ გამოიწვია. ამასთან, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელს მეწარმეებისთვის დიდ შეღავათად მიაჩნია ის, რომ ბიზნესმენებს ურთიერთობა მხოლოდ ერთ სახელმწიფო უწყებასთან (ფინანსთა სამინისტროსთან) მოუწევთ, რაც მათ ზედმეტ ბიუროკრატიულ ბარიერებს ააცილებს.

თუმცა, მთავრობის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებიც კი ეჭვის თვალით უყურებენ. **"დაუჯერებელია, რომ ამ კანონის მიღებით კონტრაბანდა აღიკვეთება. ის, დადებითის ნაცვლად, უარყოფით შედეგებს უფრო მოიტანს: რამდენიმე კომპანიის მიერ მოხდება თამბაქოსა და ნავთობპროდუქტების ბიზნესის მონოპოლიზება და ამ სფეროში ფასების დადგენა ორი-სამი ფირმის გადასაწყვეტი იქნება,"** - აცხადებს ფრაქცია "მაჟორიტარის" წევრი ნუგზარ შოშიაშვილი.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია კი ხაზს უსვამს, რომ იქ, სადაც არის ზედმეტი რეგულირება, კორუფციული გარიგებებისა და მონოპოლიზაციის საფრთხე ყოველთვის დიდია. **"სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის სფეროში დამატებითი ჩარევა რაიმე გარდაუვალი აუცილებლობით უნდა იყოს მოტივირებული, რის აუცილებლობასაც ამ შემთხვევაში ვერ ვხედავ. მთავრობამ უნდა დადოს გარანტიები, რომ ახალი კანონი კორუფციული გარიგებების საფუძველი არ გახდება,"** - მოითხოვს გიგა ბოკერია.

ვინაიდან "ნავთობპროდუქტებისა და თამბაქოს სფეროში ლიცენზიების გაცემის შესახებ" კანონპროექტი ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს და უმრავლესობის შიგნით აზრთა სხვადასხვაობაა, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე დოკუმენტს კენჭი არ უყარეს. გადაწყდა, რომ კანონპროექტთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნები მთავრობას გადაეცეს და ფინანსთა სამინისტროს საკანონმდებლო ინიციატივას დეპუტატები მოგვიანებით კიდევ ერთხელ დაუბრუნდნენ.

## ჩვეულებრივ საჩუქარზე მეტი

თამაზ ხარაიშვილი
ოზურგეთიდან

დღეს გურიის გლეხობა ახალ ფეხადგმულ ბავშვს შეიძლება მივამსგავსოთ. გლეხს საკუთრებაში გადაეცა ჰექტარნახევარი მიწა, რომელმაც ოჯახი კიდეც უნდა არჩინოს და მტერ-მოკეთეში გამოაჩინოს. უმეტესობას ამ მიწის დიდი ნაწილი ჩაით აქვს დაკავებული. ბევრმა ჩაი ამოძირკვა და სხვა კულტურები მოაშენა, ბევრი ისევ უვლის უკეთესი მომავლის იმედით, მაგრამ ეს, ჯერჯერობით, უსარგებლო და უნაყოფო შრომაა. პირად საკუთრებაშის არსებულის მიწის ერთი ნაწილი კი ხეხილს უჭირავს და მას შემდეგ, რაც ამ რეგიონში ხილის გადამამუშავებელმა მრეწველობამ ჩაილურის წყალი დალია, ფაქტობრივად, შემოსავალს არ იძლევა. ამ ბოლო დროს ხეხილს ამინდიც დაემტერა და მოსავალმაც საგრძნობლად იკლო. მიწის უდიდეს ფართობზე გურული გლეხი ერთნაწილიან კულტურებს თესავს და ყველაზე მეტ თავსატეხად სწორედ მიწის ამ ნაწილის დამუშავება აქვს გადაქცეული. სიმინდმა, ლობიომ და სოიომ მისთვის საარსებო მნიშვნელობა შეიძინა. ისინია ძირითადი საკვები. სიმინდის საშუალებით ინახავს წლიდან წლამდე ოჯახსაც და ფრინველ-ცხოველსაც.

დღეს გლეხი შიშითა და ძრწოლით ელის საგაზაფხულო ხვნა-თესვის დაწყებას. ყოველდღიურად ძვირდება საწვავი, იზრდება სასუქების, ტექნიკით მომსახურების ფასები, თავად ეს ტექნიკაც იშვიათობად იქცა, დეფიციტურია მარაგ ნაწილებიც. სტატისტიკური მონაცემებით, რაც დრო მიდის, მით უფრო იზრდება დაუხნავ-დაუთესავი სავარგულების მოცულობა. ბოლო ორ წელიწადში 20-30 პროცენტი მიწისა დაუმუშავებელი რჩება. ამდენად, ხვნა-თესვის კამპანიის დროს ხელის შეშველება სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ამიტომაც არ არის 20 ლიტრი საწვავი ჩვენი გლეხობისათვის ხელწამოსაკრავი საჩუქარი.

გაგრძელებულმა ზამთარმა ადამიანებს ბევრი პრობლემა შეუქმნა, ხვნა-თესვის კამპანიაც დაყოვნდა. იმ 20 ლიტრი საწვავის გარეშე, კიდევ უფრო დაყოვნდებოდა. შარშან ამ დროს 70-80 თეთრიანი დიზელის საწვავის შეძენა ჭირდა და ახლა თითქმის ორგზის ფასმომატებულს მოსახლეობის ნახევარი ვერ შეიძენდა და ნახნავ-ნათესიც, შარშანდელთან შედარებით, განახევრდებოდა. ისიც არაა პატარა საქმე, რომ რიგ რაიონებში ტექნიკის სერვის-ცენტრები შეიქმნა. ისინი შეღავათიან ფასებში მოემსახურებიან მიწათმოქმედებს.


ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღა" თავისუფალი აზრის რადიო 107.4

„რადიო დილა" ყოველ დღე კვირის გარდა 10-დან 12 საათამდე



ქართული სკაბრეზული ფოლკლორის ნიმუშების კრებული "მოუკრეფავნი"

წამყვანები : ქეთევან კორძახია,გაგა [illegible]

სტუმარი : თამარ ლებანიძე,გამომცემლობა "დიოგენე",დირექტორი

თამარ ლებანიძე: მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს სკაბრეზული ლიტერატურის გამოცემის პრაქტიკა. საქართველოში წლების განმავლობაში საზოგადოების მიერ იგნორირებული იყო სკაბრეზული ფოლკლორი. ახლა გამომცემლობამ "დიოგენე" გამოსცა ხალხური სკაბრეზული პოეზიის, ანდაზების, შაირების კრებული, რომელშიც შესულია ვახუშტი კოტეტიშვილისა და თედო სახოკიას მიერ შეგროვებული მასალა.

საქართველოს ტელეკომი

TELECOM GEORGIA

საუბრობთ საზღვარგარეთ?

თუ თქვენ სარგებლობთ საერთაშორისო კოდით 8-10

მაშინ თქვენ გელით სიურპრიზი...

საქართველოს ტელეკომი აცხადებს ყოველთვიურ კონკურსს

"თვის ნომინანტები" და გამოავლენს ყველაზე აქტიურ და ერთგულ მომხმარებლებს.

გამარჯვებულები ყოველთვიურად დაჯილდოვდებიან უფასო სალაპარაკო დროით და სპეციალური პრიზებით.

ესაუბრეთ მსოფლიოს.

გადაიხადეთ დროულად.

დაელოდეთ ჩვენს ზარს და, რაც მთავარია, უამრავ სიურპრიზს!

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 44 28 28 www.telecom.ge


## სკანდალური დაფუძნებები

*უკვე რამდენიმე დღეა, "ნაციონალური მოძრაობის" პარტიული ბოსები დასავლეთ საქართველოს სტუმრობენ. მას შემდეგ, რაც "ნაციონალები" და "დემოკრატები" ოფიციალურად გაერთიანდნენ, ახალი პარტიის რეგლამენტის თანახმად, აუცილებელი გახდა რაიონული ორგანიზაციების დაფუძნება. ეს პროცესი ხმაურით მიმდინარეობს. განაწყენებული ადამიანები მმართველ პარტიას პატარ-პატარა სკანდალებს უწყობენ.*

გუშინ კი საქმე იქამდე მივიდა, რომ პარტიის პრესცენტრი იძულებული გახდა, ოფიციალური განცხადება გაევრცელებინა და დებოშის მომწყობები პარტიის დისკრედიტაციის მცდელობაში დაედანაშაულებინა.

ოთხი დღის წინ ზუგდიდში ჩასულ "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტებს იმ შენობაში შესვლა გაუჭირდათ, სადაც პარტიული ორგანიზაციის დაფუძნება უნდა მომხდარიყო - ზუგდიდელ პარლამენტარ ნაზი არონიასა და ადგილობრივ ხელისუფლებაზე განაწყენებულმა ადამიანებმა მიხეილ მაჭავარიანს (იგი პარტიაში რეგიონებს კურირებს) შესასვლელი კარისაკენ გზა გადაუკეტეს და მისთვის საკუთარი გასაჭირისა და პრეტენზიების გამოთქმა დააპირეს.

დაახლოებით იგივე სურათი იყო იმერეთშიც. კერძოდ, ბაღდათში, სადაც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ იმერეთის ვიცე-გუბერნატორის შალვა დათუაშვილის არჩევა გააპროტესტეს და მას კორუმპირებული ჩინოვნიკი უწოდეს.

გუშინ კი "ნაციონალებს" პრობლემები შეექმნათ თერჯოლაში, სადაც რაიონული ორგანიზაციის კონფერენციაზე პარტიის ყოფილმა აქტივისტმა ზაურ გურგენიძემ და მისმა მხარდამჭერებმა საპროტესტო აქციის მოწყობა გადაწყვიტეს და პარტიის რიგების დატოვების თაობაზე საჯარო განცხადება გააკეთეს.

ამ ყველაფერმა კი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" აიძულა, ოფიციალურად განეცხადებინა, რომ **"ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლები პარტიის ღირსების შელახვის და რაიონული ორგანიზაციების კონფერენციების ჩაშლას ცდილობენ."**

როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, მალე "ნაცმოძრაობის" აქტივისტები აღმოსავლეთ საქართველოში გაემგზავრებიან. ყველა ნიშნის მიხედვით, ქართლშიც და კახეთშიც მათ ანალოგიური სურათი დახვდებათ, რადგან მმართველ პარტიაზე განაწყენებული, მისი ყოფილი ადგილობრივი აქტივისტები მოსახლეობის ნაწილის ქუჩაში გამოყვანას შეეცდებიან. მით უფრო, რომ რაიონებში სოციალური პრობლემები თავზესაყრელადაა და მათი მოგვარება ვერა და ვერ ხერხდება.

*24 საათი*

# იმერეთი ახალი შერიფის მოლოდინშია

*იმერეთის სამხარეო პოლიციაში მორიგი საკადრო ცვლილების მოლოდინში არიან. იმერეთის შს მთავარი სამმართველოს უფროსის გია კაჭარავას თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე ინფორმაცია ქუთაისში მას შემდეგ გავრცელდა, რაც ყოფილი გუბერნატორი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა.*

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

გია კაჭარავა გია გეწაძის ახლო მეგობარია. ოთხი თვის წინ, სწორედ ამ ახლობლობის გამო, კაჭარავამ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსობა იმერეთის პოლიციის თავკაცის სავარძელზე გაცვალა. მან ამ თანამდებობაზე ზურაბ ჩიკვაიძე შეცვალა, რომელიც მაშინდელმა შს მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, ნინო ბურჯანაძის ოჯახთან ახლობლობის გამო, გაათავისუფლა თანამდებობიდან.

გია კაჭარავა, გია გეწაძისგან განსხვავებით, იმერეთში თავის სამუშაო ოთახს არ გაურბის, ის იქ კიდეც მუშაობს და კიდეც ცხოვრობს.

**"მე სახლი არ მაქვს ნაქირავები და ამ ოთახში ვცხოვრობ. ნათესავებიც მყავს აქ, მაგრამ მათთან არ მივდივარ. სამი მეტრითაა დაცილებული ჩემი საძინებელი სამუშაო ოთახიდან",** - აცხადებს გია კაჭარავა "24 საათთან" საუბარში.

იმერეთის პოლიციის შეფი თბილისში დაბრუნების იმედით ასეთ "საველე პირობებში", უკვე ოთხი თვეა, ცხოვრობს. იგი მოსალოდნელი წასვლის თაობაზე ინფორმაციას, ჯერჯერობით, ასაიდუმლოებს, მაგრამ ამბობს, რომ მზად არის ზემდგომის ნებისმიერ ბრძანებას დაემორჩილოს.

**"მე სამხედრო მოსამსახურე ვარ და რასაც მიბრძანებენ, იმას გავაკეთებ. როცა მეტყვიან, - უნდა წახვიდე, - წავალ. იმერეთში მუშაობას დადებითად გავიხსენებ, მიუხედავად იმისა, რომ არასასიამოვნო და არასწორი ბარიერები მქონია, თუმცა ჯერჯერობით აქ ვარ და არსად არ მივდივარ",** - აცხადებს გია კაჭარავა.

იმერეთის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის პოსტზე მუშაობის პერიოდში გია კაჭარავამ მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილება, უფრო სწორად, მონაცვლეობა, მხოლოდ ქუთაისის პოლიციის მაგალითზე განახორციელა. ოთხი თვის მანძილზე ქუთაისის პოლიციაში ორი უფროსი გამოიცვალა. ერთ-ერთი მათგანი თენგიზ მორჩაძე ზესტაფონის პოლიციას ჩაუდგა სათავეში, მეორე კი, რომან მამრიკიშვილი თერჯოლის პოლიციის უფროსად გადაიყვანეს. გია კაჭარავა საკადრო მონაცვლეობის გაგრძელებას არც მისი მოსალოდნელი წასვლის წინ გამორიცხავს.

**"ეს მონაცვლეობა გამოწვეულია იმით, რომ აუცილებელია სისხლის გადასხმა. თუ არ შეიცვალა სისხლი, მუშაობას აზრი ეკარგება, რადგან ეჩვევიან დანაშაულს და დანაშაულის გაუხსნელობას. გამომდინარე იქიდან, რომ ერთიანდება საგამოძიებო და პოლიცია, არ გამოვრიცხავ საკადრო ცვლილებას, უფრო სწორად, კადრების დამატებას",** - აცხადებს გია კაჭარავა.


*იმერეთის შს მთავარი სამმართველოს უფროსი გია კაჭარავა.*

იმერეთის რეგიონი, ე.წ. ავტორიტეტების სიმრავლის გამო, ყოველთვის ითვლებოდა საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე ცხელ კრიმინალურ ცენტრად. მიუხედავად ამისა, გია კაჭარავა, ამ მხრივ, რეგიონში განსაკუთრებულ სირთულეს ვერ ხედავს.

**"რთული ვითარებაა იმდენად, რამდენადაც ყველაზე დიდი რეგიონია. მე მთელ დასავლეთ საქართველოს ვემსახურები, სადაც, დაახლოებით, მილიონი მცხოვრებია. სხვა მხრივ, ყველა რაიონში თითქმის ერთნაირი მდგომარეობაა - დანაშაული ხდება და იხსნება კიდეც",** - აცხადებს მხარის პოლიციის უფროსი.

იმერეთში მოღვაწეობის პერიოდში გია კაჭარავა ყველაზე რეზონანსულ დანაშაულად გასულის წლის დეკემბრის ბოლოს ჭიათურაში მომხდარ მკვლელობას ასახელებს, რომელსაც ერთი ოჯახის ხუთი წევრი ემსხვერპლა. ამ ხნის მანძილზე იმერეთში სულ ცხრა მკვლელობა მოხდა და ცხრავე გაიხსნა.

ორი დღის წინ იმერეთის სამხარეო პოლიციამ კიდევ ერთი მკვლელობის საქმე გახსნა. 11 აპრილს ჭიათურელი პავლე ქამუშაძე საჩხერის რაიონის სოფელ ქორეთში დააკავეს. მან 3 აპრილს ხარაგაულის რაიონის სოფელ ამაშუკეთში, ბიძის საგარაკო სახლში მეგობარი ქალი - 2 შვილის დედა, ნანა ჭრელაშვილი ყელში თოკის წაჭერით დაახრჩო.

იმერეთის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის თქმით, ქუთაისში ეგრეთ წოდებული ქუჩის დანაშაული მნიშვნელოვნად შემცირდა მას შემდეგ, რაც ქალაქში საპატრულო პოლიცია ამოქმედდა. საპატრულო პოლიციამ ქუთაისში გასული წლის 25 დეკემბრიდან დაიწყო ფუნქციონირება.

გია კაჭარავას სავარაუდო შემცვლელის ვინაობა, ჯერჯერობით, არ სახელდება. გავრცელებული ინფორმაციით, ახალი რწმუნებულის მოსვლამდე იმერეთის სამხარეო პოლიციას უხელმძღვანელებს კაჭარავას ამჟამინდელი მოადგილე, იმერეთის შს მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსი, ზაზა გორგოძე.




- მხარი დავუჭიროთ ფლორანს ობენასს და ჰუსეინ ჰანუნს
- "ლიბერასიონის" ჟურნალისტი და მისი თარჯიმანი 2005 წლის 5 იანვარს უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ ერაყში.
- მათი თავისუფლება, ეს ჩვენი თავისუფლებაა

# თვითმარქვია "ტერორისტს" ფსიქიატრიულ ექსპერტიზას ჩაუტარებენ

*ორი თვის წინ გორში მომხდარი ტერაქტის საქმე ჯერ კიდევ გაუხსნელია. მიუხედავად იმისა, რომ ძალოვანი სტრუქტურების პირველი პირები ტერაქტიდან რამდენიმე დღეში უკვე ირწმუნებოდნენ,- მომხდართან დაკავშირებით ახალი მნიშვნელოვანი დეტალებია ჩვენთვის ცნობილი, კონკრეტული ეჭვმიტანილების დასაკავებლად სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს და ჟურნალისტები უახლოეს ხანში ყველაფერს შეიტყობთო, - ტერაქტის საქმესთან დაკავშირებული არანაირი დეტალი დღემდე ცნობილი არ გამხდარა, გარდა შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის მიერ კარგა ხნის წინ გახმაურებული მონაცემებისა.*


*მერაბ ჩოჩიშვილი დანაშაულის მიზეზად შურისძიებას ასახელებს.*

მინისტრის თქმით, ავტომანქანა, რომელშიც ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო დამონტაჟებული, სახელმწიფო ნომრით "EEE 486" მყიდველმა 700 დოლარად შეიძინა, ისე, რომ მისი ტექნიკური მდგომარეობით არ დაინტერესებულა და არც თავის სახელზე გადაუფორმებია. დასახელებული მანქანა საპატრულო პოლიციას დარღვევის ფაქტზე არ დაუფიქსირებია. ავტომანქანა, რომელშიც ნაღმი იყო დამონტაჟებული, შემთხვევის ადგილზე, სავარაუდოდ, სხვა მამაკაცმა მიიყვანა. მამაკაცი, რომელსაც შს მინისტრმა ამფეთქებელი უწოდა, მისივე ინფორმაციით, "სავარაუდოდ, პროფესიით მლესავია, გაჯზე და ცემენტზე მუშაობს". უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის მაშინ ვანო მერაბიშვილმა წარმოადგინა ორი ფოტორობოტი - ერთი მანქანის მყიდველის, ხოლო მეორე პროფესიით მლესავი ამფეთქებელის, რომლის გარეგნული ნიშნებიც ძალიან ემთხვევა მანქანის მყიდველისას. ისიც, დაახლოებით, 170-175 სმ სიმაღლისაა, ღია წაბლისფერი თმით.

ინციდენტი, რომლესაც სამი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, სამართალდამცველებს და საზოგადოებას გუშინ 40 წლის გორელმა მერაბ ჩოჩიშვილმა შეახსენა, რომელიც ქვემო ქართლში მოქმედ ტელეკომპანია "თრიალეთში" გამოცხადდა და განაცხადა, რომ 1 თებერვალს გორის ცენტრში მომხადი აფეთქება მისი მოწყობილი იყო. გუშინ მთელი დღის განმავლობაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ტერაქტის ამღიარებელი მერაბ ჩოჩიშვილი თბილისში, ასათიანის ქუჩაზე მდებარე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უნდა გადმოეყვანათ. თუმცა, ფსიქიატრიული ინსტიტუტის და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის განყოფილების ხელმძღვანელობა აცხადებდა, რომ მათთვის მსგავსი გადაწყვეტილების შესახებ არავის არაფერი უცნობებია. გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტრო მერაბ ჩოჩიშვილთან და მის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებულ ყველა კითხვას დუმილით პასუხობდა. **"ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა და სამინისტრო, ჯერჯერობით, არანაირ კომენტარს არ აკეთებს"**, - ასეთი გახლდათ შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის განმარტება. როგორც მოგვიანებით გახდა ჩვენთვის ცნობილი, მერაბ ჩოჩიშვილი გუშინ თბილისში, უშიშროების სამსახურში გადმოიყვანეს. მას ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარდება.

გორში, კომბინატის დასახლებაში მცხოვრები მერაბ ჩოჩიშვილი ამტკიცებს, რომ ცნობილი ტერაქტით მან შვილის გარდაცვალების გამო იძია შური. გავრცელებული ინფორმაციით, ჩოჩიშვილის ვაჟი რამდენიმე თვის წინ მძიმე ბრალდებით დააპატიმრეს; ციხეში ფიზიკური ზეწოლის შედეგად პატიმარი გარდაიცვალა.

ჩოჩიშვილის განცხადებას აბსურდულს უწოდებენ მისი მეუღლე და მეზობლები. მათი განმარტებებით, მერაბ ჩოჩიშვილს ტერაქტის განხორციელება არ შეეძლო, ვინაიდან ბოლო ექვსი თვის განმავლობაში იგი საწოლიდან არ ამდგარა და მედიკამენტების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. ჩოჩიშვილის მეუღლის მტკიცებით, მისი ქმარი ფსიქიურად დაავადებულია, რაც ბოლო დროს ოჯახში შექმნილმა მძიმე პირობებმა, კერძოდ, მათი შვილის დაპატიმრებამ გამოიწვია.

რუსუდან ნამორაძე ადასტურებს ქმრის განცხადებას იმის შესახებ, რომ მისი შვილის მდგომარეობა საპყრობილეში მართლაც საკმაოდ მძიმე იყო და ციხის ადმინისტრაციამ ამას ყურადღება არ მიაქცია.

**"ჩემს ქმარს შვილის გარდაცვალების შემდეგ სიცოცხლე აღარ უნდოდა. სწორედ ეს გახდა მის მიერ გუშინ გაკეთებული განცხადების მიზეზი. მას ერთი მიზანი ჰქონდა - მოხვედრილიყო ძალოვანების ზეწოლის ქვეშ. ალბათ, დარწმუნებული იყო, რომ ამ აღიარების შემდეგ ძალოვანები მას სასტიკად გაუსწორდებოდნენ, რასაც ის ვერ გაუძლებდა",** - ასე ხსნის მერაბ ჩოჩიშვილის მიერ გაკეთებულ მოულოდნელ განცხადებას მისი მეუღლე, რასაც მეზობლებიც ეთანხმებიან.

როგორი იქნება მერაბ ჩოჩიშვილისთვის ჩატარებული ფსიქიატრიული ექსპერტიზის პასუხი, უახლოეს ხანში გახდება ცნობილი. მანამდე კი სამართალდამცველები, როგორც უკვე გითხარით, კომენტარებისგან თავს იკავებენ.

# რუსთავის N2 დაწესებულებაში თაღლით პატიმართა მეორე ჯგუფი გამოავლინეს

იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ რუსთავის N2 დაწესებულებაში გამოავლინა პატიმრები, რომლებიც მოტყუებით, მობილური ტელეფონების მეშვეობით მოქალაქეებს სატელეფონო დეპოზიტების შესავსებ თანხებს სძალავდნენ.

ასეთივე ჯგუფი გენერალურმა ინსპექციამ გასულ კვირას თბილისის N1 საპყრობილეშიც აღმოაჩინა.

რუსთავის N2 დაწესებულებაში ჩატარებული ჩხრეკისას იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს 14 მობილური ტელეფონის აპარატი დამტენებით, სიმ-ბარათები, მობილური კომპანიების იმ აბონენტთა სიები, ვისაც პატიმრები ფულის გამოძალვის მიზნით ურეკავდნენ, დიდი ოდენობით თვითნაკეთი დანები, შპრიცები, ბანქოს დასტები და სხვა აკრძალული ნივთები. დაწესებულებაში აღმოაჩინეს, ასევე, ნარკოტიკული ნივთიერება - სავარაუდოდ, "ჰეროინი".

## პროექტი: "ქართული ენის, როგორც მეორე ენის, სწავლების მხარდაჭერა სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვან სკოლებში"

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს

**არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის მასწავლებელთა ტრენინგისათვის მულტიპლიკატორების (ტრენერების) შესარჩევად**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს: **"ქართული ენის, როგორც მეორე ენის, სწავლების. მხარდაჭერა სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვან სკოლებში".** პროექტის ფარგლებში იქმნება ქართული ენის კურიკულუმი არაქართულენოვანი სკოლებისათვის, მეთოდური მასალები არაქართულენოვანი სკოლების ქართული ენის მასწავლებლებისათვის.

.

აღნიშნული მასალების დამუშავების შემდეგ დაგეგმილია ტრენერების მომზადება, რომლებმაც უნდა მოახდინონ ქართული ენის მასწავლებელთა გადამზადება. ტრენერების მომზადების ციკლი ჩატარდება ივნისის ბოლოსა და ივლისის თვეში. დაგეგმილია 3 ხუთდღიანი ტრენინიგის ციკლის ორგანიზება. აღნიშნული ციკლის დამთავრების შემდეგ უნდა დაიწყოს მასწავლებელთა გადამზადების პროცესი.

მასწავლებელთა ტრენინგების ჩასატარებლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს მულტიპლიკატორების (ტრენერების) ვაკანსიაზე.

**მულტიპლიკატორების (ტრენერების) მოვალეობანი:**
- შერჩეული მულტიპლიკატორი (ტრენერი) ვალდებულია გაიაროს ტრენინგების ციკლი ივნისისა და ივლისის თვეებში.
- ვალდებულია უზრუნველყოს ტრენინგების ჩატარება სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვანი სკოლების ქართული ენის მასწავლებლებისთვის..
- ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ექსპერტების მიერ შემუშავებული კურიკულუმისა და მეთოდური სახელმძრვანელოების დახვეწაში .

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება შესაბამის დარგში.
- განათლების სისტემაში მუშაობის სულ მცირე 3 წლის სტაჟი.
- შესაბამისი საგნის სასკოლო კურსის კარგი ცოდნა.
- სასურველია მეთოდურ სახელმძღვანელოებზე მუშაობისა და მეორე ენის სწავლების გამოცდილება.
- ტრენერად მუშაობისა და ტრენინგების ჩატარების გამოცდილება.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები (ავტობიოგრაფია) და სამოტივაციო წერილი ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
0102 თბილისი, უზნაძის ქ. N52, ოთახი N329.
ტელეფონი: **95-18-42 F**
**ელ.-ფოსტა: shto1@yahoo.com**
საკონტაქტო პირი: **შალვა ტაბატაძე**
ან
ახალციხის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის განათლების რაიონულ განყოფილებებში
ან
სამცხე-ჯავახეთის სასკოლო ოლქის სამმართველოში.

განაცხადის წარმოდგენის საბოლოო ვადაა 10 მაისი.

## განცხადება

შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს კონკურსს შპს "საქართველოს რკინიგზის" "მგზავრთა გადაყვანის" ფილიალის დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატურის შესარჩევად.

**ზოგადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები**
1. წერილობითი მოსაზრებები დარგის განვითარებისა და არსებული პრობლემების დაძლევის შესახებ (არაუმეტეს 2 გვერდი);
2. უმაღლესი განათლება (სასურველია რკინიგზის ტრანსპორტის, სახელმწიფო მართვის ან მენეჯმენტის სპეციალობა);
3. ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის სტაჟი არანაკლებ 5 წელი;
4. სასურველია ჰქონდეს რკინიგზის ტრანსპორტზე მუშაობის გამოცდილება;
5. სასურველია უცხო ენების ფლობა (რუსული, ინგლისური).

**წარმოსადგენი დოკუმენტაცია**
1. ავტობიოგრაფია (CV);
2. 2 ფოტოსურათი;
3. განათლების მოწმობის ასლი (სერთიფიკატის ასლები) დედანის წარმოდგენით;
4. პირადობის მოწმობის ასლი დედანის წარმოდგენით;
5. განაცხადი თანამდებობაზე დანიშვნის შემთხვევაში მოსალოდნელ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

განაცხადები მიიღება 2005 წლის 22 აპრილის 1800 საათამდე ყოველდღიურად 1000-1800 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა) შემდეგ მისამართზე: თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზა", ადამიანთა რესურსების მართვისა და განვითარების სამსახური, II სართული, ტელ.: 56 34 08, 56 34 48, 56 46 79. ელ-ფოსტა: kadrebi@railway.ge

# ნუ გააუფასურებთ რევოლუციას!

სარა ქერი
[illegible]

ახლახან უკრაინის ახლად არჩეულმა მთავრობამ 20-30 ძირითადი საწარმოს ხელახალი პრივატიზაციის გეგმა წარმოადგინა, რომელთა პრივატიზებაც ლეონიდ კუჩმას მმართველობის დროს მოხდა. ახალი მთავრობის განცხადებით, აღნიშნული საწარმოები კანონდარღვევებით და ძალიან დაბალ ფასებში იყო გაყიდული. კერძოდ, აუქციონი, ძირითადად ერთი მყიდველის მონაწილეობით იმართებოდა, ფასების დაწესება გარიგებების საფუძველზე მიმდინარეობდა და შესაბამისად, საწარმოთა მფლობელები ძირითადად ყოფილი ხელისუფლების პოლიტიკური მოკავშირეები ხდებოდნენ.

უკრაინის მთავრობის განმარტებით, ხელახალი პრივატიზაციის მიზანი ქვეყანაში სამართლიანი ფასების უზრუნველყოფაა, თუმცა გასაკვირი არ არის, რომ აუქციონში უკვე გამარჯვებულნი ამ ნაბიჯს პოლიტიკურ ანგარიშსწორებად აღიქვამენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ბევრი აღმოჩნდა წაგებულ მდგომარეობაში სახელმწიფო ქონების გაყიდვასთან დაკავშირებული გარიგებების გამო. ხშირ შემთხვევაში, ამ გარიგებების საფუძველი საგადასახადო სისტემით მანიპულირება და ახალი მფლობელებისაგან მეტი თანხების გამოძალვა იყო. აღნიშნულის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია "იუკოსის" შემთხვევა რუსეთში, სადაც კრემლმა საგადასახადო სისტემის მანიპულირებით მოახერხა კომპანიის აქტივების ძირითადი ნაწილის სახელმწიფო მფლობელობაში მობილიზება (არაპირდაპირი ნაციონალიზაცია). სხვა შემთხვევებში კი ახალი მფლობელები იძულებულნი იყვნენ, მათ მიერ დადებულ გარიგებებზე ხელახალი მოლაპარაკებები ეწარმოებინათ.

უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იუშენკოსათვის ხელახალი პრივატიზაციის პროცესის სწორად და არგუმენტირებულად წარმართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. გაუმჭვირვალე და იურიდიულად ბუნდოვანი პროცედურები გაჭიანურებულ სასამართლო და პოლიტიკურ დავებს გამოიწვევს, რამაც მომავალ ინვესტიციებზე, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს.

უკრაინის მთავრობა წარმატებული იქნება, თუ იგი ხელახალი პრივატიზაციის წარმართვას კანონების ფარგლებში - მესაკუთრეთა უფლებების და უკრაინული თუ საერთაშორისო კანონმდებლობის დაცვით უზრუნველყოფს. ყოველივე ზემოხსენებული უზრუნველყოფა თითქმის შეუძლებელია, თუმცა წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელახალი პრივატიზაცია მორიგ პოლიტიკურ ანგარიშსწორებად იქნება აღქმული.

პრივატიზაციის პროცესის განხორციელების დეტალური პროცედურები ჯერ არ არის ცნობილი, თუმცა ლონდონში ახლახან გამართულ კონფერენციაზე უკრაინის ეკონომიკის მინისტრმა სერგეი ტერიოხინმა პრივატიზაციის პროცესში შემდეგი კომპონენტების შესრულების აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება:

- საპრივატიზაციო გარიგებების საბოლოო სიის გამოქვეყნება;

აღნიშნულ საწარმოთა ქონების შეფასება;

- მოლაპარაკებების წარმოება საწარმოთა ახლანდელ მფლობელებთან, რომელთაც, ხშირ შემთხვევაში, უპირატესი უფლება ექნებათ, თუ დააკმაყოფილებენ მთავრობის მიერ დაწესებულ ფასებსა და მოთხოვნებს;

სასამართლო განხილვა, იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე არ მიიღებს მთავრობის შემოთავაზებას;

- ხელახალი აუქციონის გამართვის შემთხვევაში, ყოფილი მფლობელის კომპენსაციის უზრუნველყოფა.

აღნიშნული პროცედურების განმსაზღვრელი წესების გამოქვეყნებისას მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ უზრუნველყოს მათი შესაბამისობა უკრაინის კანონმდებლობასა და საერთაშორისო ხელშეკრულებებთან. შესაბამისად, ნებისმიერი ხელახალი პრივატიზაციის პროცესი უნდა განხორციელდეს მაქსიმალურად მცირე დროის მონაკვეთში.

ხელახლა საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის განსაზღვრა უკვე მიმდინარეობს, თუმცა პრივატიზების პოტენციურ სამიზნეთა ინტენსიური კამპანია აკრძალულია. აღსანიშნავია ისიც, რომ გარკვეულმა ობიექტებმა თავდაპირველი პრივატიზაციის შემდეგ მფლობელები გამოიცვალეს, რაც ახლანდელ მფლობელებთან ურთიერთობას თავისთავად ართულებს. აშკარაა, რომ საპრივატიზაციო სიაში მოხვედრილი საწარმოები გაასაჩივრებენ სახელმწიფოს გადაწყვეტილებას და მიმდინარე პროცესის არაკანონიერების დამტკიცებას შეეცდებიან. გამომდინარე აქედან, მთავრობისთვის მნიშვნელოვანია, საწარმოთა ხელახალ პრივატიზაციამდე საჭირო ღონისძიებების გასატარებლად გამჭვირვალე და სამართლიანი კრიტერიუმები გამოაქვეყნოს.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ქონების ღირებულების სწორ შეფასებას - როგორც თავდაპირველი შესყიდვის დროს, ისე მიმდინარე საბაზრო ფასის განსაზღვრას. საწყისი ფასის დადგენისას, ექსპერტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა საწარმოთა საბალანსო ანგარიშგება, საბაზრო მდგომარეობა, მოუხსნელი ყადაღა, საწარმოს ვალები თუ სხვა ანგარიშვალდებულებები სახელმწიფოსა და მესამე მხარის მიმართ, არაეფექტური მენეჯმენტი, პოლიტიკური თუ სახელმწიფო რისკები და ა.შ. ქონების თანამედროვე საბაზრო ფასის განსაზღვრისას ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის ინვესტიციები და მიღწევები, რომლებიც მფლობელმა აღნიშნული დროის მანძილზე განახორციელა. ამასთან, გამჭვირვალედ და ღიად უნდა მოხდეს იმ ფირმათა შერჩევაც, რომლებიც საწარმოთა ქონების შეფასებას უზრუნველყოფენ. თითოეული საწარმოს მესაკუთრეს უნდა მიეცეს იმის საშუალება, რომ დადგენილი ფასი გადაამოწმოს ან არ დაეთანხმოს მას.

პრობლემური იქნება ფასის დაწესებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები სახელმწიფოსა და მფლობელს შორის, კერძოდ კი შესყიდვის პერიოდში არსებულ ე.წ. "ნამდვილ ფასსა" და ობიექტის საწყის ფასს შორის სხვაობის გადახდის საკითხები. ამ შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა მოახერხოს მაქსიმალურად ურთიერთმისაღები პირობების უზრუნველყოფა. სხვა უფლებებთან ერთად, კანონი მფლობელს საშუალებას უნდა აძლევდეს, სხვადასხვა ვალდებულებების შესასრულებლად და დამატებითი ინვესტიციების მოსაზიდად სესხი აიღოს. ასევე ნებადართული უნდა იყოს თანხის მატერიალური რესურსებით ჩანაცვლება. სახელმწიფოსა და მფლობელს შორის შეთანხმება უნდა იყოს საჯარო და ექვემდებარებოდეს საერთაშორისო არბიტრაჟს.

როგორც ტერიოხინმა აღნიშნა, მფლობელი, რომელიც უარს განაცხადებს თანხის გადახდაზე, სასამართლოს პასუხისგებაში გადაეცემა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ასპექტი გაცილებით მეტ დეფინიციასა და განმარტებას საჭიროებს. ბუნდოვანია, თუ რა საფუძველზე აღძრავს სახელმწიფო სასამართლო სარჩელს ურჩ მფლობელთა მიმართ; ჩაითვლება თუ არა თანხის უკან დაბრუნება, როგორც გარკვეული სახის გადასახადი და შედეგად, მოვა თუ არა წინააღმდეგობაში უკრაინის სასამართლო პროცესი მისსავე საგადასახადო კანონთან; და თუ ასეა, მიიღება თუ არა ახალი კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავს ახალ გადასახადს; რა სახის თავდაცვისა და აპელაციის საშუალებები იქნება ხელმისაწვდომი მფლობელისათვის და ა.შ. საკანონმდებლო მანდატის ან საკონტრაქტო ვალდებულებების არარსებობის პირობებში, რთულია იმის გაგება, თუ როგორ მოახერხებს სასამართლო ორივე მხარის მორიგებას.

ამასთანავე, უნდა განისაზღვროს მფლობელთა ქონების შესყიდვის, ახალი ტენდერისა თუ სახელმწიფო აუქციონის პირობები. ასევე უნდა დაწესდეს გარკვეული კომპენსაცია მფლობელისათვის. კანონიერი ჩარჩოები ამ შემთხვევაშიც უცნობია. სავარაუდოდ, სახელმწიფო ჯერ საწარმოთა ნაციონალიზაციას განახორციელებს, შემდეგ კომპენსაციას გადაუხდის მესაკუთრეს და ბოლოს, აუქციონს გამართავს.

მფლობელს არ უნდა აეკრძალოს ტენდერში მონაწილეობის უფლება და პირიქით, ისეთი ნაბიჯები უნდა იქნეს გადადგმული, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობას შეუწყობს ხელს. ასეთი თანამშრომლობის არარსებობის შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ პოტენციური მყიდველები აუქციონის შემდგომ დავებში აღმოჩნდებიან, რაც უარყოფითად იმოქმედებს მათი აუქციონში მონაწილეობის განწყობასა და ზოგადად, პროცესზე. და ბოლოს, მფლობელისათვის კომპენსაციის გადახდის საფუძვლები წინასწარ უნდა იქნეს დაზუსტებული და გაცხადებული.

თუ გავითვალისწინებთ ზემოაღნიშნულ სირთულეებს, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე წინააღმდეგობაში მოდის კანონთან, სახელმწიფოსათვის, რომლის მიზანი გაყიდულ ქონებაზე სამართლიანი ღირებულების აღდგენაა, გაცილებით მარტივი იქნებოდა ერთჯერადი საკომპენსაციო გადასახადის დაწესება იმ ობიექტებზე, რომლებიც პრივატიზირებულ იქნენ ზედმეტად იაფად. ასეთი მექანიზმით ამჟამინდელი მფლობელები ხელშეუხებელნი დარჩებოდნენ და სასამართლო დავის საგანი მხოლოდ ის საპრივატიზაციო გარიგებები გახდებოდა, რომლებიც მაშინ არსებული კანონების აშკარა დარღვევით წარიმართა.

ერთჯერადი გადასახადის გადახდის აშკარა უპირატესობის პირობებში გაუგებარია, რატომ მიმართავს უკრაინის მთავრობა ყოფილი სახელმწიფო ქონების შედარებით გართულებულ და პოტენციურად უფრო ძვირადღირებულ პრივატიზაციას.

*"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო"*
*"უოლ სთრით ჯორნალ"*
*6 აპრილი, 2005*

# მწვანე შუქი ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე

## ევროპარლამენტი ბულგარეთისა და რუმინეთის ევროკავშირში მიღებას ეთანხმება

ევროპის პარლამენტმა ერვოკავშირში ბულგარეთისა და რუმინეთის გაწევრიანებას მხარი დაუჭირა. ამრიგად, აღმოსავლეთ ევროპის ორმა ქვეყანამ ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე სერიოზული დაბრკოლება გადალახა. ისინი ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრები - შესაბამისად 26-ე და 27-ე - 2007 წელს გახდებიან.

კენჭისყრამდე ცოტა ხნით ადრე, ევროკომისიის წევრმა ევროკავშირის გაფართოების საკითხებში, ოლი რენმა განაცხადა, რომ არ გამორიცხავს ერთი წლით ამ ქვეყნების მიღების გადადების რეკომენდაციებს, თუ ისინი საკმარისად მომზადებულები არ იქნებიან. ევროპარლამენტის ზოგიერთმა დეპუტატმა ერთგვარი შიში გამოთქვა იმის გამო, რომ რუმინეთს ჯერ არ დაუსრულებია რეფორმები და ჯერჯერობით სრულად არ აკმაყოფილებს ევროკავშირის წევრობისათვის აუცილებელ მოთხოვნებს. იმავდროულად, ოლი რენმა იმედიანად აღნიშნა, რომ რუმინეთმა სასამართლო სისტემის რეფორმირება დაიწყო და კორუფციასთან ბრძოლის ზომებს იღებს. საბოლოო ჯამში ევროპარლამენტმა მაინც დაუჭირა მხარი ამ ორი ქვეყნის მიღების საკითხს.



*ევროპარლამენტმა რუმინეთსა და ბულგარეთს ევროკავშირისკენ გზა გაუხსნა*

რუმინეთიც და ბულგარეთიც ევროკავშირის დღევანდელ წევრებთან შედარებით გაცილებით ღარიბი ქვეყნები არიან. მათი ევროკავშირში გაწევრიანება 2007 წლის პირველი იანვრისთვის იგეგმება. ბულგარეთის მიღებას 522 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი - 70, თავი შეიკავა 69 დეპუტატმა. რუმინეთის შესვლას 497 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი - 93, თავი შეიკავა 71 დეპუტატმა.

შესაბამისი შეთანხმების ხელმოწერა, რომელიც რამდენიმე წლიანი მოლაპარაკებების შედეგად მომზადდა, 25 აპრილს უნდა შედგეს. აღნიშნული კენჭისყრის გადატანას ევროპარლამენტში "მწვანეები" ითხოვდნენ, თუმცა მათ წინადადებას მხარი არავინ დაუჭირა.

მანამდე კი ბულგარეთს მოუწევს კორუფციასთან და დანაშაულთან ბრძოლის სისხლის სამართლის კოდექსში დამატებების შეტანა, აგრეთვე ბოშებთან დაკავშირებით საზოგადოებაში შეუწყნარებლობის შემცირება და მათი სოციალური პირობების გაუმჯობესება, აქტიური ეკონომიკური ზრდის გაგრძელება. ევროპარლამენტის დეპუტატები წუხილს გამოთქვამენ რეგიონისთვის იმ ენერგეტიკული შედეგების გამო, რომელიც შესაძლოა მოხდეს კოზლოდუისკის ატომური ელექტროსადგურის დახურვის შემთხვევაში, რომელიც ბულგარეთის ელექტროენერგიის 50 პროცენტს აწარმოებს; თუმცა, ევროკავშირის მიერ დაწესებულ უსაფრთხოების კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს. ამასთან დაკავშირებით, ევროპარლამენტი ევროკომისიას ურჩევს, "უფრო ყურადღებით მიუდგეს ატომური ელექტროსადგურის პრობლემას, მისი დახურვის ყველა შესაძლო შედეგის გათვალისწინებით".

რუმინეთსაც მოუწევს ყოველმხრივი რეფორმების პროცესის გაგრძელება, მათ შორის, პრესის თავისუფლების განმტკიცება, განათლების სისტემის გაუმჯობესება, ეროვნული უმცირესობებისათვის სოციალური პოლიტიკის სრულყოფა, პირველ რიგში, ბოშებისათვის, ადმინისტრაციული და სასამართლო სისტემების სრულყოფა, აგრეთვე, გარემოს დაცვის უზრუნველყოფა. როგორც აღინიშნა, აპრილის ბოლოს ევროკავშირის წევრი-ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა რუმინელ და ბულგარელ კოლეგებთან ერთად ხელი უნდა მოაწერონ შეთანხმებას გაწევრიანების შესახებ, რომლის რატიფიცირებაც წევრი-ქვეყნების პარლამენტებმა შემდგომ უნდა მოახდინონ. ასე რომ, მომდევნო 1,5 წლის მანძილზე ორივე ქვეყნის განვითარებას ბრიუსელიდან ყურადღებით დააკვირდებიან.

*24 საათი*

# ტელევიზიით გამოსვლამ ბერლუსკონის 17 მლნ დოლარი მოუტანა

იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ, რომელიც იმავდროულად მედიაიმპერიის მეთაურიცაა, სადაც ქვეყნის მთავარი კერძო ტელეარხი შედის, 2003 წელს 17 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. აღნიშნული რიცხვი შეტანილია მოხსენებაში იტალიის უმაღლესი თანამდებობის პირების შემოსავლების შესახებ, რომელიც ადგილობრივმა პარლამენტმა გამოაქვეყნა. დოკუმენტში ნათქვამია, რომ 2003 წლის მონაცემები - ყველაზე ახალი ციფრებია, რომლის მიღებაც პარლამენტარებმა ბერლუსკონისგან მოახერხეს. ამ ინფორმაციის თანახმად, შარშანწინ იტალიის უმდიდრესმა ადამიანმა 16 571 760 დოლარი გამოიმუშავა. შედარებისათვის, საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯანფრანკო ფინიმ, რომელიც ყველაზე უზრუნველყოფილი ჩინოვნიკების სიაში რიგით მეორეა, იმავე პერიოდში მხოლოდ 229 ათასი დოლარის შემოსავალი მიიღო. იტალიის პრემიერ-მინისტრის ოჯახი ქვეყანაში უდიდეს კერძო ტელარხს ("მედიასეტი") ფლობს. ნოემბერში გაზეთი "ფაინენშელ თაიმსის" მიერ გამოქვეყნებულ ყველაზე გავლენიანი მილიარდერების სიაში ბერლუსკონი მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა.

*სი ენ ენი*

# რუგოვა და ტადიჩი კოსოვოს ბედს ერთად გადაწყვეტენ

სერბეთის პრეზიდენტი ბორის ტადიჩი კოსოვოელი ალბანელების ლიდერთან იბრაგიმ რუგოვასთან მოლაპარაკებას გამართავს კოსოვოს ბედის შესახებ, - იუწყება ბრიტანული "გარდიანი". ამ დღეებში სერბეთის პრეზიდენტის კანცელარიამ გაავრცელა ცნობა, რომლის თანახმად ტადიჩი პირადად მზად არის რუგოვასთან შესახვედრად. ცნობაში ნათქვამია, რომ სერბეთი მზად არის კოსოვოს პრობლემასთან დაკავშირებით "კომპრომისული გადაწყვეტილებისათვის", მაგრამ კოსოვოს დამოუკიდებლობაზე საუბარი ზედმეტია. რუგოვას წარმომადგენლები ჯერჯერობით ამ წინადადებაზე არანაირ კომენტარს არ აკეთებენ. რუგოვასთან შეხვედრის გადაწყვეტილება სერბეთის ლიდერმა ბელგრადში მოლაპარაკებათა სერიის შემდეგ მიიღო, რომლებიც საკონტაქტო ჯგუფთან გაიმართა. მასში რუსეთის, ევროკავშირის, იტალიის, გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლები შედიოდნენ.

**24 საათი**

# აშშ-ს სენატის დაზვერვის კომიტეტმა ჯონ ნეგროპონტეს ყურადღებით "მოუსმინა"

აშშ-ს სენატის დაზვერვის კომიტეტში ჯონ ნეგროპონტეს კანდიდატურის შესახებ მოსმენა გაიმართა, რომელსაც პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ეროვნული დაზვერვის დირექტორის - ანუ ამერიკის მთელი 15 სპეცსამსახურის ხელმძღვანელისა და კოორდინატორის - თანამდებობას სთავაზობს. აღნიშნული თანამდებობა მას შემდეგ შეიქმნა, როდესაც სპეციალურმა კომისიამ აშშ-ს დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სისტემა სასტიკად გააკრიტიკა. კერძოდ, კომისიამ სპეცსამსახურები უწყებათაშორის ქიშპობაში და ძალისხმევათა კოორდინაციის უქონლობაში დაადანაშაულა. ამ ვითარების გამოსწორება მოუწევს 40 წლიანი სტაჟის მქონე დიპლომატს, გაეროსა და ერაყში ამერიკის ელჩს, ჯონ ნეგროპონტეს. "უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ჩვენი სამშობლო თავდასხმის ობიექტი გახდა იმის გამო, რომ საშიში მოწინააღმდეგის არსენალის, ან მისი გეგმების შეფასებაში შევცდით. ჩვენმა დაზვერვამ უკეთ უნდა იმუშაოს," - განაცხადა ჯონ ნეგროპონტემ სენატორებთან გამოსვლისას. მან პირობა დადო, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა თითოეულმა ამერიკულმა სპეცსამსახურმა ერთმანეთისგან თავისუფლად მიიღოს ინფორმაცია და მათ მიერ შეგროვებული ყველა ინფორმაცია სწრაფად და დამახინჯების გარეშე მივა ხელმძღვანელობამდე.



*დაზვერვის ახალ შეფად პოლიტიკური ნიშნით დანიშნული პიროვნება, სავარაუდოდ, ნაკლებად დაამახინჯებს სადაზვერვო ინფორმაციას.*

ყოფილმა საბჭოთა, გადაბირებულმა მზვერავმა ოლეგ გორდიევსკიმ გამოთქვა აზრი, რომ ნეგროპონტეს მსგავსი, პოლიტიკური ნიშნით დანიშნული პიროვნება ნაკლებად დაამახინჯებს სადაზვერვო ინფორმაციას, პრეზიდენტის სურვილისა თუ არსებული კონიუნქტურის მიუხედავად. "11 სექტემბრისა და ერაყის შეცდომების შემდეგ, სადაც მასობრივი განადგურების იარაღი საბოლოოდ მაინც ვერ იპოვნეს, ბუშის ახალი ადმინისტრაცია, განსაკუთრებით დღეს, მისი მეორე ვადის დროს დაზვერვის ცნობების გაზვიადებას ან გამოგონებას არ დაიწყებს. ისინი ამ ყველაფერს სრული სიზუსტით გადასცემენ," - დარწმუნებულია გორდიევსკი. ნეგროპონტეს კანდიდატურა რომ დამტკიცდება, ამაში ცოტას თუ ეპარება ეჭვი, თუმცა სენატში მოსმენის დროს დემოკრატები მას საკმაოდ აგრესიულად უსვამდნენ კითხვებს მის წარსულთან დაკავშირებით. კერძოდ, ნეგროპონტეს ადანაშაულებენ, რომ 80-იან წლებში ჰონდურასში ელჩად ყოფნისას, მას არ გაუპროტესტებია ადგილობრივი ხელისუფლების "სიკვდილის ესკადრონების" ქმედება, რომლებიც ხალხის გატაცებითა და მკვლელობით იყვნენ დაკავებულები. კრიტიკული კითხვების მიუხედავად, დემოკრატები ნეგროპონტეს კანდიდატურის მხარდაჭერას მაინც აპირებენ. რესპუბლიკელი სენატორები რესპუბლიკური ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებულ კანდიდატს გაცილებით ლმობიერად შეხვდნენ. სენატის დაზვერვის კომიტეტის მიერ მოწონების შემდეგ, ჯონ ნეგროპონტეს კანდიდატურა ამერიკის კონგრესის ზედა პალატის სრულმა შემადგენლობამ უნდა დაამტკიცოს.

*ბი ბი სი*

# სერბეთსა და მონტენეგროს ევროკავშირში მხოლოდ ერთად მიიღებენ

სტრასბურგში ევროკავშირის გაფართოების საკითხების ევროკომისარმა ოლი რენმა განაცხადა, რომ ევროკომისიამ შესაძლებლად მიიჩნია სერბეთსა და მონტენეგროსთან სტაბილიზაციისა და ასოციაციის შესახებ ხელშეკრულებაზე მოლაპარაკების დაწყება. ევროკომისრებმა ევროკავშირში "სერბეთისა და მონტენეგროს ასოცირებული წევრობისათვის საკმარისი მზადყოფნის" გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, როდესაც ამ სახელმწიფო წარმონაქმნში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია ზედმიწევნით განიხილეს. თუმცა სერბეთისა და მონტენეგროს ევროპულ პერსპექტივებს ევროკომისია კვლავინდებურად მკაცრად უკავშირებს ყოფილ იუგოსლავიაზე საერთაშორისო ტრიბუნალთან ბელგრადის თანამშრომლობას, უპირველეს ყოვლისა, ჰააგისათვის ბოსნიელი სერბების - რადოვან კარაჯიჩისა და რატკო მლადიჩის - გადაცემას. ოლი რენი იმედოვნებს, რომ ევროკომისია ზაფხულისთვის მიიღებს სერბეთსა და მონტენეგროსთან მოლაპარაკებების მანდატს, ხოლო ნოემბერ-დეკემბერში დაიწყება მოლაპარაკების პროცესი, რომელიც, სულ მცირე, ერთ წელიწადს გასტანს. გარდა ამისა, სულ ახლახან, ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი, ქალბატონი ურსულა პლასნიკი ირწმუნებოდა, რომ მოლაპარაკებები ევროკავშირში სერბეთისა და მონტენეგროს ასოცირებულ წევრობაზე შეთანხმების შესახებ ევროკავშირში ავსტრიის თავმჯდომარეობის პერიოდში დასრულდება (2006 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით). ევროკომისიის გადაწყვეტილება შესაძლებელი გახდა სერბეთისა და მონტენეგროს ხელისუფლებისა და საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ხავიერ სოლანას მიერ დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ, რომელსაც გარკვეული კორექციები შეაქვს სერბეთისა და მონტენეგროს კონსტიტუციურ ქარტიაში. მიღებული შესწორებების თანახმად, სერბეთისა და მონტენეგროს სკუპშჩინა (პარლამენტი) დღევანდელი შემადგენლობით მუშაობას კიდევ ერთ წელს გააგრძელებს. 2002 წელს ვარაუდობდნენ, რომ სერბეთი და მონტენეგრო ერთიანი სახელმწიფო წარმონაქმნის სახით სამი წლის მანძილზე იარსებებდა, ევროკავშირში მათი ერთობლივი შესვლის პერსპექტივით (ამჟამად ევროკავშირში 25 წევრი-ქვეყანაა). თუმცა შარშან ზაფხულში ამ ორი ბალკანური ქვეყნის ტანდემში ბზარი გაჩნდა. ორივე რესპუბლიკამ საკუთარი ღერბი და დროშა შემოიღო, ხოლო ამა წლის თებერვალში დაგეგმილი ხელახალი საპარლამენტო არჩევნები ჩაიშალა სერბეთთან თანაარსებობის ახალი ფორმისადმი მონტენეგროს მისწრაფების გამო, რომელიც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნას გულისხმობდა. ხავიერ სოლანას ინიცირებულმა შეთანხმებამ კიდევ ერთი წლით პარლამენტარების ამოწურული მანდატის გაგრძელების შესახებ, როგორც ჩანს, ამ ორ რესპუბლიკაში დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებაც გაურკვეველი ვადით გადადო. ხავიერ სოლანა ამ დღეებში მონაწილეობას იღებს ბელგრადსა და პრიშტინაში მიმდინარე მოლაპარაკებებში, რომელსაც ბალკანური მოწესრიგების საკონტაქტო ჯგუფი (აშშ, რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია) აწარმოებს. საკონტაქტო ჯგუფის წევრები ერთსულოვნად მიიჩნევენ, რომ "სერბეთისა და მონტენეგროს შენარჩუნება ბალკანეთში სტაბილურობის მნიშვნელოვანი ფაქტორია".

*24 საათი*

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი
GWEM
სესბ
Georgian Wholesale Electricity Market

## საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადება

გასულ კვირას ალბერტო სოლისის პრესკონფერენციის გაშუქებისას პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს ს/ს "თელასი " საბითუმო ბაზარს არ უხდის საწევრო გადასახადს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. აღნიშნულ ინფორმაციასთან დაკავშირებით სესბ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური აცხადებს, რომ ენერგობაზარის მენეჯმენტსა და "თელასის " ახალ ხელმძღვანელობას შორის კონსტრუქციული თანამშრომლობის პროცესი დაიწყო, რაც ორ კომპანიას შორის არსებული პრობლემატური საკითხების ეტაპობრივად მოგვარებას გულისხმობს. სესბ-სა და "თელასს " შორის ახლადჩამოყალიბებული ურთიერთობის წარმატების მიზნით თბილისის გამანაწილებელმა ენერგოკომპანიამ ენერგობაზრის მიმართ არსებული საწვრო გადასახადის დავალიანების ნაწილი დაფარა. კომპანიამ მარტის თვეში საწევროს სახით 100 000 ლარი გადაიხადა.

სესბ-ისა და "თელასის " ურთიერთობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ორ კომპანიას შორის თანამშრომლობით, თანამშრომლობა მთლიანად ენერგოსექტორში დაგროვილი სირთულეების ერთობლივად გადაწყვეტას გულისხმობს. პრობლემების მოგვარება სწრაფი და ეფექტური პროგრამის შემუშავებასა და შემდგომში მის დროულად გატარებას საჭიროებს. სესბ-ის მენეჯმენტი "თელასის " ხელმძღვანელობის გარდა თანამშრომლობისკენ მოუწოდებს ენერგოსექტორის სხვა გამანაწილებელ ენერგოკომპანიებსაც, რადგან ენერგეტიკის გამართულად ფუნქციონირებისთვის სწორედ ეს სეგმენტი საჭიროებს პრობლემების სასწრაფო გადაჭრას.

ენერგოსექტორში სწრაფი და ეფექტური რეფორმების გატარების მიზნით სესბ-ისა და "თელასის " ხელმძღვანელობა არსებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისა და გაუმჯობესების მიზნით ერთობლივ კონსულტაციებს იწყებენ, რათა საბოლოოდ გამოიძებნოს და შემუშავდეს საბითუმო ელექტროენერგიით ვაჭრობის ოპტიმალური მოდელი, რაც საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში მიმდიმარე რეფორმების შედეგიანობას განსაზღვრავს.

*სესბ-ის საზოგადოებასთნ ურთიერთობის სამსახური*

ინდოეთი 2005

ინდური პროდუქციის და ტექნოლოგიების გამოფენა

20-24 აპრილი 2005 წელი.
11:00 -19:00 საათი

სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასი
თელავის ქ. 20, თბილისი, 0103, საქართველო
ტელ: 77 20 20

ორგანიზატორები:

ინდოეთის სამრეწველო კონფერენცია
საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
ინდოეთის საელჩო

სექტორები: ფარმაცევტიკა, ველოსიპედები, ჩაი, ყავა, სათამაშოები, სამკაულები და მოდური აქსესუარები, ტყავის ნაწარმი, საავტომობილო ნაწილები, სასოფლო სამეურნეო მოწყობილობები, სამომხმარებლო ელექტროსაქონელი, ელექტრო მოწყობილობები

ერთობლივი საწარმოების შექმნის შესაძლებლობები

შესვლა თავისუფალია

# რევოლუციური ლოზუნგები საქართველოში კვლავ აქტუალურია

პირველი გვერდიდან

საავტომობილო საგზაო ბარათის ინსტიტუტი, სანიტარიულ ინსპექციას აეკრძალა სუპერმარკეტებში, რესტორნებსა და სხვა საზოგადოებრივი კვების ობიექტებში საკვები პროდუქტის ხარისხის შემოწმება.

საკვები პროდუქტის კონტროლს დაექვემდებარებიან სასწავლო დაწესებულებების კვების ობიექტები; ასევე გაუქმდება საბაჟოზე ფიტოსანიტარიული კონტროლი. პრეზიდენტის თქმით, საბაჟოზე იქნება ერთჯერადი ფიტოსანიტარიული კონტროლი, თანაც, მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში.

**"ჩვენ გვჭირდება ისეთი ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც მოემსახურება ხალხს და გასცემს ნებართვებს. იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის გაცემას შეაფერხებს ჩინოვნიკი, მოქალაქეს ნებართვა მიღებული ექნება,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი იმედოვნებს, რომ ახალი კანონპროექტი, რომელიც სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატის შემცირებას და მცირე ბიზნესის ხელშეწყობას ითვალისწინებს, დაახლოებით ერთ თვეში ამოქმედდება.

როგორც ნოღაიდელმა დღეს მთავრობის სხდომის შემდეგ განაცხადა, კანონპროექტი, რომელიც დღეს მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტმა წარადგინა, შესაბამისი დახვეწის შემდეგ, პარლამენტში ერთ კვირაში შევა განსახილველად და, სავარაუდოდ, მისი ამოქმედება და რეალიზება დაახლოებით ერთ თვეში უნდა მოხერხდეს.

გუშინვე გაკეთდა განცხადება იმასთან დაკავშირებითაც, რომ: **"საქართველოს მთავრობა ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე ზრუნვას იწყებს."**

როგორც მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, ხელისუფლებამ დაიწყო აქტიური კონსულტაციები ბიზნეს-წრეების წარმომადგენლებთან როგორც მაკროეკონომიკურ სფეროში გატარებული პოლიტიკის გასაუმჯობესებლად, ასევე საკანონმდებლო აქტების მოსაწესრიგებლად და გასამარტივებლად.

საქართველოს მთავრობის 13 აპრილის სხდომაზე საუბარი ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მზადებასაც შეეხო. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ალექსანდრე ლომაიას ინფორმაციით, ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 32 ათასმა აბიტურიენტმა, რაც, მისივე თქმით, საკმაოდ მაღალ აქტივობაზე მიანიშნებს.

მინისტრის ინფორმაციით, ფასიან და უფასო სექტორზე სულ 17 400 აკრედიტებული ადგილი იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ ადგილზე ორი აბიტურიენტი იბრძოლებს;

კახა ლომაიას თქმით, ტესტირებისთვის საჭირო ბლანკების ბეჭდვის უფლება, საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე, კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობას მიეცა. ტესტები დაიბეჭდება ფასიან, დაცულ ქაღალდზე, შემოტანილი იქნება ფოთში და 11 ივლისამდე, მანამდე, ვიდრე მისი დარიგება მოხდება, შენახული იქნება ეროვნული ბანკის საცავში.

**"საქართველო ისრაელთან, კანადასთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, იაპონიასთან და ევროკავშირის ქვეყნებთან ცალმხრივ უვიზო რეჟიმს აწესებს, - ეს გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობამ ევროპასთან ინტეგრაციის ტემპის დასაჩქარებლად მიიღო,"** - განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კახა სიხარულიძემ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე.

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო, ამ გადაწყვეტილების შედეგად, წელიწადში 1 200 000 ლარს იზარალებს, შედეგი გაცილებით მეტი იქნება, რადგან უვიზო რეჟიმი ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას და აღნიშნულ ქვეყნებთან დაახლოების პროცესს დააჩქარებს.

ცნობისთვის: ყოველწლიურად 1 200 000 ლარი საქართველოს ბიუჯეტში საკონსულო მოსაკრებლების სახით შედის.

# ონოფრიშვილი მიღწეულით ამაყობს, პარლამენტი კი განმარტებებს ითხოვს

*შპს "საქართველოს რკინიგზა" საკუთარი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე წელს დაახლოებით 48 მილიონი ლარის დახარჯვას აპირებს, თუმცა ეს რეაბილიტაციისთვის საჭირო რეალური თანხის მხოლოდ მეოთხედია. რკინიგზის წლევანდელი საერთო ბიუჯეტი, საიდანაც რეაბილიტაციის გარდა, ყველა მიმდინარე ხარჯიც უნდა დაფინანსდეს, მხოლოდ 250-260 მილიონი ლარის ფარგლებში მერყეობს.*

ეთერ მამულაშვილი


ონოფრიშვილს რკინიგზის რეაბილიტაციისთვის ფული არ ჰყოფნის.

მიუხედავად ამისა, რკინიგზის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ინფრასტრუქტურის გაჯანსაღების პროცესი ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს. გუშინ საწარმოს გენერალურმა დირექტორმა დავით ონოფრიშვილმა პირადად მოინახულა მიმდინარე სამუშაოები. პირველი გაჩერება სალოკომოტივო დეპო იყო, სადაც უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში კაპიტალური სამუშაოები მიმდინარეობს და როგორც ონოფრიშვილი გვპირდება, უახლოეს სამ თვეში შპს "საქართველოს რკინიგზას" თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების დეპო ექნება. უკვე დახარჯულია 50 ათასი აშშ დოლარი, თუმცა მისი სრული რეაბილიტაციისთვის კიდევ 100 ათასი დოლარის დახარჯვა იგეგმება. **"სამუშაოების დასრულების შემდეგ თანამედროვე ტიპის დეპო გვექნება, სადაც ჩვენი ელმავლები საფუძვლიანად შეკეთდება,"** - აღნიშნა "საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა.

გუშინ დავით ონოფრიშვილი მემანქანეებსაც შეხვდა და მათ ხელფასების 10-20 პროცენტით გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება თავად ამცნო. რკინიგზის შეფის გადაწყვეტილებით, აპრილის თვიდან მემანქანის ყოველთვიური საშუალო ხელფასი 600 ლარი გახდება. **"არამიზნობრივი ხარჯები საქართველოს რკინიგზიდან, პრაქტიკულად, ამოვარდნილია, რის ხარჯზეც ჩვენ მოვახერხეთ არსებული ხელფასების ზრდა და ჩვენ ამაზე არ შევჩერდებით,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ონოფრიშვილმა.

## პარლამენტი ონოფრიშვილისგან განმარტებებს ითხოვს

საქართველოს რკინიგზა და იქ შექმნილი ვითარება პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის გუშინდელი სხდომის საუბრის ერთ-ერთი თემა იყო. კომიტეტის თავმჯდომარის ნიკო ლეკიშვილის ინფორმაციით, ბოლო თვეებში რკინიგზაზე გადაზიდული ტვირთების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, რის შესახებაც ლეკიშვილი განმარტებებს "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორისაგან, დავით ონოფრიშვილისგან ითხოვს. ლეკიშვილის თქმით, "საქართველოს რკინიგზაში" შექმნილ სიტუაციას კომიტეტი დეტალურად მომავალ სხდომაზე განიხილავს.

**"საქართველოს რკინიგზით" გადაზიდული ტვირთების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც ზოგიერთმა არასწორმა გადაწყვეტილებამ განაპირობა. ტვირთები, რომლებიც საქართველოს გავლით ევროპაში უნდა გასულიყო, სხვა მიმართულებით გაედინება. ეს "საქართველოს რკინიგზის" მიერ ტარიფების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებასთანაა დაკავშირებული,"** - განაცხადა ლეკიშვილმა.

მისი თქმით, ქვეყანაში შეიმჩნევა ტენდენცია, მეტი კონტროლი დაწესდეს სხვადასხვა ბიზნეს-კომპანიების მიმართ, რაც ამ კომპანიებს საქმიანობის შეწყვეტისაკენ უბიძგებს.

**"ბევრმა გადამზიდავმა კომპანიამ შეწყვიტა ფუნქციონირება. ჩემი ინფორმაციით, უკანასკნელ პერიოდში ათი ასეთი პროფილის კომპანია გაუქმდა, რაც აღნიშნული ბიზნესის მონოპოლიზებამ განაპირობა,"** - განაცხადა ლეკიშვილმა.

დავით ონოფრიშვილი სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს. რკინიგზის შეფის ინფორმაციით, უკანასკნელ ორ თვეში გადაზიდული ტვირთების რაოდენობა ბოლო ათ წელთან შედარებით რეკორდულად გაიზარდა. მხოლოდ აპრილის თვეში, წინასწარი პროგნოზით, მილიონნახევარი ტონა ტვირთის გადაზიდვა არის მოსალოდნელი. აქედან, დაახლოებით 60-70 პროცენტი ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე მოდის. **"საბჭოთა კავშირის პერიოდის მერე, ასეთი გადაზიდვა აპრილის თვეში არ ყოფილა. ჩვენ მარტშიც საკმაოდ ბევრ ტვირთს ველოდებოდით, თუმცა ამ თვეში ბოსფორი იყო დაკეტილი, რის გამოც ტანკერები ვერ შემოდიოდნენ. მიუხედავად ამისა, ტვირთების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი იყო,"** - ამბობს ონოფრიშვილი.

# მე-3 ენერგობლოკი კვლავ გაჩერებულია

"თბილსრესის" მე-3 ენერგობლოკი კვლავ გაჩერებულია, თუმცა სპეციალისტების თქმით, ის ტექნიკურად მზად არის. როგორც "თბილსრესის" ტექნიკურმა დირექტორმა შოთა გვარმიანმა განაცხადა, ბლოკს პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა და ამჟამად რეზერვშია. ჩართვის შემთხვევაში, ის 115 მეგავატ სიმძლავრეს გამოიმუშავებს.

როგორც ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ხეთაგურმა აღნიშნა, ამ ეტაპზე ბლოკის ჩართვა ეკონომიკურად გაუმართლებელია, რადგან ჰესებზე წყლის რესურსების მომატების გამო, გამომუშავება გაზრდილია.

მე-3 ენერგობლოკი, სავარაუდოდ, მაშინ ჩაირთვება, როდესაც ენგურჰესი გაჩერდება.

*მედიანიუსი*

# ეკონომიკის სამინისტრო 5 ობიექტს ყიდის

დღეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, 5 ობიექტის გაყიდვის მიზნით, აუქციონს გამართავს.

აუქციონზე გატანილი იქნება შემდეგი ობიექტები: შპს "აგრეგატი" 214 903 კვ.მ. მიწის ფართობით (საწყისი ფასი - 1 000 000 აშშ დოლარი), შპს "საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ინსტიტუტი" (საწყისი ფასი - 40 000 აშშ დოლარი), ს/ს "ორიონის" საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული, ყოფილი მართვის სისტემების ქარხნის №3 კორპუსი (საწყისი ფასი - 800 000 აშშ დოლარი), ს/ს "ორიონის" საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული №60, №60ა, №60ბ მსუბუქი კონსტრუქციების დროებითი ნაგებობები (საწყისი ფასი - 200 000 აშშ დოლარი) და მეცხოველეობის ყოფილი სანაშენე მეურნეობის ადმინისტრაციული შენობა, რომლის საწყისი ფასი 20 000 აშშ დოლარია.

*ინტერ-პრესი*

# შეიქმნება სურსათის უვნებლობის სამსახური

გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით მომზადებული "სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ" კანონპროექტის პრეზენტაცია გაიმართა.

აღნიშნული კანონპროექტის საფუძველზე, შეიქმნება სურსათის უვნებლობის ერთიანი სამსახური, რომელიც მცენარეთა დაცვის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და სასურსათო უვნებლობის მიმართულებით იმუშავებს.

აღნიშნული სამსახურის ზედამხედველობას სურსათის უვნებლობის საბჭო განახორციელებს, რომელიც სოფლის მეურნეობისა და ჯანდაცვის სამინისტროების ექსპერტებით დაკომპლექტდება.

*ინტერ-პრესი*

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ვანის რაიონის, სოფელ ყუმურის საშუალო სკოლის სარემონტო სამუშაოები.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სოფელ ყუმურის სათემო კავშირთან "იმერეთი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"იმერეთი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:
**საქართველო, ვანის რაიონი,**
**სოფელ ყუმურის სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი ნაილი ადეიშვილი, სათემო კავშირი "იმერეთი"-ს თავმჯდომარე**
**2005 წლის 19 აპრილიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 800** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:
**საქართველო, ვანის რაიონი,**
**სოფელ ყუმურის სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი ნაილი ადეიშვილი, სათემო კავშირი "იმერეთი"-ს თავმჯდომარე**
**2005 წლის 19 მაისის 15 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი**
**ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო**
**ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79**
**ფაქსი: (995 32) 23 01 03**

# იან ბონდე ნილსენი ბათუმში ბიზნესის გაფართოებას გეგმავს

*ბათუმის ნავთობტერმინალის მეპატრონე დანიელი ბიზნესმენი იან ბონდე ნილსენი აჭარაში ნავთობბიზნესის გაფართოებას გეგმავს. გუშინ, ამ თემაზე სასაუბროდ, დანიელი ბიზნესმენი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს შეხვდა.*

მას შემდეგ, რაც საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პრივატიზების პროცესს გამოეთიშა, ბათუმის ნავთობტერმინალის ხელმძღვანელი იან ბოდენ ნილსენი ბათუმის უძრავი ქონებით ინტერესდება.

დანიელი ბიზნესმენის იან ბონდე ნილსენის ინტერესის სფეროში, ამ ეტაპზე, ბათუმის ნავთობბაზა და ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა მოექცა.

თანხა, რომელიც ამ ობიექტების სანაცვლოდ, საქართველოს ხელისუფლებას დანიელმა ბიზნესმენმა უნდა შესთავაზოს, ჯერჯერობით, უცნობი რჩება. სამაგიეროდ, უკვე ცნობილია, რომ ბათუმის ნავთობბაზისა და ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პრივატიზაციის პროცესი მაისში უნდა დასრულდეს. ეს ობიექტები გასაყიდად გამოცხადებულ კონკურსში ქართული ეკონომიკის "ფლაგმანებთან" - ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანასთან, "აზოტსა" და რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასთან ერთად მონაწილეობს.

კონკურსი, სადაც ამ ობიექტების მყიდველებმა წინასწარი წინადადებები უნდა წარადგინონ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ 15 მარტს გამოაცხადა. განაცხადების მიღება 2 მაისამდე გასტანს, ამის შემდეგ კი ხელისუფლება შემოთავაზებული წინადადებების განხილვას შეუდგება.

*24 საათი*

# ხელისუფლება საკუთარი შეცდომების გამოსწორებას ცდილობს

პირველი გვერდიდან

საკომიტეტო განხილვაში შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ბიძინა ბრეგაძეც მონაწილეობდა, რომლის განმარტებითაც, კანონის დამრღვევი პირები სასჯელს პოლიციის განყოფილებებში არსებული წინასწარი დაკავების საკნებში მოიხდიან.

■ ■ ■

ახალ საგადასახადო კოდექსზე მუშაობისას, მის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ღირსებად კერძო არბიტრაჟის ინსტიტუტის შემოღება სახელდებოდა, რომელსაც მეწარმეებსა და სახელმწიფოს შორის წარმოქმნილი საგადასახადო დავები უნდა განეხილა. სახელისუფლებო წრეებში დღეს უკვე რადიკალურად განსხვავებული განწყობაა: საპარლამენტო უმრავლესობის და მთავრობის წარმომადგენლები, გიგა ბოკერია და გიორგი გოდაბრელიძე აღიარებენ, რომ, თავის დროზე, არბიტრაჟის შემოღება შეცდომა იყო და ვიდრე გვიან არ არის, ეს შეცდომა უნდა გამოსწორდეს.

**"არბიტრაჟს ვინც იყიდის, ის ყოველთვის მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას გამოიტანს,"** - ბოკერიასა და გოდაბრელიძის მოსაზრებებს მთლიანად ეთანხმება იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნინო კალანდაძე. მისივე თქმით, ძალიან დიდია იმის საფრთხე, რომ არბიტრებმა ბიზნესმენთა მხრიდან ფინანსურ ცდუნებას ვერ გაუძლონ და დავების გარჩევისას, არაობიექტური გადაწყვეტილებები მიიღონ.

თავის მხრივ, გიორგი გოდაბრელიძე შენიშნავს, რომ კერძო არბიტრაჟის უსამართლო ვერდიქტის გამო, შესაძლოა, სახელმწიფომ ასეულობით მილიონი ლარი იზარალოს. ამიტომ, ფინანსთა მინისტრის მოადგილე მოითხოვს, რომ საგადასახადო კოდექსში შევიდეს ცვლილებები და არბიტრაჟის ინსტიტუტის ამოქმედება 2008 წლის 1 იანვრამდე გადაიდოს.

გიგა ბოკერია კიდევ უფრო შორს მიდის და აცხადებს, რომ ახალი ინსტიტუტის ფუნქციონირების დაწყება კი არ უნდა გადავადდეს, არამედ მიზანშეწონილია, კერძო არბიტრაჟის ამოქმედებაზე საერთოდ უარი ითქვას.

**"თუ თქვენ პლენარულ სხდომაზე არბიტრაჟის ფუნქციონირების მხოლოდ გადავადებას მოითხოვთ, მაშინ ჩვენ ალტერნატივას დავაყენებთ და ინსტიტუტის ლიკვიდაციის ინიციატივით გამოვალთ,"** - "ემუქრება" საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ფინანსთა მინისტრის მოადგილეს.

**1**

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

**2**

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

**3**

**ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:**

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟაფშაველას 45 "ნოვემბერის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

ქართველიშვილი ნატო
ვცხოვრობ ქ. თბილისში 1998 წლიდან მეუღლესთან და 90 წლის დედამთილთან. მყავს ვაჟიშვილი, მეუღლესთან ხელმოწერილი არ ვყოფილვარ და ჩაუწერლად ვცხოვრობთ მე და ჩემი შვილი, მეუღლე გარდაიცვალა 2004 წლის ნოემბერში. ბინა არის კერძო, პრივატიზაცია არაა გაკეთებული და ბინა დედამთილზე იყო გაფორმებული. ბინაში ჩაწერილი იყო ჩემი დედამთილი და ჩემი მეუღლე. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ბინის მფლობელი გახდა ჩემი დედამთილი. ბინას ყიდის ამჟამად და ბავშვს არანაირ წილს არ აძლევს, მაინტერესებს გვეკუთნის თუ არა მე და ჩემს შვილს რაიმე წილი ბინიდან და აქვს თუ არა უფლება, რომ გაყიდოს ბინა, ჩემი შვილი მამის გვარს ატარებს, საბუთიც მაქვს დამადასტურებელი.

ქალბატონო ნატო,
თუ აღნიშნული ბინის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მხოლოდ თქვენი დედამთილი, თქვენს შვილს რაიმე უფლება მასზე არ ექნება და თქვენს დედამთილს შეუძლია განკარგოს იგი თავის შეხედულებისამებრ. ხოლო თუ საჯარო რეესტრში თქვენს დედამთილთან ერთად რეგიტრირირებული იყო თქვენი მეუღლეც თანამესაკუთრედ, Mამაშინ თქვენს შვილს ეკუთვნის წილი ბინიდან. სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის თანახმად:

**მუხლი 1336. კანონით მემკვიდრეები**

კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი წილის უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან:

I. პირველ რიგში - გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები).

ამრიგად, თუ თქვენი მეუღლე იყო ბინის თანამესაკუთრე, მისი წილი საკუთრება გაიყოფა თანაბრად თქვენს დედამთილსა და თქვენს შვილს შორის.

სოლომონ ლებანიძე
აქვს თუ არა უფლება ინდივიდუალურ მეწარმეს, თავისი ინდივიდუალური მეწარმეობის პარალერულად იყოს საჯარო სამსახურში? იყოს დიპლომატი ან საჯარო ( სახელმწიფო ან ადგ. თვითმართველობაში) მოხელე? შეიძლება თუ არა დიპლომატი (საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი) ან საჯარო მოხელე იყოს პარტიული?

ბატონო სოლომონ,
საქრთველოს კანონის "საჯარო სამსახურის შესახებ" მე-60-65-ე მუხლები ადგენენ:

**მუხლი 60. სამეწარმეო საქმიანობის შეზღუდვა**

მოსამსახურე არ უნდა იყოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, საკონტროლო, სამეთვალყურეო და სარევიზიო ორგანოს წევრი.

**მუხლი 61. პარტიული საქმიანობის შეზღუდვა**

სახელმწიფო მოსამახურეს არ აქვს უფლება თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს პარტიული საქმიანობისათვის.

**მუხლი 62. სამსახურებრივ ზედამხედველობასთან დაკავშირებული შეზღუდვა**

1. სახელმწიფო მოსამსახურე არ უნდა იღებდეს შემოსავალს იმ ორგანიზაციებიდან, რომლებსაც სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების წესით უწევს ზედამხედველობას.

2. არ შეიძლება მოხელეს დაეკისროს სამსახურებრივი ზედამხედველობა იმ ორგანიზაციებისადმი, რომელთა ხელმძღვანელ ორგანოებში საქმიანობენ მისი ოჯახის წევრები.

**მუხლი 63. სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობა**

მოხელეს არ აქვს სამეწარმეო საქმიანობის უფლება. მას შეუძლია მხოლოდ ფლობდეს აქციებსა და წილს.

**მუხლი 64. სამსახურებრივი შეუთავსებლობა**

"1. სახელმწიფო მოსამსახურეს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა ან შეთავსებით ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში, იყოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ან საკანონმდებლო ორგანოს წევრი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი;

2. სახელმწიფო მოსამსახურეს უფლება აქვს იმავდროულად ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს საქართველოს კონსტიტუციითა და საკანონმდებლო აქტებით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით;

3. სახელმწიფო მოსამსახურის მიერ შეთავსებით სხვა თანამდებობის დაკავება და ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება დასაშვებია მხოლოდ იმავე სახელმწიფო დაწესებულების სისტემაში."

**მუხლი 65. სამსახურში შესვლის შეზღუდვა**

განთავისუფლებული სახელმწიფო მოსამსახურე განთავისუფლების დღიდან 3 წლის მანძილზე არ შეიძლება სამსახურში შევიდეს იმ დაწესებულებაში ან ეწეოდეს საქმიანობას იმ საწარმოში, რომელსაც იგი უკანასკნელი 3 წლის მანძილზე სისტემატურად ზედამხედველობდა სამსახურებრივად. ამ ხნის განმავლობაში მას აგრეთვე არ აქვს უფლება ასეთი დაწესებულებიდან ან საწარმოდან მიიღოს შემოსავალი.

ამასთან მითითებული კანონის 11-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ამ კანონის ნორმების მოქმედება ვრცელდება დიპლომატიური სამსახურის თანამშრომლებზეც, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

იზოლდა ერგემლიძე
ქ.ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგებმა კომპეტენტური ორგანოების მიერ შესწავლილი ფაქტების საფუძველზე მივმართეთ კულტურის სამინისტროს კორუფციაში მხილებული დირექტორის ქ.ნ ენი არსენიძის პასუხისმგებლობის საკითხის თაობაზე. კულტურის მინისტრის მოადგილე ქ.ნ თ.ქვარიანი აშკარად მფარველობს ქ.ნ ენის არსენიძეს და მიზან მიმართულად აჭიანურებს ჩვენი მიმართვების პასუხების გაცემას. გთხოვთ გაგვიწიოთ დახმარება კულტურის სამინისტროს პასუხების მიღებაში.

ქალბატონო იზოლდა,
ჩვენ ვიძლევით კონსულტაციას სამართლებრივ საკითხებზე მხოლოდ და მხოლოდ. აღნიშნული საკითხი კი არ შედის ამ კონსულტაციის ფარგლებში.

გიორგი ჯოხაძე
გთხოვთ გვიპასუხოთ, შ.პ.ს.-ში შეთავსებით მომუშავე პიროვნებას, რომელიც არის ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი ეკუთვნის თუ არა ფასიანი შვებულება, და ასევე გთხოვთ მიგვითითოთ კოდექსის მუხლები, რომლითაც არ ეკუთნის (ან ეკუთნის). მისი ძირითადი სამსახური არის ტექნიკურ უნივერსიტეტში.

ბატონო გიორგი,
საქართველოს "შრომის კანონთა კოდექსი" არეგულირებს რა მუშა-მოსამსახურეების შრომით ურთიერთობებს საწარმოსთან, ორგანიზაციასთან, დაწესებულებასთან, არ იძლევა რაიმე შეზღუდვას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენ ადგილას შეუძლია პირს მუშაობა, აქედან გამომდინარე მუშაობთ რა ორ ადგილას, თქვენ გეკუთვნით შვებულება თითოეულ ადგილზე დამოუკიდებლად. 67-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით:

"1. ყველა მუშაკს ეძლევა ყოველწლიური შვებულება სამუშაო ადგილის (თანამდებობის) და ხელფასის შენარჩუნებით."

ლამარა ქოზაშვილი
გთხოვთ, გვიპასუხოთ, რაიონული სახელმწიფო არქივის თანამშრომლები ითვლებიან თუ არა საჯარო მოსამსახურეებად?

ქალბატონო ლამარა,
საქართველოს კანონის "საჯარო სამსახურის შესახებ" 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად:

**მუხლი 1. საჯარო სამსახურისა და სახელმწიფო თანამდებობის ცნება**

1. საჯარო სამსახური (შემდგომ - სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში.

ხოლო მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით:

**მუხლი 2. სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების ცნება**

1. სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომ - დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანა საჯარო ხელისუფლების განხორციელებაა.

აგრეთვე მე-4 მუხლის თანახმად:

**მუხლი 4. საჯარო მოსამსახურის ცნება**

1. საჯარო მოსამსახურე (შემდგომ - მოსამსახურე) არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

2. მოსამსახურე, რომელსაც აქვს სამსახურებრივი ურთიერთობა სახელმწიფოსთან, არის სახელმწიფო მოსამსახურე, ხოლო პირი, რომელიც სამსახურებრივ ურთიერთობაშია ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულთან, არის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურე.

ამრიგად, მუშაობთ რა რაიონული სახელმწიფო არქივის თანამშრომლებად, ბრძანდებით საჯარო მოსამსახურეები.

ჟუჟუნა გულედანი
ბინის მეპატრონე გარდაიცვალა 1999წ. ორდერში ერთად ირიცხება ორი ბინა ნომერი 56 და ნომერი 57. შეიძლება თუ არა ორივე ბინა გაფორმდეს ცალცალკე და რა თანხა იქნება გადასახდელი. თუ ისევ ორი ბინა თუ ერთად გაფორმდება, რა თანხაა გადასახდელი. ბინა პრივატიზირებულია 1992 წლიდან.

ქალბატონო ჟუჟუნა,
თქვენ შეგიძლიათ ეს ბინები გააფორმოთ როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე. სანოტარო ბიუროში და საჯარო რეესტრში შეგიძლიათ, გაარკვიოთ თუ რა მოსაკრებლებია დადგენილი მათი მომსახურეობისათვის. ხოლო საქართველოს კანონის "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" 22-ე მუხლის თანახმად:

**მუხლი 22. გარიგების ღირებულების საფუძველზე დადგენილი საზღაურის განაკვეთები**

1. ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგების ღირებულების საფუძველზე დადგენილი საზღაურის განაკვეთებია:

| № | რიგის გარიგების ღირებულება | საზღაურის ოდენობა ლარებში ერთი გარიგების ღირებულებიდან |
|---|---|---|
| 1. | 500 ლარის ჩათვლით | 3 % |
| 2. | 501 ლარიდან 1000 ლარის ჩათვლით | 15 ლარი + 500 ლარის ზევით თანხის 2,5 % |
| 3. | 1001 ლარიდან 2000 ლარის ჩათვლით | 27,5 ლარი + 1000 ლარის ზევით თანხის 1,5 % |
| 4. | 2001 ლარიდან 3000 ლარის ჩათვლით | 42,5 ლარი + 2000 ლარის ზევით თანხის 1 % |
| 5. | 3001 ლარიდან 5000 ლარის ჩათვლით | 52,5 ლარი + 3000 ლარის ზევით თანხის 0,5 % |
| 6. | 5001 ლარიდან 20000 ლარის ჩათვლით | 62,5 ლარი + 5000 ლარის ზევით თანხის 0,4 % |
| 7. | 20001 ლარიდან 100000 ლარის ჩათვლით | 122,5 ლარი + 20000 ლარის ზევით თანხის 0,3 % |
| 8. | 100001 ლარიდან 500000 ლარის ჩათვლით | 362,5 ლარი + 100000 ლარის ზევით თანხის 0,2 % |
| 9. | 500001 ლარიდან 1000000 ლარის ჩათვლით | 1162,5 ლარი + 500000 ლარის ზევით თანხის 0,1 % |
| 10. | 1000000 ლარის ზევით | 1662,5 ლარი + 1000000 ლარის ზევით თანხის 0,05 % |

2. თუ ამ კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ცალმხრივ გარიგებათა დამოწმებისათვის საზღაურია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული განაკვეთების ნახევარი ოდენობა.

3. ამ მუხლით განსაზღვრული საზღაური არ უნდა იყოს 10000 ლარზე მეტი.

ამრიგად, თქვენ მიმართავთ რა სანოტარო ბიუროს, გადაიხდით ბინების ღირებულების შესაბამისად დადგენილ საზღაურს, რომელიც ცალმხრივი გარიგების დამოწმებისას განახევრდება.

თემური ხუხუნაიშვილი
საჯარო მოსამსახურეს, ერთ წლიანი ან 6 თვის ხელშეკრულებით მომუშავეს ეკუთვნის თუ არა შვებულება. უნაზღაურდება თუ არა საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა, ეკუთვნის თუ არა პრემია ან დანამატი ხელფასზე თუ ასეთს ღებულობს შტატით მომუშავენი. საჯარო სამსახურში ხელმძღვანელ თანამდებობაზე (განყოფილების გამგე ან სამსახურის უფროსი და მეტი) შეიძლება თუ არა, დაინიშნოს ისეთი პიროვნება, რომელიც ერთ დღესაც კი არ აქვს შრომის სტაჟი.

ბატონო თემური,
საქრთველოს კანონის "საჯარო სამსახურის შესახებ" 41-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად:

**მუხლი 41. მოსამსახურის შვებულება**

1. მოსამსახურეთათვის დგინდება ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით, თუ კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის უფრო ხანგრძლივი პერიოდი.

ამრიგად, შვებულების მისაღებად საჭიროა, მოსამსახურე მსახურობდეს მინიმუმ ერთი წელი.

რაც შეეხება საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის ანაზღაურებას და პრემიასა თუ დანამატს ხელფასზე 37-ე და 45-46ე მუხლები ადგენენ:

**მუხლ მუხლი 37. შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) და ნამსახურევი წლების დანამატი**

1. ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი).

2. შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) გარდა მოსამსახურეს ეძლევა დანამატი ნამსახურევი წლებისათვის თანამდებობრივი სარგოს შემდეგი ოდენობით:

ა) 5 წლამდე - 10 პროცენტი;
ბ) 5-დან 10 წლამდე - 20 პროცენტი;
გ) 10-დან 15 წლამდე - 25 პროცენტი;
დ) 15 წელი და მეტი - 30 პროცენტი;

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დანამატი მოსამსახურეს საერთოდ არ ეძლევა ან შეიძლება შეუმცირდეს მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების პერიოდში.

4. მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი. საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების, დანამატებისა და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი.

**45. მოხელის გადაყვანა ჯამრთელობის მდგომარეობის გამო**

მოხელეს, რომლის ჯანმრთელობა სამედიცინო დასკვნის საფუძველზე წინააღმდეგ ნაჩვენებია დაკავებულ თანამდებობაზე სამსახურის გაგრძელებასთან, უფლება ეძლევა იმავე დაწესებულებაში მიიღოს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისი თანამდებობა, გარდა კონკურსის წესით შესავსები თანამდებობისა. თუ აღნიშნულ დაწესებულებაში არ არის მოხელის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისი თანამდებობა ან თუ მოხელე ვერ აკმაყოფილებს სხვა მოთხოვნებს, იგი თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან დადგენილი წესის მიხედვით.

**მუხლი 46. მოხელის სამსახურებრივი პირობების დროებით შემსუბუქება და მისი დროებით გადაყვანა**

1. სამედიცინო დასკვნის საფუძველზე მოხელეს უფლება აქვს მოითხოვოს სამსახურებრივი პირობების დროებით შემსუბუქება ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამის თანამდებობაზე დროებით გადაყვანა, გარდა კონკურსის წესით დასაკავებელი თანამდებობისა. მოხელეს ეძლევა ახალი თანამდებობის შესაბამისი თანამდებობრივი სარგო, თუ იგი აღემატება ძველი თანამდებობრივი სარგოს ოდენობას. თუ ახალი თანამდებობის შესაბამისი თანამდებობრივი სარგო ძველ თანამდებობრივ სარგოზე ნაკლებია, მოხელეს უნარჩუნდება ძველი სარგო.

2. მოხელისათვის სამსახურებრივი პირობების შემსუბუქების და მისი შესაბამისი გადაყვანის შეუძლებლობის შემთხვევაში, სამედიცინო დასკვნაში მითითებული ვადის გათვალისწინებით მოხელე თავისუფლდება თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისაგან, მაგრამ არა უმეტეს 3 თვისა.

ხოლო რაც შეეხება თანამდებობაზე დასანიშნი პირისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, კანონის მე-15-17 მუხლები ადგენენ:

**მუხლი 15. სახელმწიფო მოხელისათვის დადგენილი ძირითადი მოთხოვნები**

სახელმწიფო მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 21 წლის ასაკს და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.

**მუხლი 16. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელისათვის დადგენილი ძირითადი მოთხოვნები**

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელედ შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 18 წლის ასაკს, აქვს საშუალო განათლება მაინც და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.

**მუხლი 17. პირი, რომელიც არ მიიღება საჯარო სამსახურში**

საჯარო სამსახურში არ მიიღება პირი, თუ იგი:

ა) ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვს ნასამართლობა;

ბ) იმყოფება წინასწარი გამოძიების ქვეშ ან პატიმრობაში;

გ) სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ;

დ) სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება;

ე) სამედიცინო დასკვნის თანახმად მისი ჯანმრთელობა არ აკმაყოფილებს მოცემული თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს;

ვ) თანამდებობის დაკავების შედეგად უშუალო სამსახურებრივი ზედამხედველობით უკავშირდება მშობელს, მეუღლეს, დას, ძმას, შვილს ან მეუღლის დას, ძმას, მშობელს;

ზ) არის უცხო ქვეყნის მოქალაქეობის პრეტენდენტი, კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა.

ამრიგად, თუ პირი აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, იგი შეიძლება დაინიშნოს თანამდებობაზე.

ივანე შენგელია
ვარ გაურკვეველი ომის მონაწილე თუ მასთან გათანაბრებული. ვაკე-საბურთალოს სამხედროს მივაჩნივარ სამამულო ომის მონაწილედ მესამე წელია. ეყრდნობა ბრძანებას ნომერ 137, გაცემული 2005 წლის 20 იანვარს, სადაც მითითებულია საფუძველი - შრომის წიგნაკი საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 17 ოქტომბრის ბრძანების მე-7 მუხლის მეცხრე პუნქტი. ამავე მონაცემებზე დაყრდნობით შემდეგ შექმნილი დეპარტამენტი (რუსთაველის 28) მთვლის მხოლოდ გათანაბრებულად. ამიტომ რაიონის სოც.უზრუნველყოფა 45 ლარიან პენსიას მიცვლის 35 ლარით და რაც აქამდე ამილია მის დასაფარავად 5 თვეა ნაცვლად 35-ისა ვიღებ 26 ლარს. ჩემს მიერ არავითარი სიყალბე ჩადენილი არ არის. მივმართე განცხადებით ვეტერანთა სარაიონო საბჭოს გაერკვიათ, ვის მიერაა დაშვებული შეცდომა და დასაჯონ შემცდარი. (მაქვს ამონაწერი, რომ იმავე მუხლით და პუნქტით იმავე სოც.უზრუნველყოფაში სხვა პიროვნება ომის მონაწილედაა ჩათვლილი). იქნებ განიმარტოთ, რა შინაარსისაა აღნიშნული 1995 წლის ბრძანების მე-7 მუხლის მეცხრე პუნქტი და რატომაა იგი გამოტანილი მეშვიდე მუხლის გარეთ, ხო მარ ხდება მოქალაქის უფლებების დარღვევა.

ბატონო ივანე,
საქართველოს კანონის "ომოისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" მე-7 მუხლის თანახმად, მეორე მსოფლიო ომისა და მათთან გათანაბრებულ ვეტერანებად ითვლებიან:

მუხლი 7. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს მიეკუთვნებიან:

1. სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის თადარიგში დათხოვნილები (გადამდგარნი), რომლებიც გადიოდნენ სამხედრო სამსახურს ან დროებით იმყოფებოდნენ მეორე მსოფლიო ომის ან სამშობლს დაცვის სხვა საბრძოლო ოპერაციების დროს მოქმედი არმიის შემადგენლობის სამხედრო ნაწილებში, შტატებსა და დაწემებულებებში, აგრეთვე ომის წლებში დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი პარტიზანები და იატაქვეშა ორგანიზაციების წევრები;

2. სახედრო მოსამსახურეები, მათ შორის სამხედრო სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილები (გადამდგარნი), აგრეთვე შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების რიგითი და მეთარუთა შემადგენლობის პირები, რომლებიც ომის წლებში გადიოდნენ სამსახურს ქალაქებში, რომელთა დაცვაში მონაწილეობა ჩაითვლება წელთა ნამსახურობაში შეღავათიანი პირობებით პენსიის დანიშვნისათვის, რაც დაწესებულია მოქმნდი არმიის სამხედრო ნაწილთა სამხედრო მომსახურისათვის;

3. არმიის, ფლოტის, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ნებაყოფდობით დაქირავებული პირები, რომლებსაც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ეკავათ საშტატო თანამდებობები მოქმედი არმიის შემადგენლობაში შემავალ სამხედრო ნაწილებში, შტატებსა და დაწესებულებებში ან რომელიც ამ პერიოდში იმყოფებოდნენ ქალაქებში, რომელთა დაცვაში მონაწილეობა ჩაითვლება წელთა ნამსახურებაში შეღავათიანი პირობებით პენსიის დასანიშნავად, რაც დაწესებულია მოქმედი არმიის სამხედრო ნაწილების სამხედრო მოსამსახურეებისათვის;

4. დაზვერვისა და კონტრდაზვერვის თანამშრომლები და სხვა პირები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სპეციალურ დავალებებს ასრულებდნენ მოქმედი არმიის ნაწილებში, მტრის ზურგში ან სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე;

5. სამხედრო ობიექტებისა და საწარმოების, სახალხო კომისარიატების მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს გადაყვანილი იყვნენ სამხედრო მოსამსახურეების მდგომარეობაზე და ასრულებდნენ მოქმედი არმიისა და ფლოტისათვის სამხედრო დაკვეთებს, აგრეთვე ზურგის მუშაკები, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან ორდენებითა და მედლებით ომის წლებში მამაცური შრომისათვის, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების (მათ შორის, კულტურისა და ხელოვნების) მუშაკები, ცენტრალური გაზეთების, ჟურნალების, სატელეგრაფო სააგენტოს, საინფორმაციო ბიუროთა კორესპონდენტები, დოკუმენტური კინოფილმების ცენტრალური სტუდიის (კინოქრონიკის) კინოოპერატორები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის წლებში მივლინებული იყვნენ მოქმედ არმიაში სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 7 ივლისის N6139 დადგენილებითა და მის საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის (ბ) 1944 წლის 21 ივლისის ერთობლივი დადგენილებით, ამიერკავკასიაში მშენებარე მეტალურგიული ქარხნის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის მიზნით სამხედრო მობილიზაციით გაწვეული მეტალურგები, საქართველოში მცხოვრები სოციალისტური შრომის გმირები;

6. გამანადგურებელი ბატალიონების, ოცეულებისა და სახალხო დაცვის რაზმების მოსამსახურეები, მათ შორის სამხედრო სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილები (გადამდგარნი) შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მებრძოლები და მეთაურთა შემადგენლობის პირები, რომლებიც ომის დროს მონაწილეობდნენ მთავრობის საბრძოლო დავალებათა შესრულებაში;

7. პირები, რომლებიც პარტიზანული რაზმების, იატაქვეშელთა ჯგუფებისა და ანტიფაშისტური ფორმირებების შემადგენლობაში მონაწილეობდნენ ფაშისტური გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში სახელმწიფოთა ტერიტორიაზე;

8. სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის სამხედრო სამსახურიდან თადარიგში დათხოვილები (გადამდგარნი), რომლებიც 1941 წლის 22 ივნისიდან 1945 წლის 3 სექტემბრამდე გადიოდნენ სამხედრო სამსახურს იმ სამხედრო ნაწილებში, დაწესებულებესა და სამხედრო სასწავლებლებში, რომლებიც არ შედიოდნენ მოქმედი არმიის შემადგენლობაში და დაჯილდოებული არიან მედლით "1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვებისათვის" ან მედლით "იაპონიაზე გამარჯვებისათვის";

9. პირები, რომლებიც ომის წლებში მუშაობდნენ საჰაერო თავდაცვის, ადგილობრივი თავდაცვის ობიექტებზე, აგრეთვე თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობებზე, საზღვაო ბაზებში, აეროდრომებსა და სხვა სამხედრო ობიექტებზე მოქმედი ფრონტის ზურგში და რკინიგზისა და საავტომობილო გზების ფრონტისპირა უბნებზე;

10. ომის დასაწყისში სხვა სახელმწიფოების ნავსადგურებში ინტერნირებული სატრანსპორტო ფლოტის ხომალდების ეკიპაჟის წევრები;

11. პირები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის წლებში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დავალებით აგროვებდნენ საბრძოლო მასალებს და სამხედრო ტექნიკას, განნაღმავდნენ ტერიტორიებსა და ობიექტებს;

12. პირები, რომლებიც ქალაქ ლენინგრადის ბლოკადის პერიოდში 1941 წლის 8 სექტემბრიდან 1944 წლის 27 იანვრამდე მუშაობდნენ მის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში და დაჯილდოებული არიან მედლით "ლენინგრადის დაცვისათვის" ან ნიშნით "ლენინგრადის ბლოკადის მცხოვრებს";

13. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საკონცეტრაციო ბანაკებსა და გეტოებში იძულებით პატიმრობაში მყოფი მეომრები და სხვა პირები, რომლებსაც დამატყვევებელი მხარის სასარგებლოდ წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა არ მიუღიათ ნებაყოფლობით და ყოფილ არასრულწლოვანი პატიმრები.

სამხედრო ნაწილების, შტაბებისა და დაწესებულებების ნუსხას, რომლებიც ომის წლებში შედიოდნენ მოქმედი არმიის შემადგენლობაში, აგრეთვე ნუსხას იმ ქალაქებისა, რომელთა დაცვაში მონაწილეობა ჩაითვლება წელთა ნამსახურობაში შეღავათიანი პირობებით პენსიის დასანიშნავად, რაც დაწესებულია მქმედი არმიის საბრძოლო ნაწილების სამხედრო მომსარებისათვის, ამტკიცებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური საქართველოს სახელმწიფოს მეთაური საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის წარდგინებით.

გივი მაჭარაშვილი
1999 წელს დამაჯილდოვეს ღირსების ორდენით. იმ მოტივით, რომ ჯილდო მივიღე 1999 წელს და არა 2002 წლის შემდეგ და რომ მონაწილეობა არ მიმიღია აფხაზეთის ბრძოლებში, ფინანსთა სამინისტრო (სადაც მათი მოთხოვნით ჩავაბარე ორდენის მიღებასთან დაკავშირებული საბუთების ასლები) უარს მეუბნება ორდენის მიღებასთან დაკავშირებულ და დაკანონებულ ფულად ანაზღაურებაზე. ვარ 80 წელს გადაცილებული ასაკის, ჩერნობილის ავარიის მონაწილე, მეორე ჯგუფის ინვალიდი. გთხოვთ, გაგვიმარტოთ, რამდენად კანონიერია ფინანსთა სამინისტროს მოქმედება.

ბატონო გივი,
საქრთველოს კანონის "სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ" მე-7 და მე-8 პუნქტების თანახმად:

7. ამ კანონის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცეს იმ პირებზე, რომლებიც:

ა) დაჯილდოვდებიან 2003 წლის 1 იანვრიდან;
ბ) მონაწილეობდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანო-ბისათვის, აფხაზეთსა და შიდა ქართლში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში, დაჯილდოების პერიოდის მიუხედავად;
გ) დაჯილდოვდნენ სიკვდილის შემდეგ.

8. ამ კანონის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საქართველოს სახელმწიფო ჯილდოზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემია იმ პირებზე, რომლებიც მითითებულნი არ არიან ამ კანონის მე-7 პუნქტში, გაიცეს 2006 წლის 1 იანვრიდან.

ამრიგად, თქვენზე ღირსების ორდენისთვის დაწესებული ფულადი თანხა გაიცემა 2006 წლის 1-ლი იანვრიდან.

ელგუჯა ბერაძე
ვმუშაობდი გაზის ტრანსპორტირების კომპანიაში გარდაბნის გაზგამანაწილებელ სადგურში ოპერატორად. ვმუშაობდით ვახტური მეთოდით 24 საათის განმავლობაში ყოველ მე-4 დღეს. თვეში გვიწევდა მაქსიმუმ 8 გამოსვლა (192 საათი). შტატების შემცირების შემდეგ ერთ-ერთი ოპერატორის შვებულებაში ყოფნისას ან ავადმყოფობისას გვიწევს მუშაობა ყოველ მე-3 დღეს (თვეში 240 სათი). ზეგანაკვეთური მუშაობის საათებზე არ გვეძლეოდა დამატებითი ანაზღაურება იმ მოტივით, რომ ჩვენს ხელფასში (220 ლარი) უკვე ყველაფერი გათვალისწინებულიაო. არ ვიღებდით ანაზღაურებას არც დღესასწაულის დღეებში მუშაობისას. გვეკუთვნოდა თუ არა დამატებითი ანაზღაურება ზეგანაკვეთურ საათებში და დღესასწაულის დღეებში? დამოკიდებულია თუ არა ზეგანაკვეთური საათებისა და დღესას-

გაგრძელება A8 გვერდზე

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

დასაწყისი A7 გვერდზე

წაულის დღეების ანაზღაურება ხელფასის სიდიდეზე? სავალდებულოა თუ არა ადმინისტრაციის მიერ ზეგანაკვეთური საათებისა და ნამუშევარი დღესასწაულის დღეების აღრიცხვა.

ბატონო ელგუჯა,

საქართველოს "შრომის კანონთა კოდექსის" 86-ე მუხლის თანახმად:

"1.ზეგანაკვეთური მუშაობისათვის შრომის ანაზღაურება ხდება პირველი ორი საათისათვის - შრომის ანაზღაურების ერთნახევარი ოდენობით, მომდევნო საათებისათვის კი ორმაგი ოდენობით.

2.ზეგანაკვეთური მუშაობის კომპენსაცია დღემაგიერის მიცემით დაუშვებელია."

87-ე მუხლის მიხედვით კი:

"1. უქმე დღეებში მუშაობა ორმაგად ანაზღაურდებათ:

ა) მენარდეებს - ორმაგი ფასდებით;

ბ) მუშაკებს, რომელთა შრომის ანაზღაურება ხდება საათობრივი ან დღიური განაკვეთებით - საათობრივი ან დღიური განაკვეთების ორმაგი ოდენობით;

გ) მუშაკებს, რომლებიც თვიურ ხელფასს იღებენ საათობრივი ან დღიური განაკვეთების ერთმაგი ოდენობით, გარდა ხელფასისა, თუ მუშაობა უქმე დღეს წარმოებდა სამუშაო დროის თვიური ნორმის ფარგლებში საათობრივად ან დღიური განაკვეთის ორმაგი ოდენობით, გარდა ხელფასისა, თუ მუშაობა წარმოებდა თვიური ნორმის ზევით.

2. მუშას ან მოსამსახურეს, რომელიც უქმე დღეებში მუშაობდა, შეიძლება მიეცეს მისი სურვილის მიხედვით სხვა დასვენების დღე."

ამავე კოდექსის თანახმად, ადმინისტრაცია ვალდებულია აღრიცხოს ზეგანაკვეთური სამუშაო საათები და უქმე დღეები. ასევე შრომის ხელშეკრულებით ადმინისტრაცია და მუშა-მოსამსახურე განსაზღვრავენ შრომის პირობებს და ხელფასის ოდენობას. ეს ხელფასი იქნება გასამრჯელო საწარმოში ჩვეულებრივი მუშაობისათვის, როგორც თქვენი მსგავსი მუშაკისათვის. ამასგარდა აღნიშნული ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს მითითებულ პირობებში მუშაობისას ხელფასის გაზრდას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს კანონით დაწესებულ ნორმებს. თუ შრომის ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული ხელფასის გაზრდა ზეგანაკვეთური მუშაობისას ანდა უქმე დღეებში მუშაობისას, მიუხედავად ამისა მოქმედებს აღნიშნული მუხლები.

ირაკლი მარშანია

სოხუმის კ. გამსახურდიას სახ. საელმწიფო დრამატული თეატრი იმყოფება აფხაზეთის ა/რ ბიუჯეტის დაფინანსებაზე. გვინდა, რომ ჩამოვყალიბდეთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად. " საქართველოს თეატრების შესახებ" საქრთველოს კანონით განსაზღვრულია აფხაზეთის ა/რ თეატრების რეგისტრაციის წესი, მართვის მექანიზმები, ასევე დაფინანსების წყარო, მაგრამ არ არის გათვალისწინებული აფხაზეთის ა/რ ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი თატრების შექმნის წესი. ზემოთ აღნიშნული კანონის მე-9 მუხლის "ა" პუნქტის თანახმად, ზოგადად დადგენილია, რომ სახელმწიფო თატრის დამფუძნებელია სახელმწიფო, მაგრამ ამ კანონით კონკრეტულად არ არის გათვალისწინებული აფხაზეთის ა/რ ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი თატრების შექმნის მექანიზმი. შესაბამისად "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ " საქართველოს კანონის გავრცელება შეუძლებელია ამ შემთხვევაზე. კონკრეტულად როგორ ვიმოქმედოთ იმისათვის, რომ განისაზღვროს ჩვენი სამართლებრივი სტატუსი და ჩამოვყალიბდეთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად?

ბატონო ირაკლი,

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის თანახმად:

**მუხლი 2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნება**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.

ამრიგად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას კანონის საფუძველზე, პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით. ესეიგი, მისი შექმნა შეუძლია სახელმწიფოს, ხოლო კერძო პირებს კი შეუძლიათ შექმნან მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიული პირები. ასევე შეიძლება ითქვას თეატრების მიმართ. თუ თქვენი თეატრი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, მას ხელახალი დაფუძნება არ სჭირდება.

ვალერიან ღვინჯილია

1."საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი, გთხოვთ, განმიმარტოთ და ჩამიწეროთ რას გულისხმობს.

2."საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 93-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილება, გთხოვთ, აესვე ჩამოაყალიბოთ, რას გულისხმობს და ჩამიწეროთ.

3.თუ მოხელე ასაკოვანია, მაგრამ ფიზიკურად და აზროვნებით პრაქტიკულად ჯანმრთელია (შრომისუნარიანია სპეციალობით მუშაობისათვის), შეიძლება თუ არა მხოლოდ ხანდაზმულობის მიოტივიგახდეს საფუძველი სამუშაოდან განთავისუფლებისათვის. გთხოვთ, ამ საკითხზეც გვიპასუხოთ.

ბატონო ვალერი,

1. აღნიშნული კანონის 25-ე მუხლი შეეხება სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებს, რომლის 1-ლი და მე-3 პუნქტების თანახმად:

მუხლი 25

1. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება წარმოადგენს სამინისტროს გამგებლობაში არსებულ ალმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებას.

2. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება იქმნება, გარდაიქმნება და საქმიანობას წყვეტს კანონით ან მთავრობის დადგენილებით.

3. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება იქმნება სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ ან სხვა სფეროებში სახელმწიფოებრივი ამოცანებისა და საჯარო ფუნქციების განსახორციელებლად.

ამრიგად, მეორე პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება იქმნება, გარდაიქმნება და საქმიანობას წყვეტს კანონით ან მთავრობის დადგენილებით. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი შექმნა შიძლება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რომ მისი საქმიანობა და რეორგანიზაციაც იწარმოება აღნიშნული კანონით. ასევე მთავრობას თავისი დადგენილებით შეუძლია შექმნას იგი, განსაზღვროს მისი საქმიანობა, საქმიანობის შეწყვეტისა თუ რეორგანიზაციის წესი. ესეიგი, რომელიმე კონკრეტული კანონი ან დადგენილება მიიღება მითითებული დაწესებულების შესაქმნელად.

2. "საჯარო სამსახურის შესახებ კანონის" 93-ე მუხლის მიხედვით:

**მუხლი 93. სამსახურიდან განთავისუფლება**

მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს.

ამრიგად, ეს იმას ნიშნავს, რომ მოხელის სამსახურიდან განთავისუფლება შეუძლია იმ პირს, რომელსაც რომელიმე კონკრეტული კანონის საფუძველზე უფლება აქვს მიიღოს და გაანთავისუფლოს საჯარო მოსამსახურეები. განთავისუფლების პირობებს კი მიუთითებს აღნიშნული კანონი და ზოგიერთი საჯარო მოსამსახურისათვის შესაბამისი სპეციალური კანონი.

3. "საჯარო სამსახურის შესახებ კანონის" 101-ე მუხლის თანახმად:

**მუხლი 101. განთავისუფლება ასაკის გამო**

მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან ასაკის გამო ამ კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

მაშასადამე, მოხელე, რომელიც გახდება 65 წლის, შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან. როგორც მოყვანილი მუხლიდან ჩანს, პირს, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს საჯარო მოსამსახურე სამსახურში, კანონის მიხედვით, მისი უფლებაა გაანთავისუფლებს თუ არა საპენსიო ასაკს მიღწეულ პირს სამსახურიდან.

ავტოსადგომის მორიგეები

1. დღის ავტოსადგომზე თვეების განმავლობაში ვაბარებდდით ყოველდღიურ გეგმას, მაგრამ ხელფასი არ მიგვიღია ბრიგადის არც ერთ წევრს. სადგომის უფროსის განმარტებით თურმე გაფორმებულები არ ვყოფილვართ, თუმცა ყველა საჭირო საბუთები ჩაბარებული გვქონდა. იურიდიულად სამართლიანია თუ არა ადმინისტრაციის ქმედება და ვის მივმართოთ ჩვენი კუთვნილი ხელფასის ასაღებად?

2. წლის რომელი დღეებია, როდესაც გეგმა არ ბარდება ავტოსადგომზე?

3. ვის ევალება ავტოსადგომზე კერძო ტაქსების დგომის საფასურის დადგენა და რამდენია ყველაზე მინიმალური გადასახადი მთელი დღის განმავლობაში?

4. ვის ეკუთვნის შელავათი ავტოსადგომზე, რომელსაც გადახდა არ ეხება?

ბატონო მოქალაქენო,

საქართველოს "შრომის კანონთა კოდექსის" მე-19 მუხლის თანახმად:

"შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი) იდება წერილობითი ფორმით და ძალაშია მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან, თუ შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) პირობებში სხვა რამ არაა მითითებული.

სამუშაოზე მიღება ფორმდება საწარმოს, დაწესებულების , ორგანიზაციის ადმინისტრაციის ბრძანებით (განკარგულებით). ბრძანების (განკარგულების) გამოცხადების შესახებ მუშაკს ჩამოართმევენ ხელწერილს.

შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი) დადებულად ითვლება მაშინაც, როცა ბრძანება ან განკარგულება არ იყო გაცემული, მაგრამ მუშაკი ფაქტიურად დაშვებული იყო სამუშაოდ, იმ თანამდებობის პირის მიერ, ვისაც ამ სამუშაოზე მიღებისა და განთავისუფლების უფლება აქვს."

ამრიგად, თუ თქვენ მიგიღოთ სამსახურში იმ პირმა, რომელსაც თანამდებობრივად თქვენი მიღება-განთავისუფლების Uუფლება აქვს, ითვლებით სამსახურში ოფიციალურად მიღებულად და უფლება გაქვთ მიიღოთ გაწეული სამსახურისათვის ხელფასი. ხელფასის მისაღებად უნდა მიმართოთ ადმინისტრაციას. უარის შემთხვევაში შრომითი დავის კომისიას, თუ თქვენ არ დაეთანხმებით აღნიშნული კომისიის გადაწყვეტილებას, შეგიძლიათ მიმართოთ საწარმოს პროფკავშირს, თუ არც ამის გადაწყვეტილებას დაეთანხმებით, მაშინ შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს. თუ თქვენ საწარმოში არ არის შექმნილი შრომითი დავის კომისია, მაშინ შეგიძლიათ, მიმართოთ უშუალოდ სასამართლოს. რაც შეეხება სხვა თქვენს მიერ დასმულ კითხვებს, მათზე პასუხების გაგების უფლება გაქვთ ადმინისტრაციისადმი მიმართვით.

ჯულიეტა ქვაცბაია

ვარ ლტოლვილი აფხაზეთიდან. 11 წლი განმავლობაში ჩემი საოჯახო ანკეტა იყო ცალკე ოჯახად რეგისტრირებული. შარშან ორი თვე არ ვიყავი თბილისში და ჩემი კუთვნილი დახმარების ფული რომ ვერ აიღეს, ჩემს ძმას ჩემი საოჯახო ანკეტის ნომერი შეუერთებია მის საოჯახო ნომერს, ლტოლვილთა სამინისტროში. ჩემი ძმის ოჯახია: თვითონ, მისი მეუღლე, სამი შვილი და დედაჩემი. ესეიიგი ჩვენ ვიყავით ორი ოჯახი, ჩემი ძმის ოჯახი ცალკე და მე ცალკე ოჯახი. მე ვარ მარტოხელა, როდესაც გავალ პენსიაზე, ხომ მომენიჭება მარტოხელას სტატუსი, მაგრამ ყველანაირ დახმარებას დავკარგავ, იმიტომ, რომ ვარ ძმის ოჯახში ჩაწერილი ერთ ოჯახად. ახლა ახალი რეგისტრაცია რომ იყო, ვუთხარი, თანაც ცნობა წარვადგინე, რომ ვცხოვრობ ცალკე ბინაში. არ გამატარეს ცალკე ოჯახად, მისამართი ერთი და იგივე არისო, კი ბატონო მისამართი ერთია, მაგრამ სხვა ბინაში ვცხოვრობ, ჩემს მისამართზე 50 ოჯახი ცხოვრობს. ყველა ერთი ოჯახი ხომ არ არის. ქუჩა და სახლის ნომერი ერთია, მაგრამ ბინა სხვა. გთხოვთ, გამარკვიოთ, როგორ მოვიქცე, რომ ცალკე ოჯახად დავრეგისტრირდე?

ქალბატონო ჯულიეტა,

აღნიშნული სამინისტრო ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. ამიტომ თქვენ უფლება გაქვთ მიმართოთ მას განცხადებით და მიიღოთ მასზე პასუხი, ე.ი. შეგიძლიათ მიმართოთ განცხადებით, რომ თუ რომელი კანონით ანდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ხელმძღვანელობენ, მათ კი უნდა მიგითითონ ისინი. შემდეგ კი იმოქმედებთ მითითებული კანონის თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად.

საზოგადოება

# გადაგდებულები

*ბოლო დროს ხშირად ვდგებით ისეთი შემზარავი ფაქტების წინაშე, როგორიც დედის მიერ ახალდაბადებული შვილის სასიკვდილოდ გამეტებაა. გადაგდებული ბავშვების შესახებ ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა რამდენიმე ხნის წინ, მარტო ერთი კვირის განმავლობაში, მსგავსი სამი შემთხვევა დაფიქსირდა.*

თამარ მაისურაძე

გახმაურებული ფაქტებიდან ბოლო შემთხვევა თბილისში, სამრეწველო დასახლებაში მოხდა, სადაც 20 წლის თამარ ისაევამ ბავშვი სახლში, დედის დახმარებით გააჩინა. საპირფარეშოში გადაგდებული ჩვილი მეზობლებმა შემთხვევით იპოვნეს.

"ბავშვის ტირილის ხმა გავიგეთ... საპირფარეშოდან ისმოდა. რამდენიმე წუთის გაჩენილი ჩვილი ვედროში ეგდო. არ ვიცით, ქალალდები მერე დაწვეს, თუ იქამდე იყო დამწვარი, მაგრამ ფაქტია, რომ ვედროდან ბოლი ამოდიოდა. ახალდაბადებული ბავშვი სველია და ცეცხლი ჩააქრო. ისეთი მურიანი იყო, რომ ძაღლის ლეკვი გეგონებოდა," - გვითხრა თამარ ისაევას მეზობელმა თამილა ნადირაშვილმა.

მომხდარი ფაქტით გაოგნებული მეზობლების ხმაურზე სახლიდან ჩვილის დედაც გამოვიდა და ბებიაც. "ბავშვის დედა ისეთი სახით იყურებოდა, თითქოს თავად არაფერ შუაში ყოფილიყო."

მეზობლებს თამარ ისაევზე ეჭვის აღების საბაბი ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ ისაევების სამსულიანი ოჯახი მეზობლებთან ურთიერთობისგან თავს იკავებდა, სამრეწველო დასახლებაში მცხოვრებ ნათია ვარდოსანიძეს ჰყავდა შემჩნეული ახალგაზრდა ფეხმძიმე ქალი.

"ეს ჩემი შვილი არ არის, მე არ მინდოდა ეს ბავშვი," - ამბობდა დანაშაულის აღიარების შემდეგ თამარ ისაევა.

იასევები ბარაკში ცხოვრობენ, მათი საცხოვრებელი ოთახის კედლებზე (მათ საცხოვრებელს სახლს ვერ უწოდებ) ფანერებია აკრული. წვიმიან ამინდში მათ საცხოვრებელშიც წვიმს. ისაევებს ერთი შვილი ჰყავთ, ბიჭიც ჰყოლიათ, რომელიც რამდენიმე წლის წინ მოუკლეს. უკიდურესად გაჭირვებულებს შემოსავლის არანაირი წყარო არ აქვთ. მეზობლები თამარ ისაევას ქმედებას ნაწილობრივ ამითაც ხსნიან. მათ ოჯახში არავინ მუშაობს. "თამარის მამა ქუჩაში (ნაგვის ბუნკერშიც) ეძებს და აგროვებს ბოთლებს, აბარებენ და ამით ცხოვრობენ," - ამბობენ მეზობლები და გადაგდებული ჩვილის დედის ჯანმრთელობის მდგომარეობაშიც ეჭვი შეაქვთ. "შეშლილი ადამიანი გეგონება. არაადეკვატური რეაქციები აქვს, ან იცინის, ან ტირის. ხშირად ისმოდა მისი კივილი, ნივთების მსხვრევის ხმა. ერთი სიტყვით, ისაევების ოჯახის წევრებს ნორმალურებს ვერ უწოდებ, - ამბობს ნათია ვარდოსანიძე, - პატრულისა და მეზობლების ჩარევის შემდეგ, ბავშვის დედამ ჩვილის გადაგდების ფაქტი აღიარა, თავის საქციელს კი იმით ხსნიდა, რომ ბავშვი მკვდარი ეგონა. ახალდაბადებულზე გულგრილად საუბრობდა და მისთვის შვილი არ უწოდებია."

"ნაჭერში შეეხვია და საღამოს ვინმეს კართან დაეტოვებინა, ან ბავშვთა სახლში ჩაებარებინა... მაგრამ მაგათ ბავშვთა სახლის არსებობაც არ ეცოდინებათ," - ასეთია მეზობლების განწყობა.

ის ადამიანები, რომლებიც საკუთარ შვილებს სასიკვდილოდ იმეტებენ, თავს გაჭირვებული სოციალური ყოფით იმართლებენ. რამდენად გამოდგება ეს არგუმენტი მათი საქციელის გასამართლებლად, თავად განსაჯეთ.

ფსიქოლოგიაში დადგენილია, რომ ბავშვს ფსიქიკა დაბადებამდე, დედის მუცლად ყოფნის პერიოდში უყალიბდება. ფსიქოლოგი მზია გომელაური ამბობს, რომ ჩვილი პერინატარულ (დედის მუცლად ყოფნის) პერიოდში შედის დედასთან კონტაქტში. ამდენად, დედის დამოკიდებულებას ბავშვი მუცელშივე გრძნობს. "სწორედ დედის მუცლად ყოფნისას ყალიბდება ადამიანის დამოკიდებულება, როგორც ზოგადად სამყაროს, ისე თავისი თავის მიმართ. იქიდან გამომდინარე, თუ რამდენად სასურველი, ან საყვარელია."

**- რას ნიშნავს ადამიანის ფსიქიკის ჩამოყალიბება?**

- ადამიანის ფსიქიკაზე დამოკიდებულია არა მარტო მისი ნიჭიერება და კეთილგანწყობა, არამედ ნდობა, ან უნდობლობა სამყაროს მიმართ. ეს ხომ აბსოლუტურად სხვა რამეა, ვიდრე მატერიალური კეთილდღეობა?

**- რატომ აგდებენ დედები შვილებს?**

- სხვადასხვა შემთხვევებში სხვადასხვა მიზეზებია. თუმცა, გამოსავალს ადვილად ვპოულობთ, როდესაც ვამბობთ, რომ ქალი არანორმალურია. ის, რომ ამას სოციალური პირობებიდან გამომდინარე ჩადიან, მეორეხარისხოვანია. მთავარი ფაქტორი მშობლის ფსიქიკაა. ამას ადამიანი დაბნელებული ცნობიერებით აკეთებს.

**- როგორ პიროვნებებად ყალიბდებიან გადაგდებული ბავშვები?**

- ყალიბდებიან ისეთ პიროვნებებად, როგორიც შეეფერება უკუგდებულ, გადაგდებულ, მოშორებულ არასასურველ ადამიანს. ისინი, ძირითადად, არასრულფასოვნების კომპლექსით არიან შეპყრობილნი. რაც იმას ნიშნავს, რომ მათ აქვთ მანკი, ნაკლი, რომელიც მათ ადამიანურ ფასეულობას დაბლა წევს და რომლის შევსებაც წარმოუდგენელია. ისინი ან ვინმეზე დაქვემდებარებულები არიან, ან პირიქით, აგრესიულები და უმართავები. როგორც პირველი, ისე მეორე გამოხატულებით ცდილობენ, სხვას (და საკუთარ თავს) ნებისმიერი ფორმით დაუმტკიცონ თავიანთი "შესაძლებლობები", მოაწონონ თავი. დაქვემდებარებაც და აგრესიაც არასრულფასოვნების კომპლექსის გამოხატულებაა, რომელიც, როგორც უკვე გითხარით, მის ფსიქიკაში ადამიანის ჩასახვიდან მის დაბადებამდე ჩნდება.

მსგავსი ფაქტების მომრავლების მიუხედავად, ამაში ახალი არაფერია. ბავშვის მოშორების, გადაგდების შემთხვევები ყოველთვის არსებობდა, უბრალოდ, ასე არ ხმაურდებოდა.

ადრე, დედები არასასურველ შვილს ან სამშობიარო სახლში ტოვებდნენ, ან ბავშვთა სახლში აბარებდნენ. ბავშვთა სახლის ჭიშკართანაც არაერთხელ უპოვნიათ მიტოვებული ჩვილი. ბავშვის მიგდების ფაქტები თითქმის ერთმანეთის იდენტურია, განსხვავება მხოლოდ იმ ნივთშია, რომლითაც მშობელს ბავშვი ჭიშკრამდე მიჰყავდა.

ნუცუბიძის ქუჩაზე №3-ში მდებარე ჩვილ ბავშვთა სახლის დირექტორის მოადგილე, მირანდა ადეიშვილი ფიქრობს, რომ ქუჩაში, ნაგავსაყრელზე, საპირფარეშოში გადაგდებული ბავშვების მშობლები იმ კონტინგენტს წარმოადგენენ, რომლებიც ბავშვებს ბავშვთა სახლის ჭიშკართან ტოვებდნენ. ნაპოვნი ბავშვების რაოდენობა ყოველწლიურად 10-დან 12-მდე მერყეობს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს ბავშვთა სახლთან ბავშვებს იშვიათად ტოვებენ. წელს მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა. დირექტორის მოადგილე ვარაუდობს, რომ ეს შემთხვევები ქუჩაში გადაყრილი ბავშვების ხარჯზე შემცირდა.

"ნუ გადააგდებთ თქვენს შვილს, ნუ გაიმეტებთ სასიკვდილოდ, მოიყვანეთ და დატოვეთ ბავშვთა სახლში," - ურჩევს მირანდა ადეიშვილი "გადამგდებებს".

იმისთვის, რომ ჩვილი ბავშვთა სახლში მოხვდეს, ქალმა სამშობიარო სახლში უნდა იმშობიაროს. ბავშვის დატოვების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სამშობიარო სახლის იურისტი თავად უზრუნველყოფს ყველა დოკუმენტის მოწესრიგებას. ამის შემდეგ, შეტყობინება ჩვილ ბავშვთა სახლის ხელმძღვანელობასთან მიდის და ჩვილი შესაბამის ბრიგადას გადაჰყავს.

თუ მელოგინე სახლში იმშობიარებს, ბავშვის დაბადების შემდეგ დედაც და შვილიც უნდა მივიდნენ სამშობიარო სახლში, რათა მშობიარობის ფაქტი დადასტურდეს. ამავდროულად, ბავშვმა დაბადებიდან პირველი 5 დღე სამშობიარო სახლში უნდა გაატაროს - ეს ნორმაა. შესაბამისი საბუთების გაფორმების მერე კი ჩვილი ბავშვთა სახლში მოხვდება, დედა სახლში დაბრუნდება.

გასული წლის ბოლოს ჩვილ ბავშვთა სახლში მივიდა ქალი, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა ბავშვის ჩაბარება. "დარაჯი ჩვენს დასაძახებლად შემოვიდა, მან დრო იხელთა, ბავშვი დატოვა და გაიქცა. რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე დავეწიეთ, გამოვიძახეთ პოლიცია და ჩვილი ბავშვთა სახლში კანონის დაცვით დავტოვეთ," - მოგვიყვა მირანდა ადეიშვილმა.

იმ დედების უმრავლესობა, რომლებიც შვილის დატოვების გადაწყვეტილებას იღებენ, მარტოხელა, მძიმე სოციალურ პირობებში მცხოვრები ადამიანები არიან.

ამ შემზარავი ისტორიების ერთ-ერთ მსხვერპლს, გიორგობის დღესასწაულზე ავლაბრის მეტროსთან შემთხვევით ნაპოვნ ჩვილს, რომელსაც გიორგი დაარქვეს, საკუთარი ოჯახი უკვე მოუძებნეს.

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

### ანკეტა

სახელი, გვარი..............................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..............................................

საკონტაქტო ტელეფონი ..............................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

ალტერნატიული ორკესტრი?!



შოკისმომგვრელი კონცერტი



"თავისუფლება" ევროპა "ბრინჯაოთი" დატოვეს



B2 B3 B4

# რაც უნდა სკანდალური იყოს, რეფორმა დროზე უნდა დაამთავრო

მაია ჭალაგანიძე

*ყველაზე ცუდი ის არის, რომ სახელმწიფოს დახმარება არასდროს იქნება საკმარისი ყველა იმ კულტურული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რაც საზოგადოებას გაუჩნდება. რაც უფრო მდიდარი იქნება საქართველო, მით უფრო მეტი მოუნდებათ კულტურულ ორგანიზაციებს. იგივე ხდება დიდ ქვეყნებშიც, არავითარი განსხვავება - იქაც თვალები უფრო წინ იხედება, ვიდრე სტომაქი, ეს ბუნებრივია და მეტყველებს იმაზე, რომ ამ ქვეყნის საზოგადოებას კულტურული განვითარება სწყურია.*

*12-წლიანი დამოუკიდებლობის მიუხედავად, ყველა საზოგადოებრივი სფერო (და არა მხოლოდ) რეალურად ახლა გადის კონტროლირებადი საბჭოთა ჩარჩოებიდან. ეს სასტიკად მტკივნეული პროცესია - იცვლება მიდგომა, გემოვნება, მოთხოვნა. წლების განმავლობაში კულტურისთვის მოპარული ფული და კორუფცია ამ დარგს (განათლებასთან ერთად) განსაკუთრებულ დაღს ასვამს, რადგან მოპარული მილსადენის გამოცვლა შეიძლება, განადგურებული კულტურული ძეგლისა და დაზიანებული კულტურული მენტალობის აღდგენა კი უფრო ფანტასტიკის სფეროდან არის. კულტურის და სპორტის (და მგონი, ახალგაზრდობისაც) დღევანდელ სამინისტროში 4 პრიორიტეტული პროგრამაა - ინსტიტუციური რეფორმები, სამუზეუმო რეფორმა, ძეგლთა რესტავრაციისა და კონსერვაციისა და კულტურისა და სპორტის ინფრასტრუქტურის პროგრამა. და როგორც ჩვენი დღევანდელი სტუმარი გოკა გაბაშვილი ამბობს, ეს უკანასკნელი ყველაზე რთულად შესასრულებელია.*

**- "მსოფლიოში ეს თანხები არსებობს, უბრალოდ, საჭიროა ადამიანი, ვინც იცის, რომელი მისამართიდან წამოიღოს ეს ფული," - ეს ბრძანეთ ჩვენთვის მოცემულ ინტერვიუში, როდესაც მინისტრად ახალი დანიშნული იყავით. იპოვეთ ის ადგილი და ის ადამიანი, ვინც ფულს მოიტანს?**

- როდესაც ქვეყანაში უამრავი პრობლემაა, გამაღიზიანებელია წარმატებებზე საუბარი, მაგრამ ეს უნდა ვთქვათ - ვერ დავასახელებთ ქვეყანას, სადაც სახელმწიფოს კულტურის დაფინანსება 100 პროცენტით გაუზრდია, ჩვენ კი ეს მოვახერხეთ. ანუ, ის ადგილი თავად სახელმწიფოა. სტრუქტურული ცვლილებებისა და დაფინანსების შედეგად არც ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ორგანიზაცია არ დარჩენილა დაფინანსების გაზრდის გარეშე. მაგალითად - ოპერას 4,5-ჯერ, ეროვნულ მუზეუმს - 3-ჯერ გაეზარდა. უპრეცედენტო მოვლენაა, როცა თეატრს 100 პროცენტით ეზრდება დაფინანსება, ასე მოხდა რუსთაველის თეატრში; სუხიშვილებსაც გაუორმაგდათ დაფინანსება, მარჯანიშვილის თეატრში მხოლოდ 30 პროცენტით გაიზარდა. სადაც უფრო მოტივირებულია მენეჯმენტი, სახელმწიფო იქ ზრდის დაფინანსებას და ამის ხარჯზე მეტი კერძო ფული შემოდის. ეროვნული მნიშვნელობის კულტურული ორგანიზაციების მენეჯმენტი იმდენად გამოიკვეთა და მკაფიო გახდა, რომ მათი დაფინანსების პირობები უმჯობესდება.

**- რა დარჩა სარჩენი კულტურის სამინისტროს?**

- ბევრი რამ. მუზეუმში, რომელიც იყო ჩამკვდარი და საზოგადოებისგან იზოლირებული, მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი შეიცვალა, ბოლო სამ თვეში გაყიდული ბილეთების რაოდენობა მეტი იყო, ვიდრე მთელი გასული წლის მანძილზე. იგივე შემიძლია ვთქვა ოპერაზეც. მას შემდეგ, რაც სახელმწიფომ იქ მენეჯმენტი შეცვალა, თეატრი გამოცოცხლდა, "გედების ტბას" "აიდა" ენაცვლება, "აიდას" "დონ კიხოტი". ოპერა ერთი წლის განმავლობაში გამოვიდა კრიზისიდან და აქაც 3 თვეში მეტი ბილეთი გაიყიდა, ვიდრე შარშან ერთ წელიწადში. რესურსი მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტი არ არის, ეს არის კერძო აქტივობა, მენეჯმენტი და გარედან ფულის მოზიდვა. ყველა მნიშვნელოვან ორგანიზაციაში ეს რეფორმა დაწყებულია და თითქმის ყველგან გაამართლა.

**- მუსიკალურ ცენტრში გაერთიანდნენ სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, კაპელა და კამერული კოლექტივები. რას ემსახურება ეს გაერთიანება?**

- მუსიკალური კოლექტივების გაერთიანება მსოფლიოშიც აპრობირებულია და საქართველოშიც. ეს მთლიანობაში ემსახურება კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას, სეზონის დაგეგმვას, მარკეტინგს. ერთიანი პოლიტიკით, გააზრებული ხედვით გაერთიანდა ამ კოლექტივების ბიუროკრატიული ადმინისტრაცია, შემოქმედებითი ორგანიზაციები კი დარჩნენ.

**- ერთი დროშის ქვეშ უმტკივნეულოდ გაერთიანდნენ ამ კოლექტივების ხელმძღვანელები - ცნობილი სახელები, ავტორიტეტები?**

- ბუნებრივია, ცვლილებებს დისკუსიებიც ახლავს. ჩემი მიზანი იყო წლების განმავლობაში უბინაოდ მყოფი სიმფონიური ორკესტრის დაბინავება, და საკონცერტო და სარეპეტიციო ფართის მოძებნა. ჩენი მიზანი იყო წლების მანძილზე ჰაერში მყოფი სახელმწიფო კაპელის დაბინავებაც, სახელოვნებო ბიუროკრატიის შემცირება და ამის ხარჯზე შემოქმედებითი კოლექტივებისთვის უკეთესი პირობების შექმნა. ცენტრალური, ეროვნული მნიშვნელობის ორგანიზაციებში სამუშაო პირობების ნახტომისებრ განვითარებასთან გვაქვს საქმე. სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი მუსიკალური თეატრის შენობაში დაფუძნდება, რომელშიც, არსებული პროექტით, ინვესტორი 6 მილიონ ევროს ჩადებს. ეს შენობა რემონტდება, 27 მაისს გაიხსნება ორი დარბაზი, ორი თვის განმავლობაში გარემონტდება დიდი დარბაზიც.

**- რატომ გგონიათ, რომ კარგი მუსიკოსი ნიკა მემანიშვილი კარგი მენეჯერი იქნება?**

- გარდა იმისა, რომ ნიკა კარგი მუსიკოსია, ის აგრეთვე კარგი პრომოუტერია, იდეების საზოგადოებამდე მიტანა შეუძლია. კარგად გეგმავს სამუშაოებს, კარგად მუშაობს სპონსორებთან, კომუნიკაბელური და ორგანიზებული ადამიანია. როგორც კომპოზიტორს, მას არ დავკარგავთ. ყველა ეს კოლექტივი საკუთარი შემოქმედებითი ხაზით განვითარდება და ეს ყველაფერი ახალგაზრდა, ენერგიული მმართველის ხელში მოექცევა. მუსიკასაც დაწერს, თუ მოასწრებს. სიმფონიური და კამერული მუსიკა გამოცოცხლდება და საამისოდ ჩვენ პირობებს ვქმნით. ბუნებრივია, ერთ წელიწადში იდეალურ გარემოს ვერ შევქმნიდით, მაგრამ კულტურაზე 11 მილიონი ლარი იხარჯებოდა, დღეს 25 მილიონი ლარი იხარჯება.

**- მაგრამ, კულტურისთვის ფული საკმარისი არ არის არასდროს და არც ერთ ქვეყანაში...**

- დიახ, მაგრამ, როდესაც კანის ფესტივალზე ფილმის წარსადგენად ფული იყო საჭირო, ეს თანხა კინოცენტრმა გაიღო, მაგრამ, როდესაც საკმარისი არ აღმოჩნდა, პირადად მივედი სპონსორთან.

**- მინისტრი ამას ყოველთვის ვერ გააკეთებს. სამინისტროს ფუნქცია სპონსორებისთვის მიმზიდველი გარემოს და ინფრასტრუქტურის შექმნაა. რას აკეთებთ საკანონმდებლო თვალსაზრისით?**

- კულტურაში დღეს უპრეცედენტო რაოდენობით დონორული ფული იდება. საგადასახადო კოდექსში პირველი მნიშვნელოვანი ცვლილება უკვე განხორციელდა. ნებისმიერ ბიზნესმენს დაუბეგრავად შეუძლია საქველმოქმედო მოღვაწეობისთვის მოგებიდან 8 პროცენტი მიმართოს. ეს კარგი მექანიზმია და ამას ყველა ბიზნესმენი ამბობს. გარდა ამისა, არის სფეროები, რომელიც საგადასახადო კოდექსის მიხედვით, განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობს. ეს არის წიგნის გამოცემა. ადრე მხოლოდ ბეჭდვა იყო გათავისუფლებული დღგ-სგან. დღეს პრეპრინტი, ანუ ბეჭდვის წინა და შემდგომი მომსახურება და მიწოდება არის გათავისუფლებული ამ გადასახადისაგან. დღეს ქვეყანაში წიგნის გამოცემა მომგებიანი საქმეა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. წიგნი ბიბლიოთეკებშიც უნდა მივიდეს. პირველად უკანასკნელი წლების განმავლობაში, სახელმწიფომ გააკეთა ვაუჩერიზაცია და ყველა საქალაქო და რაიონულ ბიბლიოთეკას წიგნადი ფონდის შესავსებად 1000 ლარი გამოეყო. ეს ყოველწლიური პროგრამაა.



იური ლობოდინის ფოტო

**ფეხბურთის ფედერაციის მენეჯმენტს მაშინ შევეხე, როდესაც მისი გაუმართაობა და არასწორი გადაწყვეტილებები მოსახლეობას შეეხო. დებულებითაც და პოლიტიკური ლოგიკითაც სპორტის სფეროში მოსახლეობის ინტერესების დაცვა მევალება. როცა მოსახლეობას გამოუცხადეს, ვინც მდიდრები არ ხართ, ეროვნული ნაკრების თამაშს ვერ დაესწრებითო, ბუნებრივია, პროტესტი გამოვხატე.**

ყოველთვის დიდი ყურადღებით ვეცნობი კრიტიკას. ზოგჯერ ისეთი ვილაც გაგაკრიტიკებს უსაგნოდ, რომ არც ღირს პასუხის გაცემა, მაგალითად, შარაძე. ბატონმა ლევან ბერძენიშვილმა მართლაც დაიმსახურა, რომ მისი კრიტიკა უპასუხოდ არ დავტოვო. ტელევიზიით ვნახე მისი კრიტიკა და ეს არ იყო სიმართლეზე აგებული. მან თქვა, რომ ჩემი მოადგილეები მხოლოდ კომპიუტერზე თამაშობენ, რაც სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან მათ ნამდვილად არ სცალიათ ამისთვის. თუ ბატონი ლევანი იმ ფაქტს გულისხმობს, რომ ჩემი ერთ-ერთი მოადგილე, სანამ ის მოადგილე გახდებოდა, ღამის 12 საათამდე ინტერნეტით ეთამაშა ჭადრაკს, არ ვიცი... ღამე ინტერნეტით ჭადრაკის თამაში სამარცხვინო არ არის და ამის კრიტიკულ არგუმენტად საუშკაროზე გამოტანა სასაცილოა. ბატონი ლევანი ამბობს, რომ მუზეუმები უყურადღებოდ არის მიტოვებული - სახელმწიფოს მხრიდან სამუზეუმო სფეროში არასოდეს ასეთი მიზანმიმართული პოლიტიკა არ ყოფილა. სამუზეუმო რეფორმას დღეს ყველა ექსპერტი დადებითად აფასებს. ერთ წელიწადში მუზეუმების იდეალურ მდგომარეობაში მოყვანას კი ვერავინ შეძლებდა. ამ ხნის განმავლობაში შეიქმნა სამუზეუმო რეფორმის კონცეფცია. ეროვნული მუზეუმი ყველა რეგიონული მუზეუმისთვის სამოდელო სტრუქტურას ქმნის. 15 წლის განმავლობაში არავის უფიქრია იმაზე, რომ ექსპონატები და ფონდსაცავები კრიტიკულ მდგომარეობაშია. პირველად წელს ვიწყებთ სარეაბილიტაციო პროექტების დაფინანსებას და ბევრი რამ უკვე გაკეთდა. ბატონ ლევანს ვერც იმაში დავეთანხმები, თითქოს ოპერას იმიტომ ვეხმარებით, რომ პრეზიდენტს უყვარს. ესეც სასაცილო არგუმენტია, რადგან ოპერა ყველა კულტურულ ადამიანს უყვარს და არის კულტურული საზოგადოების მაჩვენებელი ლოკომოტივი. თუ ოპერა მუშაობს და ცოცხალია, იმ ქვეყანაში კულტურას განვითარების პოტენციალი აქვს.

დანარჩენ თეატრებსაც ვეხმარებით. უკვე მოგახსენეთ, რომ ერთ-ერთში 6-მილიონიან ინვესტიციაზე გვაქვს შეთანხმება, ზოგ თეატრში 100 პროცენტით გავზარდეთ დაფინანსება, ზოგან ნაკლებად, მაგრამ გავზარდეთ. თეატრების სტრუქტურების დახვეწა ზოგან მტკივნეული პროცესია. ინტენსიურად ვმუშაობთ მუნიციპალიტეტთან, რადგან ეს ქსელიც ძალზე მნიშვნელოვანია. იქ, სადაც მენეჯმენტი უმჯობესდება, დაფინანსებაც მზარდია.

**- რატომ რუსთაველის თეატრს მეტი დაფინანსება და მარჯანიშვილისას ნაკლები?**

- ამის თაობაზე ბევრი პუბლიკაცია წავიკითხე და ზოგიერთ მათგანში ფაქტობრივი უზუსტობები იყო. წერენ, რომ ამ თეატრებში ადამიანების ერთი და იგივე რაოდენობა მუშაობს, ეს ასე არ არის. რუსთაველში 444 ადამიანი მუშაობს, მარჯანიშვილში - 220. გარდა ამისა, რუსთაველის ფართობი 4,5-ჯერ მეტია. ამის მიუხედავად, მსახიობთა ხელფასების გამოთანაბრება გვაქვს დაგეგმილი, ანუ ორივე თეატრის მსახიობებს სახელმწიფოს მხრიდან ერთი და იგივე ხელფასი ექნებათ.

თუ რუსთაველის თეატრი ამბობს, რომ საკუთარი შემოსავლების ხარჯზე მსახიობთა ხელფასის გაზრდა კიდევ უფრო შეუძლია, ამას ვერ ავუკრძალავთ. სახელმწიფო ამ ოდენობამდე ხელფასს მხოლოდ თავის ხარჯზე ვერ გაუზრდის მარჯანიშვილის თეატრის მსახიობებს. რუსთაველის თეატრში ჩვენგან მიცემული მილიონი ლარი მთლიანად ხელფასებზეა მიმართული და ამ მიზნისთვის კიდევ 600 000 ლარს გამოყოფენ საკუთარი შემოსავლებიდან. ეს, რა თქმა უნდა, მარჯანიშვილის თეატრთან დისბალანსს ქმნის, მაგრამ საბიუჯეტო ცვლილების შემდეგ, ერთ ადამიანზე გათვლით, მარჯანიშვილის თეატრს მეტი ფული ექნება.

**- საიდან გეგმავს რუსთაველის თეატრი ამ დამატებით შემოსავალს, ორივეგან ხომ რემონტია?**

- რუსთაველის თეატრი გასტროლებზე დადის და, ალბათ, აქედან. მარჯანიშვილში ახალი მთავარი რეჟისორი ჰყავთ, ბატონი გიზო ჟორდანია, სამხატვრო ხელმძღვანელი ბატონი ოთარ მეღვინეთუხუცესია და დარწმუნებული ვარ, როდესაც თეატრი მუშაობას დაიწყებს, აქაც საკუთარი შემოსავლები გაჩნდება და მენეჯმენტი აჩვენებს, რომ შემოსავლების გაზრდა შეიძლება.

**- კარგი დრო რომ იყო, რომელ თეატრს წყალობდით?**

- ორივეგან დავდიოდი, მაგრამ უფრო ხშირად, რუსთაველში, თუმცა ამას მნიშვნელობა არა აქვს. ვერც ერთი მენეჯერი ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ 444 კაცი იგივე ოდენობით დააფინანსოს, როგორც 220.

**- ეს არ აუხსენით კოლექტივებს?**

- მარჯანიშვილის თეატრში მქონდა შეხვედრა.

**- მას შემდეგ, რაც უკმაყოფილება გამოთქვეს?**

- მანამდე ხელმძღვანელობას ვხვდებოდი, და მას შემდეგ, რაც უკმაყოფილება გამოთქვეს, კოლექტივსაც შევხვდი.

სახელმწიფო ფულს დებს მაღალი სტანდარტის ხელოვნებაში, ეს არის თეატრი.

სახელმწიფო არ აწესებს სახელოვნებო სტანდარტებს. თუ სოციალური დატვირთვისა არ არის, სახელმწიფო არ აფინანსებს შოუებს. ჩვენგან შოუბიზნესის დაფინანსება მინიმალურია, რადგან ეს არის ბიზნესი და ბიზნესში სახელმწიფო ნაკლებად მონაწილეობს.

**- და არც ჯაზფესტივალში ჩაერთვებით?**

- ჩავერთვებით ისე, როგორც შარშან - მერია და ჩვენ თანაორგანიზატორები და თანადამფინანსებლები ვიყავით. ეს არის თანამედროვე ჯაზურ ცხოვრებაში ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება. ეს არის ტრადიციული ფესტივალი, რომელსაც მხარს დავუჭერთ.

**- თუ არ ვცდები, თეატრალური ფესტივალი "საჩუქარიც" 9 წელია, იმართება...**

- მერიაც და ჩვენც ვმუშაობთ ამ მხარდაჭერაზე. როცა ფესტივალები ბევრია, სატენდერო-საკონკურსო მექანიზმები ირთვება. თუ ფესტივალი ერთია, მაღალი დონისა და ტრადიციული, ისე როგორც "ისტერნ პრომოუშენის" მიერ ჩატარებული ჯაზ-ფესტივალი და უკეთესი ალტერნატივა არ გვაქვს, ასეთ შემთხვევაში მხარდაჭერა არის. ეს თეატრალური ფესტივალიც ტრადიციულია და ვფიქრობ, რომ ჩვენ და მუნიციპალიტეტმა თანადაფინანსება უნდა გავიყოთ. უნდა ითქვას, რომ ერთი წლის განმავლობაში ჩვენი დაფინანსების 90 პროცენტი საკონსკურსო-საგრანტო პრინციპზე გადავიდა. ახლა ღიად ცხადდება კონკურსები (ძირითადად, თქვენს გაზეთში).

**- რა ხდება ქალაქის ისტორიულ ნაწილში?**

- გამკაცრებული სანებართვო რეჟიმით ერთი წლის განმავლობაში აქ ახალი მშენებლობების ხარჯზე ძეგლების ნგრევის პროცესი 90-95 პროცენტით შემცირდა. ძველ თბილისში პრიორიტეტიმ ხოლოდ სარეაბილიტაციო, კონსერვაციულ და სარესტავრაციო სამუშაოებს ენიჭება. ყველა ახალი მშენებლობა სერიოზულ ფილტრებს გადის. ამ მიდგომამ ის გამოიწვია, რომ იუნესკო მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში თავიდან განიხილავს ძველი თბილისის ნომინაციას. ამ ნუსხაში შესატანად მზადდება აგრეთვე დმანისი და სათაფლიაც.

**- საზოგადოებას ახსოვს საუბრები კულტურის სამინისტროს სტრუქტურის შეცვლაზე ან ბიუროდ გარდაქმნაზე. სამინისტრო ამ სახით ეფექტურად მუშაობს?**

- ორგანიზაციულ-სტრუქტურული რეფორმა საბოლოოდ ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ამ ეტაპზე სამინისტროს მუშაობა ჩვენ მიერ დასახულ პრიორიტეტებს პასუხობს. ყველაზე მსხვილი კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტია, რადგან ეს არის სფერო, რომელიც სამინისტრომ პირველ რიგში უნდა არეგულიროს. დანარჩენი ნელ-ნელა, მტკივნეულად, მაგრამ გადადის დერეგულაციის სივრცეში. სახელოვნებო სივრცე თავისუფალია, სახელმწიფო კი თამაშის ზოგად წესებს და პრინციპებს სთავაზობს.

**- კულტურული და არქიტექტურული ძეგლები კრიტიკულ მდგომარეობაშია. საქართველოს ტერიტორიაზე უკონტროლოდ მიმდინარეობს გათხრები, ამ საქმით ოჯახები არიან დაკავებული. რამდენი გამოეყო ბიუჯეტით ჩვენს საამაყო წარსულს?**

- წელს მილიონი ლარი პირველად გამოიყო იმისთვის, რომ ეროვნული მნიშვნელობის ძეგლებზე მომზადდეს პროექტები და დაიწყოს სარესტავრაციო სამუშაოები. 10-15-ჯერ და დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს ძეგლთა რეესტრირება, პასპორტიზაცია, ზონირება. თუ ადრე წელიწადში 200 პასპორტი კეთდებოდა, წელს 100-დან 2500-მდე კეთდება. ისტორიული ზონირების საზღვრების დადგენა, სტატუსების მინიჭება - ეს არის დოკუმენტაცია, რაც შემდეგ კულტურული ძეგლების დაცვის ბაზას უზრუნველყოფს. ინვენტარიზაცია და რეესტრირება მუზეუმშიც მიმდინარეობს. ყველა ძეგლი რთულ მდგომარეობაშია, მაგრამ პრიორიტეტულები უნდა ამოვარჩიოთ.

**- ახალი მეცენატები ხომ არ გამოჩენილან?**

- ერთი მეცენატი ყოველთვის ერიდება გვარის აფიშირებას და არც მე დავასახელებ, მაგრამ რუსთაველის თეატრის რემონტით დაწყებული და კულტურული ძეგლებით დამთავრებული, მათთან ვთანამშრომლობთ. ჩვენ ვაპროექტებთ და ფიზიკურ სამუშაოებს ისინი ასრულებენ. ახალი და ამ დონის მეცენატი სხვა არ ვიცი. სხვა მნიშვნელოვანი მეცენატებიც არსებობენ, მაგალითად, ბადრი პატარკაციშვილი, რომელიც ზემოხსენებულ მუსიკალურ ცენტრში 6-მილიონიან ინვესტიციას დებს. სპორტში მისი მონაწილეობაც ცნობილია.

**- მეცენატები თეატრის მართვასა და საკუთრებაში მონაწილეობენ?**

- თეატრი არის და რჩება სახელმწიფოს საკუთრებად. ოღონდ, ხანგრძლივი ვადით მის მართვაში მეცენატი მონაწილეობს. ის თეატრში თავისი მმართველობითი სტრუქტურებით შემოდის.

**- შევეხოთ ფეხბურთის ფედერაციაში მიმდინარე ამბებსაც. სამინისტროს მისი ხელმძღვანელის პოსტზე ფავორიტი ეყოლება?**

- ასეთი რამ გამორიცხულია. სახელმწიფოს ჩარევა შიდა საფეხბურთო ცხოვრებაში ისე, რომ თავისი კანდიდატი ჰყავდეს, არ ხდება. შეიძლება, ერთი ან რამდენიმე კანდიდატის სიმპათია მქონდეს, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. ჩემთვის მთავრია სფეროს ჯანსაღი განვითარება.

**- თქვენ შეეხეთ მის მენეჯმენტს. როგორც ამ სფეროსგან შორს არმდგომ ადამიანს, მიგაჩნიათ, რომ ის, ვინც ფეხბურთის ფედერაციაში წლების განმავლობაში მუშაობდა, არ იქნება წარმატებული ხელმძღვანელი?**

- მენეჯმენტს მაშინ შევეხე, როდესაც მისი გაუმართაობა და არასწორი გადაწყვეტილებები მოსახლეობას შეეხო. დებულებითაც და პოლიტიკური ლოგიკითაც სპორტის სფეროში მოსახლეობის ინტერესების დაცვა მევალება. როცა მოსახლეობას გამოუცხადეს, ვინც მდიდრები არ ხართ, ეროვნული ნაკრების თამაშს ვერ დაესწრებითო, ბუნებრივია, პროტესტი გამოვხატე. ამ მხრივ, პრეზიდენტის განცხადებაც მკაფიო და ცალსახა იყო. ფეხბურთის ფედერაციის მიდგომა, მენეჯმენტი და აზროვნების სტილი ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს. ორიენტაცია სახეობის განვითარებაზე უნდა მოხდეს და არა კერძო ინტერესებზე და როგორც პრეზიდენტმა თქვა, მაფიოზურ თამაშებზე ფეხბურთის გარშემო...

**- ამ სფეროს მთელ მსოფლიოში ინტერესთა ჯგუფები მართავენ...**

- მაგრამ, მთელ მსოფლიოში ფეხბურთის მმართველობითი ორგანოები განვითარებას ახერხებენ. 20 წლის წინ ქართული ფეხბურთი ბევრად უფრო წინ იყო, ვიდრე თურქული. რომ აღარაფერი ვთქვათ ზოგიერთ სკანდინავიურ ქვეყანაზე, რომელიც სახსენებელიც არ იყო ქართულ ფეხბურთთან. მაგრამ, ამ ქვეყნების საფეხბურთო მმართველებმა სწორი ორიენტაცია აიღეს. გააკეთეს მოედნები, რათა რაც შეიძლება მეტ ბავშვს ეთამაშა ფეხბურთი, ახალგაზრდულ ფეხბურთზე, მწვრთნელების განათლებაზე იზრუნეს და კონკრეტული პოლიტიკის შედეგად იმას მიაღწიეს, რომ დღეს პირიქით - ქართული ფეხბურთი არ არის მოსატანი თურქულთან. 20 წლის განმავლობაში ამ ქვეყანამ მოახერხა და წინ წავიდა, ჩვენ მოვახერხეთ და უკან ვიარეთ. ბუნებრივია, ამას ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა და მაშინ, როდესაც ქვემეხები ისვრის, ფეხბურთი ნაკლებად ვითარდება. მაგრამ პრეცედენტები ხომ არსებობს?!

**- სხვა სახეობებზე რას იტყვით? მოედნები და დარბაზები არც მათ აქვთ.**

- წელს ბიუჯეტში 2 მილიონი გვაქვს გათვალისწინებული და ვფიქრობთ, ერთი ამდენი წლის განმავლობაში კიდევ დაემატება, რათა მთელ საქართველოში აღვადგინოთ მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსები, გავაკეთოთ მოედნები და შენობების რეაბილიტაცია მოხდეს. ყველა იმ 14 სახეობას დავაფინანსებთ, რაც პრიორიტეტად არის აღიარებული.

**- გადაწყვეტილება, რომელსაც ნანობთ.**

- ვინც არ მუშაობს, იმას არ ეშლება. იყო გადაწყვეტილებები, რომელზეც ვფიქრობ, რომ შეცდომა იყო, მაგრამ მთავარი არის მიდგომა - სადაც რეფორმაა ჩასატარებელი, რაც უნდა მტკივნეული და სკანდალური იყოს, დროზე უნდა დაამთავრო.

**- ფიქრობთ, რომ სადღაც შეყოვნდით?**

- უმეტეს შემთხვევაში, არ შევყოვნებულვართ, მაგრამ ზოგჯერ სიფრთხილის გამო, ან კონკრეტული პიროვნების სახელისა და ავტორიტეტის გამო...

**- ისეთ სფეროს განაგებთ, ავტორიტეტებთან და ცნობილ სახეებთან გაქვთ საქმე.**

- ავტორიტეტთა უმრავლესობა ძალიან საღად აღიქვამს რეფორმების საჭიროებას. არის სიტუაციები, სადაც მართვის ნაკლები ბერკეტი გვაქვს, მაგალითად კინემატოგრაფია, თუმცა, აქაც ლაგდება სიტუაცია. ვფიქრობ, სააქციო საზოგადოება "ქართულ ფილმში" მმართველობა გაუმჯობესდება, გამოვცვალეთ კინოცენტრის ხელმძღვანელობა და ბევრი საინტერესო კერძო პროექტი გვაქვს.

**- რა გზით უნდა წავიდეს დღეს კულტურა საქართველოში? რა გვინდა, რომ ვანახოთ მსოფლიოს?**

- როცა ამ თანამდებობაზე მოვდიოდი, ბევრი გეგმა მქონდა და ახლაც მაქვს და არ ვფიქრობ, რომ ერთ წელიწადში ყველაფერს შევასრულებდი. რომელიმე მიმართულებისთვის ძალისხმევა ნამდვილად არ დამიკლია. ბუნებრივია, არის საკითხები, სადაც შეიძლებოდა უფრო სრწაფი გარღვევა, მაგრამ სადაც რეფორმირებული, ჯანსაღი სტრუქტურა ჩამოყალიბდა, იქ საზოგადოებრივი ინტერესიც მეტია, პოპულარობაც, ფულიც და საერთაშორისო დახმარებებიც. ძირითადი რეფორმა ინსტიტუციური ცვლილებებია. კულტურის პოლიტიკა ყველაზე რთული პოლიტიკაა, უშუალო მმართველობის ბერკეტი ნაკლებია და ასეც უნდა იყოს, მაგრამ განსაზღვრული უნდა იყოს ნება, კონკრეტული მიმართულებები და პირობები.

**- რა როლს თამაშობს თქვენს საქმიანობაში თქვენი გემოვნება?**

- დაუშვებელია, რამეს განაპირობებდეს. ის, რაც არის სახელმწიფოს სტიმულირების საგანი, მინისტრის გემოვნება არანაირ როლს არ უნდა თამაშობდეს. თუ ორგანიზაცია საერთო ეროვნული მნიშვნელობის არის, მინისტრის სიმპათია-ანტიპათია არანაირ როლს არ უნდა თამაშობდეს.

**- თქვენი აზრი შოუბიზნესზეც მაინტერესებს. ამ სფეროს ერთ-ერთი წარმომადგენელი ტელევიზორში წუწუნებდა, ძველებურად აღარ გვაფასებენო, არც საკლუბო ცხოვრებაა და არც კონცერტებიო, რომ ახალი წლის ღამეს რეგიონში იმღერა, სადაც თურმე 4 თუ 5 სიმღერაში 2000 დოლარი აიღო, მაგრამ იყო ქუჩაში და სიცივეში და რომ დარგში კრიზისია... რა წილი აქვს სახელმწიფოს ამ კრიზისში?**

- რადგან თავად ამ ბიზნესის წარმომადგენლები ამბობენ, რომ სფეროს კრიზისი აქვს, ალბათ ასეც არის. ბუნებრივია, ჩვენი ძალისხმევა და ყურადღება ამ სფეროსკენ პრიორიტეტულად მიმართული ვერ იქნება. ის, რაც არის ბიზნესი, ბიზნესწესებით უნდა განვითარდეს. ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ საქართველოს რომელიმე რაიონში ჩატარებული კონცერტი სათაკილოა, და არც დასახელებულ თანხას ვთვლი დაბალ ანაზღაურებად. ამაყი ვარ, რომ ოპერის წამყვანი ორკესტრანტების ხელფასი 800 ლარამდე ავწიე და... ამ სფეროს კრიტიკა ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ეს არის ბიზნესი და როგორც ჩანს, ძალიან კარგი ბიზნესი ყოფილა. ვფიქრობ, რომ მაქვს ძალინ კარგი ხელფასი და თუ ამის მიღწევა 5 სიმღერით შეიძლება, უკრაინაში ტყუილად არ მიმღერია...




## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ლაშა ნოზაძე
"არ გადამრიო"
რეჟისორი: ლაშა ნოზაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
ლაშა ბუღაძე
"ნუგზარი და მეფისტოფელი"
რეჟისორი: გიორგი თავაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატი**
"დუბლიორი"
რეჟისორი: ფიქრია ყუშიტაშვილი

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"გარეკილები"
დას: 20:00 სთ.

"რობოტები"
დას: 13:30; 15:30; 17:30 სთ.

"გოგონა მილიონ დოლარად"
დას: 22:00 სთ.

**ამირანი**
"ზარი2"
დას: 20:00; 22:00 სთ.

"რობოტები"
დას: 12:00; 14:00; 16:00; 18:00 სთ.

## გამოფენები

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"თიხიანი ხელები"
მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა

**TMS**
თაკო შანშიაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**ეროვნული გალერეა**
საგაზაფხულო გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება)

**ჰობი**
ბავშვთა ნახატების გამოფენა-კონკურსი

**ცენტრ-პოინტის გალერეა**
ლია ბაგრატიონის ნამუშევრების გამოფენა "ფორმის ფორმა"

**კოპალა**
ნინო გრიშიკაშვილის ნამუშევრების გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*


## საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად

გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2005 წლის 31 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის საბოლოო ვადაა 2005 წლის 20 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**დოკუმენტური ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის საბოლოო ვადაა 2005 წლის 20 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**ანიმაციური ფილმის** წარმოების დასაფინანსებლად გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით

პროექტების შემოტანის საბოლოო ვადაა 2005 წლის 20 მაისი, 17:00 სთ. დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საქართველოს ეროვნულ კინოცენტრს:

0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4

ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail: kinocentre@myoffice.ge


# ალტერნატიული ორკესტრი?!

## ითანამშრომლებს თუ არა ლიანა ისაკაძე ეროვნულ მუსიკალურ ცენტრთან

ოთარ ქირია

*საქართველოს კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით, სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, კამერული ორკესტრი, კაპელა და სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში გაერთიანდება. შესაბამისად, გამოითქვა აზრი, რომ მათი სამხატვრო ხელმძღვანელები თანამდებობას დატოვებენ, თუმცა, მოგვიანებით ეს ინფორმაცია არ დადასტურდა. გაირკვა, რომ ამ გაერთიანების იდეის ავტორი გახლავთ კამერული მუსიკის ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი ლიანა ისაკაძე, რომელმაც პროექტის განხორციელების შესახებ მედიით შეიტყო. ჩვენ ლიანა ისაკაძეს რამდენიმე დღის წინ ვესაუბრეთ.*


*ლიანა ისაკაძე*

**- ალბათ იცით, რომ შეიქმნა ერთიანი მუსიკალური ცენტრი. თქვენი აზრით, რამდენად სწორი გადაწყვეტილებაა?**

- სამწუხაროდ, ზუსტად არ ვიცი, როგორი ცენტრი შეიქმნა. ჯერ კიდევ გასული წლის აგვისტოში მივაწოდე მინისტრს პროექტი ასეთი ცენტრის შექმნის თაობაზე. ეს ცენტრი უნდა ყოფილიყო ქვეყნის საკონცერტო ცხოვრების მთავარი მფარველი. მინდოდა შექმნილიყო მუზიკფერაინისა და ფილარმონიული ტიპის გაერთიანება, რომლებიც, საერთოდ, ევროპაში ძალიან პოპულარულია. მოგვიანებით, უფრო სწორად, გასული წლის ნოემბერში, ეს პროექტი მივაწოდე ბატონ ნიკა მემანიშვილსაც.

**- რას გულისხმობდა თქვენი იდეა და რა შეიქმნა?**

- მთავარ მიზნად ვისახავდი კამერული მუსიკის ცენტრის გადარჩენას და ქვეყნის მუსიკალური ცხოვრების გააქტიურებას. ცენტრი უნდა შექმნილიყო სიმფონიური ორკესტრის ბაზაზე, მაგრამ მასშივე უნდა შესულიყო კამერული მუსიკის ცენტრიც და კაპელაც. ანუ მუსიკოსებს ექნებოდათ შესაძლებლობა, ემუშავათ ორივესთვის, რაც გაზრდიდა მათ ხელფასებს. გარდა ამისა, გაიზრდებოდა დატვირთვაც. საერთოდ, კამერული მუსიკის ორკესტრებს დატვირთვა ნაკლები აქვთ და ამ ცენტრის შექმნით ეს პრობლემაც მოეხსნებოდათ. ასეთი გაერთიანება აქვს, მაგალითად, ვირტუოზ დირიჟორს კლაუდიო აბადოს. ის ხელმძღვანელობს ევროპის კამერულ ორკესტრს, რომელიც მთლიანად შედის ლოზანის სიმფონიურ ორკესტრში. როცა აბადოს სჭირდება, ეს მუსიკოსები მიჰყავს და ამუშავებს ევროპის კამერული ორკესტრის ფარგლებში. მუსიკოსები ორივეგან ხელფასს იღებენ, თან, მეტად დატვირთულები არიან და ამით ყველა კმაყოფილია.

**- ეს ორკესტრი სახელმწიფოა თუ კომერციულ საწყისებზე?**

- სახელმწიფო. მეორე მაგალითსაც გეტყვით. ბერლინის ფილარმონიულ ორკესტრში - კარაიანს რომ ეკუთვნოდა - შედის კამერული ორკესტრიც. მათთან ერთად შარშან გასტროლებიც მქონდა, შესანიშნავად ჩაიარა. მათ გამოცდილებასაც ვიცნობ და, დარწმუნებული ვარ, ასეთი გაერთიანება ძალიან ამართლებს. ოღონდ იმ შემთხვევაში, როცა მუსიკოსებს აქვთ საშუალება ორივეგან დაუკრან.

**- საქართველოს კამერული ორკესტრი ხომ არსებობდა ამ გაერთიანების გარეშეც?**

- ამას არსებობა ჰქვია? ხელფასის გარეშე, უბრალოდ, ვერ იმუშავებდნენ. ალბათ, გახსოვთ, შარშანწინ სამინისტროს ვთხოვე, ორკესტრის მუსიკოსებისთვის ხელფასი გაეზარდათ, რეზოლუცია დაადეს და სწორედ ამ პირობით დავრჩი ხელმძღვანელად. თუმცა, ხელფასი მაინც არ მოემატათ. 80 ლარი სასაცილო თანხაა. ამის შემდეგ დავწერე განცხადება გადადგომის თაობაზე, რომელიც სამინისტრომ არ დააკმაყოფილა. კიდევ ერთხელ მომცეს პირობა, რომ ხელფასები გაიზრდებოდა, მაგრამ ეს მაინც არ მოხდა. ბოლოს მუსიკოსებს დავპირდი, რომ რაღაცას მოვიმოქმედებდი. სამინისტროს შევთავაზე გაერთიანების იდეა. ასეთი მოდელი სახელმწიფოსთვისაც გაცილებით ეკონომიურია.

**- კამერული ორკესტრის მუსიკოსებმა იცოდნენ ამ იდეის შესახებ?**

- რასაკვირველია. ეს მათთანაც შეთანხმდა და ყველა ძალიან კმაყოფილი დარჩა. ვუთხარი, რომ მეტს ველარ მოვატყუებდი. სწორედ იმ დროს, როცა გავარკვიეთ, რომ ხელფასები არ გაიზრდებოდა, ოპერაში გამოცხადდა კონკურსი. თავადვე შევთავაზე მუსიკოსებს, რომ შეეტანათ განცხადებები. ასეც მოხდა - 12 მუსიკოსი ოპერაში გადავიდა. თავდაპირველად ჩვენ ვიცოდით, რომ ოპერა პერიოდულად გამოუშვებდა მუსიკოსებს. ასეც იყო. გასული წლის ბოლოს შესანიშნავი გასტროლები გვქონდა გერმანიაში (რეცენზიებიც კი ხელთა გვაქვს), შემდეგ ორმოცი წლის იუბილე ჩავატარეთ იუსტუს ფრანცთან ერთად თბილისში. მაგრამ ამ წლის იანვრიდან პირობა შეიცვალა და ოპერა მუსიკოსებს აღარ უშვებს.

**- აქვთ ამის უფლება?**

- რასაკვირველია.

**- ახლა როგორღა იქმნება ეს ცენტრი ამ მუსიკოსების გარეშე, თუ ისინი გაათავისუფლეს კამერული ორკესტრიდან?**

- არა, არავის არ გაუთავისუფლებია. მაგრამ, ამასთან, ცნობილია ისიც, რომ მათ კონტრაქტები ოპერასთან აგვისტომდე აქვთ გაფორმებული. ასე რომ, ამ დრომდე ყველაფერი გაურკვევლია. მოკლედ, არ ვიცი, სანამ თბილისში არ ჩამოვალ, გადაჭრილ პასუხსაც ვერ გეტყვით.

**- თქვენ იცოდით ამ ცენტრის შექმნის შესახებ?**

- პირველად მედიით გავიგე. მხოლოდ ორიოდე დღის წინ დამირეკა ნიკა მემანიშვილმა, რომელმაც ეს ინფორმაცია მომაწოდა. მითხრა ისიც, რომ მე უნდა ვიყო კამერული ორკესტრის ხელმძღვანელი, მაგრამ მე ხომ ჩემი პირობები მაქვს. მე უნდა ვიმუშაო იმ ხალხთან, ვისთანაც წლების მანძილზე ვთანამშრომლობდი და ხაზს ვუსვამ, რომ სასწაულებს ვახდენდით. ახლა რომ კონკურსი გამოცხადდეს და ახლები მიიღონ, მე ვერაფერს გავაკეთებ. ნამდვილად არ მაქვს იმის ენერგია, რომ ორკესტრი თავიდან ავაწყო და ყველაფერი ნულიდან დავიწყო. ამ მუსიკოსებს ვერაფრით ვერ შეველევი.

**- საბოლოოდ რაზე შეთანხმდით? ცენტრი ხომ უნდა შეიქმნას, ასეთია მთავრობის ნება...**

- მე ავუხსენი ბატონ ნიკას, რომ მალე ჩამოვალ და შევთანხმდით, რომ ამ დროს გადავწყვეტთ ყველა დეტალს. რა თქმა უნდა, ასე მუშაობა ძნელია, მაგრამ რა ვქნა, არ ვიცი... როცა ეს პროექტი მივიტანე სამინისტროში, ძალიან მოიწონეს. ამის შემდეგ ოთხჯერ მივწერე წერილი, მაგრამ არავინ მიპასუხა. სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში ვიყავი, რაც ძალიან მაღელვებდა. ამასობაში თვეები გავიდა და ბორჯომის ფესტივალი ახლოვდება. მუშაობა მქონდა დასაწყები ამ მიმართულებით. ამ დროს ორკესტრი არ არსებობდა - მუსიკოსების ნახევარი ოპერაში გადავიდა. ვრჩებოდი სრულიად გაურკვეველ მდგომარეობაში. ამიტომ გადავწყვიტე დამოუკიდებელი ორკესტრის ჩამოყალიბება. შევქმენი გერმანულ-ქართული კამერული ორკესტრი, რომელშიც მოღვაწეობენ გერმანელი მუსიკოსები და ქართული კამერული ორკესტრის ის მუსიკოსები, რომლებიც ოპერაში არ წავიდნენ.

**- ამ გერმანელ მუსიკოსებს თუ იცნობდით?**

- რასაკვირველია. მათთან წლების განმავლობაში ვმუშაობ. შესანიშნავი მუსკოსები არიან. დავუნიშნე გერმანელი დირექტორი გვარად გილ ბო. ის ფრანკფურტიდან არის. ძალიან ცნობილი, გამოცდილი დირიჟორი და ხელმძღვანელია. თავადაც მევიოლინე. ის იმუშავებს ორკესტრთან, მე კი ვიქნები სამხატვრო ხელმძღვანელი. გარდა ამისა, კიდევ ერთხელ გადავწყვიტე, რომ ცოტა ვიდირიჟორო, რაც ძალიან მახარებს.

**- ამ ორკესტრის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეთ, რაც ცენტრის შესახებ გაიგეთ თუ მანამდე?**

- მანამდე. იმიტომ რომ არ ვიცოდი, საქართველოში ჩემი წინადადება მიიღეს თუ არა. ვერც ერთ წერილზე პასუხს ვერ ველირსე. ამის გამო ბორჯომის ფესტივალს ვერ ჩავშლიდი. ამიტომაც გადავწყვიტე ახალი ჯგუფის ჩამოყალიბება.

**- ორკესტრი უკვე რეგისტრირებულია ოფიციალურად თუ არა?**

- რა თქმა უნდა, რეგისტრირებულია.

**- ალბათ, კომერციულ საწყისებზე...**

- დიახ. და, მერწმუნეთ, გილ ბოს ნამდვილად აქვს იმის შესაძლებლობა, ორკესტრს გასტროლები არ მოაკლოს.

**- ამ ორკესტრმა უკვე იმუშავა?**

- პირველად ისინი ბორჯომში დაუკრავენ. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მაღალი დონის პროფესიონალები არიან, მაინც ცოტათი ვღელავ. თუმცა, ეს ყველა კონცერტზე ასეა.

**- ბორჯომის ფესტივალი ჩატარდება თუ არა?**

- ჩატარდება, მაგრამ არა ათი, არამედ ხუთი დღით, რადგან გასტროლების გამო ძალიან დაკავებული ვარ. თუმცა, წელს ის განსაკუთრებული იქნება. ფესტივალი 27-31 ივლისს ჩატარდება. გილ ბო და ორკესტრის წევრები ათი დღით ადრე ჩამოვლენ და დამოუკიდებლად იმუშავებენ, მე კი 24 ივლისიდან შევუერთდები.

**- პროგრამა უკვე შედგენილია?**

- ძირითადი ნაწილი უკვე გადაწყვეტილია. ახალი ორკესტრი ორ დღეს დაუკრავს. გარდა ამისა, ჩამოდის ლონდონის ძალიან საინტერესო და პოპულარული თეატრი "ტანგო ლაბ".

# "სინათლის წელიწადის" გზა ცისკენ ევროპაზე გადის

## ჯგუფის მუსიკით ცნობილი პროდიუსერი დაინტერესდა

ია ვეკუა

აღმოჩნდა, რომ 12 აპრილი მხოლოდ კოსმონავტების დღესასწაული არ ყოფილა. ამ დღეს ეროვნულ კოსმონავტიკას მოკლებულ საქართველოშიც რამდენიმე ადამიანი დიდი ხალისით აღნიშნავს - ჯგუფი "სინათლის წელიწადი" ერთი წლის გახდა და დაბადების დღე მორიგი კონცერტით იზეიმა. თუმცა, ეს არ იყო მსმენელის წინაშე რიგითი წარდგენა, ჯგუფით სერიოზულადაა დაინტერესებული ავსტრიელი პროდიუსერი პიტერ ბასლერი, რომელიც კონცერტზე საპატიო სტუმრის სტატუსით იყო მოწვეული.

შეიძლება ითქვას, რომ "სინათლის წელიწადი" ამ ეტაპზე ყველაზე წარმატებული ქართული პროექტია (თუმცა, ბევრისთვის ქეთა თოფურიას რუსული ვოიაჟი უფრო მნიშვნელოვანია). გარდა იმისა, რომ ჯგუფმა ევროპული შოუბიზნესის მნიშვნელოვანი ფიგურა დააინტერესა, ქმნის და ასრულებს მუსიკას, რომელიც, შესაძლოა, მსოფლიოსთვის ცოტა მოძველებულად, ქართული ყურისთვის კი უაღრესად ნოვატორულად ჟღერს.

რაც შეეხება პიტერ ბასლერს, იგი კომპანია "ისტერნ პრომოუშენთან" აქტიურად თანამშრომლობს. თბილისში სწორედ მისი ხელშეწყობით ჩამოსულა ჯონ მაკლაფლინი და ჯო ზავინული. მაკლაფლინთან ერთად შარშან განხორციელებული თბილისური ვიზიტის დროს ბასლერმა "სინათლის წელიწადის" პირველი ალბომი "გზა ცისკენ" მოისმინა და ჯგუფს


*"სინათლის წელიწადი" ევროპაში მიემზავრება*

მხარდაჭერა აღუთქვა. გარდა ამისა, გამოთქვა სურვილი, რომ მომავალში მის ცოცხალ კონცერტსაც დასწრებოდა.

"სინათლის წელიწადმა" 12 აპრილის კონცერტი, შარშანდელის მსგავსად, კვლავ კლუბ "ნოა ნოაში" გამართა. ეს იყო ერთგვარი დახურული ჩვენება, რომელსაც მხოლოდ საპატიო სტუმრები და მუსიკოსთა ახლობლები ესწრებოდნენ. ამიტომ ძნელია იმის განსაზღვრა, რამდენად პოპულარულია ჯგუფი ფართო მსმენელში. თუმცა, ფანები რომ მრავლად ჰყავს, ამაზე ისიც მეტყველებდა, რომ კონცერტის ბევრი სტუმარი ვოკალისტთან ერთად ჩუმად მღეროდა.

როგორც "სინათლის წელიწადის" მეგობარი და გურუ კაკო ვაშალომიძე ამბობს, ჯგუფის მუსიკა პროგრესული როკისა და ავანგარდული ჟანრის სინთეზია, თუმცა, ეს მოვლენა მარტივი ენით უფრო კარგი ასახსნელია - ქართული ესტრადისა და შოუბიზნესის უნიათო გალაღების ეპოქის ექვსი შვილი იმ მუსიკითაა დაინტერესებული, რომელიც მათ ბევრ თანატოლს, ალბათ, არასდროს გაუგია და არც მისი მოსმენით მიღებული სიამოვნება უგრძვნია.

"სინათლის წელიწადის" მუსიკა 60-70-იანი წლების როკ-კულტურის ერთგვარი თანამედროვე გამოძახილია. მელოდიურობა, ჩატეხილი რიტმები, ტონალური ლავირება და მკვეთრი და ნაზი ნოტების უეცარი ცვალებადობა კი ჯგუფის სავიზიტო ბარათია. დამახასიათებელია ტექსტებიც, რომლებიც ოდნავ მელანქოლიური და პესიმისტური ხასიათისაა, თუმცა, კომპოზიციებში ხშირად გაისმის "თავისუფლება", "სინათლე", "გაიღვიძეთ" და ა.შ. ასეთივე ხასიათისაა სიმღერების სათაურები: "ზღვის ვნება", "მე დავეძებ მზეს", "სამოთხიდან გაქცევა" და სრულიად უცნაური "საბედისწერო ჟამთა სიავის წლებში დამზადებული საწვავი"(!).

ტექსტისა და მუსიკის ავტორი ჯგუფის ლიდერი გიგი გეგელაშვილია. იგია წამყვანი ვოკალისტიც. სიმღერაში მას დანარჩენებიც ეხმარებიან. გარდა ამისა, ჯგუფის წევრები ერთნაირი წარმატებით უკრავენ აკუსტიკურ გიტარაზე, ფლეიტაზე, ვიოლინოზე, ჩელოზე, პერკუსიასა და კლავიშზე. გეგელაშვილის გარდა ჯგუფის წევრები არიან: დათო ყეინაშვლი, ნათია ჩუგოშვილი, ელენე მეჩითოვა, გვანცა მათიაშვილი და ზაზა ცერცვაძე.

12 აპრილის კონცერტზე (სპონსორი "ავსტრიის ავიახაზები") "სინათლის წელიწადმა" ძველი და მეორე ალბომისთვის ჩაწერილი კომპოზიციები შეასრულა. რამდენიმე მათგანისთვის საგანგებოდ დაწერეს ინგლისური ტექსტი. ამჟამად ჯგუფი მეორე ალბომის გამოშვების სამზადისშია, რომელიც პირველთან შედარებით უფრო დრამატული, შინაარსობრივად დატვირთული და მუსიკალურად რთული შესასრულებელია.

# შოკის მომგვრელი კონცერტი

## და საინტერესო რჩევები ჯო ზავინულისგან

ვერა ნეფარიძე

*გუშინ ბევრ რამეს მივხვდი; გავეცი პასუხები შეკითხვებს: რატომ არ არის ჯო ზავინული მასობრივად პოპულარული მუსიკოსი - იმიტომ, რომ მის ჩანაწერებს მხოლოდ მუსიკის წიაღში დავანებული საბადოთი დაინტერესებულები მოუსმენენ და ისინიც კი, თუკი ერთხელ მოხვდნენ ზავინულის კონცერტზე, ამის შემდეგ მეტად გაუჭირდებათ ამ ყველაფრის (რასაც სცენაზე ნახავენ და მოისმენენ) აღქმა დინამიკებიდან; ის, რასაც Zawinul Syndicate აკეთებს, სათავეს უდებს ბევრ მუსიკალურ მიმდინარეობას და შთაგონების წყაროა უამრავი მუსიკოსისთვის; Zawinul Syndicate გაცილებით მეტია, ვიდრე, უბრალოდ, მუსიკალური ჯგუფი, თუნდაც ინსტრუმენტალისტი ოსტატებისგან შედგენილი; მივხვდი, რატომ უწოდა ზავინულმა მოსაწყენი ჯაზს, უფრო სწორად, ჯაზის იმ კაშკაშა ვარსკვლავების შემოქმედებას, რომელთა მოღვაწეობაც ფართოდ არის რეკლამირებული; ზავინული მართალია: ის მუსიკა, მართლაც, ერთფეროვანია, ოღონდ Zawinul Syndicate-ის მუსიკასთან შედარებით. და კიდევ: მართლა რთულია Zawinul Syndicate-ის მუსიკას არათუ ჯაზი, საერთოდ, მხოლოდ მუსიკა უწოდო. გუშინდელი კონცერტის განმავლობაში ისეთი განცდა მეუფლებოდა, თითქოს ეს ყველაფერი მუსიკის საზღვრებს გარეთ გადიოდა. Zawinul Syndicate-ის მუსიკას, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის მქონე ადამიანები ქმნიან, თითქოს სამყაროს საწყისებთან გვაბრუნებენ; ალბათ ამიტომ არის, რომ, როდესაც უსმენ აფრიკულ შეძახილებს, ევროპელი მთიელების ხალხური შემოქმედების ნაწყვეტებს, ძალიან ბევრ საერთოს პოულობ მათ შთამბეჭდავ სულთან. ჟორჟი ბეზერა (პერკაშენი), კლოვის ნუნეს კორეა (გიტარა), მართლაც, ფანტასტიკური ჯეკუზ ლუის ლინლი მერტი (ბას-გიტარა), ნათანიელ თაუნსლი (დასარტყამი ინსტრუმენტი) და საოცარი ვოკალისტი ქალბატონი საბინ კაბონგო - ასეთია დღევანდელი Zawinul Syndicate-ის შემადგენლობა, რომელსაც ზავინულმა ჯგუფის ისტორიაში საუკეთესო უწოდა; გუშინდელი ორსაათიანი კონცერტი ოპერისა და ბალეტის თეატრში, მართლაც, ბევრისთვის დაუვიწყარი იქნება.*



ზავინული და საბინ კაბონგო



ზავინულის სინდიკატი

"ნეტავ, როდის დავბრუნდებით აქ?", - ფიქრობდნენ ჯო ზავინული და მისი ჯგუფის წევრები ხუთი წლის წინათ თბილისში გამართული პირველი კონცერტის დასრულებისას. ასე გაიხსენა გუშინ "შერატონ-მეტეხი პალასში" ჟურნალისტებთან შეხვედრისას საპატიო სტუმარმა ხუთი წლის წინანდელი სტუმრობა საქართველოში. მართალია, შეცვლილი შემადგენლობით, მაგრამ უცვლელი ლიდერის მეთაურობით Zawinul Syndicate დაბრუნდა თბილისში და გუშინდელ კონცერტზე არანაკლებად სასიამოვნო შეხვედრა მოუწყო ქართველ ჟურნალისტებს.

ზავინულისგან ყველაზე საგულისხმო მოსაზრება "ისთერნ პრომოუშენის" ბიჭებმა მიიღეს. როდესაც აეროპორტიდან ცენტრისკენ გზად მომავალმა მუსიკოსმა თბილისის გზების რესტავრაცია შენიშნა და იკითხა, რა ხდებოდა თბილისში, ხოლო პასუხად მიიღო ის, რომ ამგვარად ქართველები პრეზიდენტ ბუშის სტუმრობისთვის ემზადებოდნენ, ზავინულს უთქვამს: "ზედმეტი არ მოგივიდეთ, არ იფიქროს, რომ ძალიან კარგად ცხოვრობთ, დახმარება აღარ გჭირდებათ, ამიტომ ცოტა დამტვრეული მაინც დატოვეთო".

"დღეს მართლაც განსხვავებული დღეა, განსხვავებული საღამო გველოდება. ჩვენი დიდი მეგობარი, აბსოლუტურად შეუდარებელი მუსიკოსი, ჯო ზავინული ისევ ჩვენთან, თბილისშია და განსხვავებული პროგრამა ჩამოიტანა; განსხვავებულია ჯგუფის შემადგენლობაც. პირველად თბილისს სტუმრობს ფანტასტიკური ვოკალისტი საბინ კაბონგო. ჯო გვეუბნება, რომ ძალიან სერიოზულ შთაბეჭდილებას მოახდენს ის ჩვენზე. ლონდონში მყავს საბინი ნანახი და უნდა გითხრათ, რომ შთაბეჭდილება მართლაც დიდია", - ამგვარად შეგვამზადა და გახსნა პრესკონფერენცია "ისთერნ პრომოუშენის" პრეზიდენტმა მიხეილ გიორგაძემ, რის შემდეგაც ჩვენი საკონცერტოდ შემზადება თავად სტუმარმა სცადა: "დღეს საღამოს ისეთ კონცერტს გავმართავთ, შოკში ჩაგაგდებთ", - განაცხადა ზავინულმა და ლოგიკურ შეკითხვაზე, თუ რას გულისხმობდა, კიდევ უფრო დამაინტრიგებელი პასუხი გვითხრა: "მე ვთქვი, ის, რაც ვთქვი და რაც ვთქვი, ის მართალია".

ის, რომ ზავინულს განსაკუთრებული მოგონებები აკავშირებს საქართველოსთან, კიდევ ერთხელ გამოხატა მუსიკოსმა: "ის გრძნობა, რომელიც აქ ყოფნისას დაგვეუფლა, არასდროს არ დაგვავიწყდება. ხანდახან პრესაში საზღვარგარეთ არც ისე კარგი ინფორმაციაა საქართველოს შესახებ, მაგრამ ძალიან მოხარული ვარ, რომ ის რაც ხანდახან იწერება საზღვარგარეთ, მე ვფიქრობ, რომ სიმართლეს არ შეესაბამება, ძალიან ბევრს ვყვები ჩემი გამოცდილების შესახებ საქართველოში, თქვენ შესახებ, ადამიანების შესახებ". მართალია, მუსიკოსს გაუჭირდა კონკრეტულად ეთქვა, რა ცვლილებებს ამჩნევდა ჩვენ ქვეყანაში პირველი და მორიგი სტუმრობის შედარებისას, მაგრამ გვითხრა: ის, რომ ზოგადად საქართველოში სერიოზული ცვლილებები ხდება, მისთვის აშკარაა.

ჯო ზავინულსა და მის ჯგუფს თბილისში არაერთი თაყვანისმცემელი ჰყავს და ეს გუშინდელ პრესკონფერენციაზე დასმული შეკითხვებითაც დადასტურდა. ინტერესის საგანი სხვადასხვა იყო. მაგალითად, ის, ზავინულის ერთ-ერთ ალბომში (Faces & Places) შესული ორნაწილიანი კომპოზიცია Borges Buenos Aires ეძღვნებოდა თუ არა ბორხესს და თუ იცნობდა მწერალს ზავინული; რაზეც სტუმარმა გვიპასუხა: "მე მას არ ვიცნობდი, მაგრამ შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი წაკითხვის შემდეგ და მართლაც მივუძღვენი ეს კომპოზიცია მას".

ყოველთვის საინტერესოა ხოლმე ამა თუ იმ დიდი მუსიკოსის დამოკიდებულება თანამედროვე მუსიკაში მიმდინარე პროცესებისადმი. ერთ-ერთი ინტერვიუდან ვიცოდი, რომ ზავინულმა ჯაზს მოსაწყენი მუსიკა უწოდა. მუსიკოსმა იგივე თემაზე უფრო დაწვრილებით გვიპასუხა: "კი, მართალია, მე ეს ვთქვი და დღემდე ასე ვფიქრობ იმიტომ, რომ ბევრ სიახლეს ვერ ვხედავ. მინდა დავაზუსტო, მე ვსაუბრობ იმ მუსიკაზე, რაც დღეს ფართოდ რეკლამირებულია, რაც ჩანს, რასაც ვხედავთ. ძალიან ბევრი საინტერესო ხდება, რასაც ვერ ვხედავთ. ხშირ შემთხვევაში, ახალგაზრდები შეიძლება გარკვეული ინერციის გამო, გარკვეულ ტრადიციებს აგრძელებენ, მაგრამ დღეს, როდესაც 2005 წელია, ეს მოძველებულად მეჩვენება; ვერ ვგრძნობ სიმძლავრეს, არ არის ემოცია, ვფიქრობ, ცუდია როდესაც ინდუსტრია აიძულებს ამ ახალგაზრდებს, გაყვნენ ამ კონიუნქტურას. კარგი მუსიკოსები უნდა განსხვავდებოდნენ სხვებისგან, მაგრამ დღეს ეს სამწუხაროდ, ბევრს არ შეუძლია". ეს ყველაფერი თქვა მუსიკოსმა, რომელიც როგორც თავად გუშინვე აღნიშნა, ბოლო 25 წელიწადია აღარ უსმენს მუსიკას აქტიურად: "50 წლის განმავლობაში იმდენ მუსიკას მოვუსმინე, მგონი, დავყრუვდი. ამიტომ უკანასკნელი 25 წელიწადია აღარ ვუსმენ".

"ჩემი მუსიკა არ იქმნება ნოტებით; ის მოდის გულიდან და დამყარებულია გრძნობებზე. ეს გრძნობები გროვდება იმ გამოცდილებიდან, რომელსაც მთელ მსოფლიოში მოგზაურობისას ვაგროვებ. ძალიან კარგი კონცერტი მქონდა ბაქოში გუშინწინ, თითქოს ხალხი იცნობდა ჩემს მუსიკას; თუმცა კი თავად არ ვიცნობდი ამ ხალხის მუსიკას, ვისთვისაც ვასრულებდი იმ საღამოს. მუსიკაში ჩემთვის მთავარია ჩანდეს პიროვნება და მერე მუსიკა..."

დაბოლოს, კიდევ ერთი პასუხი დიდი მუსიკოსისგან, რომელიც უთუოდ გამოადგებათ "პატარებს"; ყოველ შემთხვევაში, მიხვდებიან, რა განსხვავებაა მათ შორის. როდესაც ზავინულს თბილისში ჰკითხეს, რას ფიქრობდა საკუთარ პოპულარობასა და ლეგენდარულობაზე, მუსიკოსმა განაცხადა: "მე ცნობილი არ ვარ, მე გამიმართლა. არ შეიძლება იყო ამაყი, უნდა იყო მადლობელი, რომ ცხოვრება ამგვარად აეწყო; მთავარია ის, რომ შემიძლია დავუკრა თქვენთვის და თქვენ ამისგან სიამოვნება მიიღოთ".

სიამოვნება უდავოდ მიიღეს თბილისელებმა გუშინდელი კონცერტით; რის გამოც, მუსიკოსებთან ერთად ამ ღონისძიების სპონსორების ("ინვესტბანკი", "ორიენტ ლოჯიკი", "ავსტრიის ავიახაზები") მადლიერებიც ვართ.

# სიცილის უცნობი პოზიტივი

ამერიკის მოსახლეობის ორ მესამედს მძიმე წონა აწუხებს, ამას ცხადყოფს ოფიციალური სტატისტიკა. ახალი სტატისტიკა კი კიდევ უფრო საინტერესო ფაქტს ამჟღავნებს: წონაში დაკლება ადამიანს გულიანად ხარხარით შეუძლია. შესაბამისად, მრავალ სხვა თერაპიასთან ერთად უკვე გამოიგონეს ახალი ტერმინიც: სიცილის თერაპია, გამოუშვეს სხვადასხვა ტიპის სიცილით სავსე კომპაქტდისკებიც, რომლებზეც უცნაური ვარჯიშების მთელი ნაირსახეობაა ჩაწერილი. და ვინც ბოლომდე მისდევს შეგონებას და იხარხარებს, წონაშიც დაიკლებს.

ვისაც ეს აბზაცი ჯერაც ხუმრობა ჰგონია, მოგახსენებთ, რომ ცდებით. არსებობს წიგნი, რომლის ავტორია ქითი ნამრევო. სათაური კი ასეთი აქვს: "გაიცინეთ! წონაში დაკლება ხალისით!"

ყდაზე ორი ფოტოა წარმოდგენილი, ე.წ. before/after ფოტოები. პირველზე ნაჩვენებია ავტორი - 50 წლის ქითი, მსუქანა ქალბატონი, მეორეზეა ქითი ოთხი წლის შემდეგ, 54 წლის ასაკში - და უკვე გამხდარი. როგორც თვითონ ამტკიცებს, მან სიცილ-სიცილით 35 ფუნტი დაიკლო. წიგნს, თურმე, მოჰყვება სიცილით სავსე კომპაქტიც, რომელიც ვარჯიშის დაწყებაში მოეხმარება მკითხველს.

ქითი ნამრევოს ისტორია უფრო დაწვრილებით ასეთია:

გახდომა ძალიან უნდოდა. რა დიეტა აღარ სცადა, რა ტაბლეტები აღარ სვა, რა ჩაი. მაგრამ შედეგი იყო მოშლილი ნერვები და მუცლის არეში რამდენიმე ფენად დადებული ქონი.



ერთხელ ნამრევო შინ, ტელევიზორთან იჯდა და სწორედ მაშინ შეიტყო ე.წ. სიცილის თერაპიის შესახებ. ეს მეთოდი იმდენად სახალისო ეჩვენა, რომ მაშინვე სცადა. დადგა მარტო სარკის წინ და ბევრი იცინა - ხმამაღლა, მთელი მონდომებით, ნამდვილი გიჟივით.

ინგლისურში არის ტერმინი - belly laugh (მუცლით სიცილი), რაც ქართულად იგივეა, რაც გულიანად სიცილი - სწორედ ასეთი სიცილი სჭირდებოდა "გულიან" გახდომას. ნამრევომ კიდევ ერთი საიდუმლო აღმოაჩინა: დღეში ათჯერ თუ იცინებდა 30 წამიდან 5 წუთამდე, საჭმელი ნაკლებად უნდებოდა; უფრო სწორად, საერთოდ აღარ უნდოდა ჭამა. მოკლედ, იცინოდა, იცინოდა და თან გრძნობდა, როგორ უმსუბუქდებოდა სხეული. შემდეგ მეტი ინტერესი გაუჩნდა. ვარჯიშიც დაიწყო და მერე მეგობრებსაც გაუზიარა აღმოჩენა: "იცით, სიცილი რა მაგარი რამეა, ჯანსაღად და მხიარულად კარგავ წონას".

მოკლედ, ასეთი ამბავია. ვიცი, ჯერაც ხუმრობა გგონიათ, ამიტომ გეტყვით, რომ წერილი სიცილის თერაპიის შესახებ გაზეთ "ვაშინგტონ პოსტში" დაიბეჭდა და თან თომას ვერქისაც გაგაცნობთ, კაცს, რომელსაც ბოსტონში "სიცილის კლუბი" აქვს გახსნილი. კლუბი უკვე ორი წელია, არსებობს. წევრები მრავლად არიან. ისინი თვეში ორჯერ 25 წუთით იკრიბებიან და ერთად იცინიან. მათი ვარჯიში რაღაცით იოგას შთაგონებითაა შექმნილი - იატაკზე გორაობენ და ხარხარებენ.

თანაც, ამ სასაცილო ბოსტონური კლუბის გარდა ამერიკაში კიდევ ათასი ასეთივე გაერთიანება არსებობს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში კი მათი რიცხვი 3 ათასამდე ადის. კლუბებს, ძირითადად, სერტიფიცირებული "მოცინარები" აფუძნებენ. სერტიფიკატებს კი ორი ორგანიზაცია გასცემს: "სიცილის საერთაშორისო კლუბი" - შტაბ-ბინით მუმბაიში (ინდოეთი) და "მსოფლიოს სიცილის ტურნე" - მთავარი ოფისით გაანაში (ოჰაიოს შტატი).

ვარკი ამბობს: "სიცილის თერაპია მალე გახდება ფიტნესკლუბებისა და იოგას ცენტრების ნაწილი. სიცილი მართლაც ძალიან ავარჯიშებს სხეულს და კარგად ყოფნის გარანტიასაც იძლევა. კარგად მყოფ ადამიანს კი ჭამაც ნაკლებად უნდება. ხომ ფაქტია, რომ დეპრესიაში მყოფი ადამიანი გაცილებით უფრო მეტს ჭამს, ვიდრე უდარდელი. გამოდის, რომ სიცილი ანტიდეპრესანტია მედიცინაში".

კიდევ უფრო მეტი ნდობისთვის სამეცნიერო დასკვნასაც გთავაზობთ. მერილენდის უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ყოველდღიური გულიანი ხარხარი ხელს უწყობს სისხლის უკეთეს მოძრაობას. "სიცილი იგივეა, რაც შინაგანი ფიზკულტურა", - აცხადებს კლინიკური ფსიქიატრიის პროფესორი სტენფორდის უნივერსიტეტიდან, უილიამ ფრაი და დასძენს: "სიცილი ნამდვილად გულისხმობს ფიზიკურ ვარჯიშს. ამ პროცესში ჩართულია სახის 15 კუნთი და გარდა ამისა, ათობით სხვა კუნთი ჩვენს სხეულზე. ამ დროს იზრდება პულსის ცემა და სუნთქვა, სისხლი კი ჟანგბადით ივსება".

წონაში დაკლების პროცესში სიცილის ჩართვას პათოლოგიისა და ანატომიის ამერიკელი პროფესორი ლი ბერკიც იწონებს. მისი თქმით, ეს დამტკიცებული არ არის, მაგრამ პრაქტიკა ხომ საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია. ბერკი დასძენს: "სტრესი ზრდის კორტიზოლის რაოდენობას - იმ ჰორმონის, რომელიც ადამიანს ჭამას ანდომებს. სიცილი კი კორტიზოლის რაოდენობას ამცირებს - ეს ფაქტია".

მოკლედ, ამ ყველაფრის მორალი ასეთია: იცინეთ, სიცილი მაინც შეგრჩებათ.

პაულო კოელიოს სვეტი

# უკან ბავშვობაში



წელს ჰანს კრისტიან ანდერსენის (1805-1875) დაბადების ორასი წლისთავი აღინიშნება. ეს ის დანიელი მწერალია, რომლის ზღაპრებზეც ბავშვების მთელი თაობებია აღზრდილი.

ანდერსენი ოდენსეში დაიბადა, მეწაღისა და მრეცხავის ოჯახში. დედა ძალიან ცრუმორწმუნე ჰყავდა. სწორედ მან აზიარა შვილი დანიურ ფოლკლორს. მანვე წააქეზა პატარა ანდერსენი, თვითონაც ეცადა ზღაპრების დაწერა და შემდეგ მათ მიხედვით თოჯინების სპექტაკლის დადგმა. ჰანს კრისტიან ანდერსენის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ზღაპარია "კალის ჯარისკაცი". დედა ხშირად მიამბობდა ხოლმე ამ ზღაპარს, მე კი ყოველ ჯერზე ვტიროდი. ახლა გთავაზობთ მის შემოკლებულ ვერსიას.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო 25 კალის ჯარისკაცი; ყველანი ძმები. ყველას ლურჯსა და წითელში გადაწყვეტილი უნიფორმა ეცვა, ხელში ეჭირათ შაშხანები და მუდამ წინ იყურებოდნენ. პირველი სიტყვები, რომლებიც მათ გაიგეს, პატარა ბიჭმა წარმოთქვა:

"ჯარისკაცები, ჯარისკაცები!"

ბიჭი გახარებული ჩანდა საჩუქრით, რომელიც დაბადების დღეზე მიიღო. სათამაშო არმია ზუსტად ნამდვილს ჰგავდა, ერთი ჯარისკაცის გარდა. მას ცალი ფეხი ჰქონდა მხოლოდ, რადგან სწორედ მაშინ, როცა ხელოსანი ამ ჯარისკაცს ამზადებდა, კალა გაუთავდა. მაგრამ ბიჭმა ეს ჯარისკაცი არ გადააგდო, რადგან ის მაინც სწორად იდგა და უფეხობა არ ეტყობოდა. მოკლედ, ბიჭმა ისიც დაიტოვა.

მაგიდაზე კიდევ სხვა საჩუქრებიც იდო, მაგრამ ყველაზე მაცდუნებლად მაინც მუყაოსგან დამზადებული ციხესიმაგრე გამოიყურებოდა. ის ისე ჰგავდა ნამდვილს და ისეთი ლამაზი იყო!.. თან ციხის ზღურბლზე უმშვენიერესი გოგონა იდგა, ისიც მუყაოსი. გოგონას ეცვა მარლის მშვენიერი კაბა, ბრჭყვიალა მძივებით მორთული. ნამდვილი ბალერინა იყო. ხელები წინ ჰქონდა გამოშვერილი, თითქოს, ვიღაცას ეგებებაო და მოხდენილად იდგა. არა, კი არ იდგა უფრო დაფარფატებდა, თითქოს თითის წვერებზე დგას და ტერფებს მიწას არც აკარებსო. ამიტომ კალის ცალფეხა ჯარისკაცმა წარმოიდგინა, რომ ცალი ფეხი არც ამ გოგოს არ ჰქონდა.

"ეს გოგო მშვენიერ ცოლობას გამიწევს", - გაიფიქრა თავისთვის, - "მაგრამ სასახლეში რომ ცხოვრობს?" ეს იმხელა ბარიერი იყო მისთვის, რომ სიყვარული გულში ჩაიმარხა, გოგონას არაფერი აგრძნობინა და ყოველდღე იმით კმაყოფილდებოდა, რომ მისი ნახვის საშუალება ჰქონდა.

ღამ-ღამობით, როცა სახლის ბინადრები დასაძინებლად თავ-თავიანთ ოთახში შედიოდნენ, თოჯინების თამაშის ჯერი დგებოდა. ისინი ცოცხლდებოდნენ, იღიმებოდნენ კიდეც, ლაპარაკობდნენ და ერთმანეთთან სტუმრადაც დადიოდნენ, ბრძოლებსაც ატარებდნენ, მერე კი ცეკვავდნენ. საერთო მარაქაში არ ერეოდნენ მხოლოდ კალის ჯარისკაცები, რომელთაც შთააგონეს, რომ კარგი მანერები უნდა ჰქონოდათ და დისციპლინა არასდროს უნდა დაერღვიათ.

ერთ მშვენიერ დღეს ცუდი ამბავი მოხდა. მოახლემ, რომელიც სახლს ალაგებდა, გადაწყვიტა, რომ ერთი ჯარისკაცი გაფუჭებული იყო და ფანჯრიდან მოისროლა. ამ დროს ქუჩაში ბიჭები მიდიოდნენ. მათ დაინახეს უპატრონოდ მიგდებული უფეხო ჯარისკაცი, ქაღალდის გემში ჩასვეს და თხრილში შეაცურეს. გემმა ცოტა იცურა თუ ბევრი, არხში შეცურდა, იქიდან - მდინარეში.

იქ უკვე ჯარისკაცს ცუდი დღე ეწია. ის თევზმა გადაყლაპა, მაგრამ მაინც არ დაშლილა, შაშხანაც კი ძველებურად მკერდზე მჭიდროდ ჰქონდა მიბჯენილი და თევზის მუცელშიც მაინც შეუპოვრად იდგა ცალ ფეხზე.

თევზი მეთევზეებმა დაიჭირეს და მერე ბაზარში გაყიდეს. ის იმ სახლის მეპატრონემ იყიდა, საიდანაც ჯარისკაცის მოგზაურობა დაიწყო. იგივე მოახლემ, რომელმაც კალის თოჯინა ფანჯრიდან გადააგდო, თევზი სამზარეულოს მაგიდაზე მოათავსა, მუცელი გაუფატრა გამოსაშიგნად და იქიდან ჯარისკაცი გამოიყვანა. ოღონდ ამჯერად უსარგებლო და გაფუჭებული ნივთი ბუხარში შეუძახა. მაგრამ სანამ ცეცხლის ალში გაეხვეოდა, ჯარისკაცმა მაინც შეძლო, უკანასკნელად მოევლო თვალი იმ ბავშვებისა და იმ თოჯინებისთვის, რომელთაც კარგად იცნობდა. დაინახა ის დიდებული ციხესიმაგრეც, სადაც მშვენიერი ბალერინა იდგა. და მერე, შორიდან, იმასაც მოჰკრა თვალი, თუ როგორ გადმოგორდა ბალერინას მუყაოს თვალიდან მუყაოს ცრემლი მუყაოს ლოყაზე. ე.ი. გოგოსაც ენატრებოდა ჯარისკაცი...

თანდათან ცეცხლის ალი ედებოდა ჯარისკაცის სხეულს, მან დნობა დაიწყო. ლურჯ-წითელმა უნიფორმამ ფერი იცვალა, მაგრამ ჯარისკაცი მაინც გმირულად ცდილობდა სამხედრო პოზის შენარჩუნებას - კვლავაც წინ იყურებოდა, გოგონასკენ, რომელსაც მარადიული სიყვარული შეჰფიცა ცოტა ხნის წინ. გოგოც მას უყურებდა და სევდას ვერ იშორებდა - მისგან ასე შორს რომ იყო. ოღონდ თან ისიც უხაროდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, მისი ნახვის შანსი მიეცა...

უცებ, სრულიად მოულოდნელად, ორპირმა ქარმა ბალერინა ზღურბლს მოსწყვიტა, ბუმბულივით ააფარფატა ჰაერში და ბუხარში შეაგდო.

ხომ ამბობენ, რომ ღმერთი შეყვარებულების მიმართ მუდამ დიდსულოვნებას იჩენს ხოლმე, და ამიტომაც აძლევს წყალობას ერთად დარჩნენ...

მეორე დღეს, როცა მოახლე ბუხარს ნაკვერჩხლისგან წმენდდა, კუთხეში მიგდებული და ნაცარში ამოთხვრილი პატარა კალის გული შენიშნა, რომელშიც მძივი იყო ჩამაგრებული. ცოტა იფიქრა თუ ბევრი, გაახსენდა: ეს პატარა მძივი მეორე თოჯინის კაბიდან ახსოვდა, ბავშვების ოთახში რომ ინახებოდა.

***ქართულად გამოცემულია პაულო კოელიოს საერთაშორისო ბესტსელერები: "თერთმეტი წუთი", "ალქიმიკოსი", "რიო-პედრას ნაპირას ჩამოვჯექი და ავტირდი" და "ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.***

ფეხბურთი

# მერსისაიდული საღამო

**იუვენტუსი - ლივერპული**
**0:0 (1:2)**
**პსვ ეინდჰოვენი - ლიონი**
**1:1, 4:2-პენ (1:1)**

რაფაელ ბენიტესმა უაღრესად ბრძოლისუნარიანი, შთამბეჭდავი გუნდი ჩამოაყალიბა - ასეთი შეფასება მისცეს ფეხბურთის სპეციალისტებმა ინგლისის "ლივერპულის" თამაშს, რომელიც მერსისაიდელებმა ტურინის "დელე ალპის" სტადიონზე წარმოადგინეს. ყველა პროგნოზის საწინააღმდეგოდ, "ლივერპული" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდა.

პირველი მატჩისგან განსხვავებით "ლივერპულის" შემადგენლობაში რამდენიმე სიახლე მოხდა. კარს დაუბრუნდა გუნდის პირველი ნომერი ირჟი დუდეკი, ხოლო საზარდულის ტრავმის გამო თამაში გამოტოვა ინგლისელთა კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა. რაფაელ ბენიტესმა განაცხადა, რომ თავის ლიდერს მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყვანდა მინდორზე, თუ გუნდს გაუჭირდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. სტივენ ჯერარდს არ მოუხდა თამაშში ჩართვა.

"ლივერპულმა" ფაბიო კაპელოს ამბიციურ გუნდს უაღრესად მობილური დაცვა შეაგება. ინგლისელებს, რამდენიმე ეპიზოდს თუ არ გავიხსენებთ, დაცვაში შეცდომა პრაქტიკულად არ დაუშვიათ. რამდენიმე ეპიზოდში კი დუდეკის კარის აღება ზლატან იბრაგიმოვიჩს და ფაბიო კანავაროს შეეძლოთ. ამ უკანასკნელმა "ენფილდ როუდზე" გამოიჩინა თავი, მაგრამ ამჯერად კანავაროს თავური დარტყმით ბურთი კარის ძელს მოხვდა და შემდეგ დუდეკმა კუთხურზე მოიგერია. იბრაგიმოვიჩი კი დაახლოებით 7 მეტრიდან ურტყამდა კარში, მაგრამ დარტყმა არ გამოუვიდა.

თავის მხრივ, გოლს ორჯერ გადაურჩა ჯან ლუიჯი ბუფონიც. მილან ბაროშს შეეძლო, ვადამდე დაემთავრებინა საქმე, მაგრამ მისი დარტყმული ორივეჯერ ასცდა მიზანს. საინტერესოა, რომ ტურინელებმა აქტიურად დაიწყეს ბაროშის გადმობირებაზე საუბარი და ამ ტრანსფერის შესახებ მოლაპარაკების მაგიდას მხარეები ახლო მომავალში მიუჯდებიან.



რაც შეეხება "პსვ ეინდჰოვენისა" და "ლიონის" მატჩს, აქ საქმე დამატებით დრომდე და მატჩისშემდგომ პენალტებამდე მივიდა, რომელიც უკეთ ჰოლანდიელებმა შეასრულეს და ნახევარფინალშიც ისინი გავიდნენ.

ყველაფერი კი მეათე წუთზე სილვეინ ვილტორდის გოლით დაიწყო. საფრანგეთის ნაკრების ფორვარდმა საჯარიმოს კუთხეში მიიღო ბურთი და ვარდნაში გადაგზავნა გომესის კარში - 0:1. მასპინძლებმა, რომლებიც ისედაც ფლობდნენ უპირატესობას, ამის შემდეგ კიდევ უფრო ცხარედ შეუტიეს, მაგრამ პირველ ტაიმში ანგარიშის გათანაბრება ვერაფრით მოახერხეს. სამაგიეროდ, მეორე ნახევარი ხუთი წუთის დაწყებული იყო, როცა ალექსმა ზუსტი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. ამის შემდეგ მინდორზე მდგომარეობა აღარ შეცვლილა და საქმე პენალტების სერიამდე მივიდა, რომელმაც გამარჯვება ჰოლანდიურ კლუბს არგუნა.

ამრიგად ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშების ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: "მილანი" - "პსვ ეინდჰოვენი", "ჩელსი" - "ლივერპული".

# რა მოელის "ინტერს"?

ეს კითხვა "ინტერის" ყველა ფანს აღელვებს. სამშაბათს მილანის "სან-სიროს" სტადიონზე "ინტერის" ფანებმა ნამდვილი კოცონი დაანთეს. თამაში შეწყდა და ახლა დამნაშავე მილანელები უეფას ვერდიქტს ელიან.

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის ფარგლებში მილანური გრანდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. თუმცა, ამჯერად სკანდალის გარეშე მდგომარეობა ვერ განიმუხტა. სკანდალი მატჩის 74-ე წუთზე ატყდა, როცა მატჩის არბიტრმა მარკუს მერკმა კამბიასოს დიდას კარში გატანილი გოლი არ ჩაუთვალა. მინდორზე პეტარდებისა და ბოთლების ცვენა დაიწყო. ერთ-ერთი პეტარდა დიდას მხარში მოხვდა და მერკმაც თამაში შეწყვიტა. შედეგად მატჩი დაუმთავრებელი დარჩა.

სტადიონი ორივე კლუბისთვის საშინაოა, ამიტომ გუნდები თავს ისე გრძნობდნენ, როგორც სახლში. ვინაიდან პირველ მატჩში "მილანი" ნომინალურ მასპინძლად მიიჩნეოდა და - 2:0 მოიგო, "ინტერს", როგორც მასპინძელს, ნახევარფინალში გასასვლელად, სულ ცოტა, ორი უპასუხო გოლი უნდა გაეტანა სახელოვანი "როსონიერისთვის". პირველ მატჩთან შედარებით, რომელიც გასულ ოთხშაბათს გაიმართა, მწვრთნელებმა რამდენიმე ცვლილება განახორციელეს.

"ინტერის" შემადგენლობაში ერთბაშად ოთხი ცვლილება განხორციელდა. უმთავრესი სიახლე კი ბრაზილიელი ფორვარდის ადრიანოს დაბრუნება იყო. დაცვაში კი რობერტო მანჩინიმ სინიშა მიხაილოვიჩის ნაცვლად მარკო მატერაცის გამოყვანა გადაწყვიტა. "ინტერის" მწვრთნელმა, ამას გარდა, სცადა გამოეყენებინა შაბათის წარმატებული გამოცდილება, რომელმაც მილანელებს "ბოლონიასთან" შეხვედრაში წარმატება არგუნა - ფლანგებზე ითამაშეს ჰოლანდიელმა ვან დერ მეიდემ და არგენტინელმა კილი გონსალესმა.

დისკვალიფიკაციის გამო "მილანს" ვერ დაეხმარა ჯენარო გატუზო და კარლო ანჩელოტიმ მის ნაცვლად მინდორზე მარიო ამბროზინი გამოუშვა. თუმცა, "როსონიერის" ფანებისთვის კარგი ინფორმაცია ის იყო, რომ გუნდს ალესანდრო ნესტა დაუბრუნდა. თამაში უაღრესად დაძაბული გამოდგა და ამ დაძაბულობაში ევროპის საუკეთესო ფეხბურთელმა ანდრეი შევჩენკომ ერთი გოლის გატანა მოახერხა, რაც "მილანისთვის" პრაქტიკულად ნახევარფინალში გასვლას ნიშნავდა.

მატჩის 73-ე წუთზე კი "ინტერმა" გოლი გაიტანა. კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს კარგი პოზიცია შეურჩია კამბიასომ და თავით დიდას კარში გაგზავნა. თუმცა, "ინტერის" ფანებმა სიხარულიც ვერ მოასწრეს, როცა მსაჯმა მარკუს მერკმა გოლი არ ჩათვალა და მიიჩნია, რომ კამბიასო დარტყმის მომენტში კაფუსთან ბრძოლაში წესებს არღვევდა.

თამაში გაგრძელდა, მაგრამ "ინტერის" გულშემატკივრებმა მინდორზე პეტარდების, ცარიელი ბოთლებისა და სხვა საგნების გადმოყრა დაიწყეს - ასე გამოხატავდნენ პროტესტს კამბიასოს არჩათვლილი გოლის გამო. ერთ-ერთი მაშხალა დიდას მხარში მოხვდა, რომელიც მოულოდნელი ტკივილისგან შეწუხებული მინდორზე დაეცა.

მსაჯმა შეხვედრა მყისვე შეაჩერა და მიიღო გადაწყვეტილება, გუნდები გასახდელში გაეყვანა. ამ დროისთვის "როსონიერის" საჯარიმო მოედანი მთლიანად მაშხალების ალში იყო გახვეული.



"მილანის" ფეხბურთელები გასახდელისკენ გაიქცნენ - ეშინოდათ, ტრიბუნიდან ნასროლი საგნები თავში არ მოხვედროდათ. მატჩი 10 წუთით შეწყდა.

ვიდრე გუნდები მატჩის გასაგრძელებლად ემზადებოდნენ, ტრიბუნების ქვეშ სტადიონის თანამშრომლები მინდორს აწესრიგებდნენ და იქიდან მთელი ნაგავი და აალებული მაშხალები გაჰქონდათ. რამდენიმე წუთის შემდეგ ფეხბურთელებმა მინდორზე გამოსვლა მართლაც დაიწყეს. "მილანმა" ცვლილება განახორციელა - დიდას ნაცვლად მინდორზე აბიატი გამოვიდა.

თუმცა, არ გასულა ერთი წუთიც და "მილანის" ნახევარი კვლავ მაშხალებით აივსო. ამჯერად მერკს აღარ უყოყმანია და მატჩი დასრულებულად გამოაცხადა. თუ კატეგორიულები ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ მერკს შეეძლო ჯერ ერთი - კამბიასოს გოლი ჩაეთვალა და არეულობა თავიდან აეცილებინა. მაგალითად, ინგლისში უარესი დარღვევებით გასული გოლებიც კი ჩაუთვლიათ. მეორე კი ის, რომ გერმანელ არბიტრს შეეძლო გუნდებისთვის უბრალოდ კარი შეეცვალა - ასეთ შემთხვევაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ "ინტერის" ფანები საყვარელ გუნდს პეტარდებს დაუშენდნენ...

უეფას ოფიციალური განცხადების თანახმად, რომელიც მატჩის დამთავრებიდან ერთ საათში გამოქვეყნდა, ამ მატჩის დროებითი ანგარიშია - 1:0 "მილანის" სასარგებლოდ. უახლოეს მომავალში გაიმართება უეფას საკონტროლო-დისციპლინარული კომიტეტის სხდომა, რომელზეც მატჩის ბედი საბოლოოდ გადაწყდება. უეფას წარმომადგენლები სამ ვარიანტს განიხილავენ: გუნდები მატჩს თავიდან გამართავენ, გაითამაშებენ ბოლო 17 წუთს ან "ინტერს" ტექნიკური მარცხი (0:3) ჩაეთვლება.

შეგახსენებთ, რომ იტალიაში ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ჩემპიონთა ლიგის მატჩი ვადამდე მთავრდება. შარშან შემოდგომაზე "რომასა" და კიევის "დინამოს" შეხვედრისას რომაელმა ფანმა მატჩის არბიტრს, შვედ ანდერს ფრისკს სანთებელათი თავი გაუტეხა. ამის გამო ფრისკმა შესვენების შემდეგ გუნდები მინდორზე აღარ გამოიყვანა. შედეგად, "რომას" დიდი ფინანსური სასჯელი დაეკისრა, ხოლო იმ შეხვედრაში ტექნიკური წაგება (0:3) ჩაეთვალა.

როგორი სასჯელი ელის "ინტერს", ჯერჯერობით უცნობია. თუმცა, ერთი რამ ცხადია: ფეხბურთი სულ უფრო ხისტი თამაში ხდება. ამ ცოტა ხნის წინათ აწ განსვენებული რომის პაპი იოანე პავლე II სპორტს განიხილავდა, როგორც ეროვნული და რასისტული ბარიერების დაძლევის საშუალებას. თუმცა, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩი მილანის "ინტერსა" და "მილანს" შორის ამ მიზანს აშკარად არ ემსახურებოდა. "ჩვენი მიზანია გავანადგუროთ შავ-წითელი არმია და დავიპყროთ ევროპა", - იტყობინებოდა "ინტერის" გულშემატკივართა ერთ-ერთი პლაკატი. თუმცა, ახლა ევროპას ეს მატჩი დიდხანს დაამახსოვრდება სწორედ შავლურჯების საქციელის გამო...

ჭიდაობა

# "თავისუფლებმა" ევროპა "ბრინჯაოთი" დატოვეს

გიგა გურასაშვილი

*ვარნაში მიმდინარე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატის პირველ დღეს ლუკა კურტანიძის მიერ მოპოვებული რიგით მეხუთე ჩემპიონობა არავის გაჰკვირვებია, მაგრამ მისი შედეგი ერთადერთი სასიამოვნო ამბავი აღმოჩნდა ჩვენთვის. გუშინდელ დღეს, რომელიც ოთხ წონით კატეგორიას (55, 66, 84, 120 კგ) დაეთმო, საქართველოს ნაკრებმა სრული კრახი განიცადა, თუ არ ჩავთვლით ბესარიონ გუჩაშვილის ბრინჯაოს მედალს.*

არც იმით ღირს თავის მართლება, რომ "თავისუფლები" ევროპულ ხალიჩას გადახალისებული შემადგენლობით ეწვივნენ. ძველი გვარდიიდან ერთი კურტანიძეა, რომელმაც ჩემპიონობა მოიპოვა და რევაზ მინდორაშვილი, რომლისგანაც ასევე მედალს ველოდით, მაგრამ 84 კგ წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონმა და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა ფინალამდე ვერ მიაღწია.

პირველი შეხვედრა სომეხ ედგარ იენოკიანთან მინდორაშვილმა კარგად დაიწყო. პირველივე პერიოდში სუფთა გდებით მოათავა საქმე. მერე პოლონელ ჰორბიკ რადოსლავს დაეჭიდა. ორი პერიოდი ისე მოუგო, მეტოქეს ქულაც არ დაანება. მდგომარეობა უკრაინელ ტარას დანკოსთან გართულდა. ქართველმა ფალავანმა მეტოქე პირველ პერიოდში მინიმალური ანგარიშით დაამარცხა, მაგრამ მეორეში ასეთივე უპირატესობით უკრაინელმა გაიმარჯვა. ახალი წესებით, დაინიშნა დამატებითი დრო, რომელიც მინდორაშვილის დამარცხებით (0:3) დამთავრდა. ქართველ ფალავანს მდგომარეობის გამოსასწორებლად რეპეშაჟი მიეცა. "ბრინჯაოსთვის" ბრძოლაში მინდორაშვილს ბერძენ ლაზაროს ლოიზიდისთან მოუხდა ურთიერთობის გარკვევა. ორი პერიოდის ჯამში ქართველი აღმოჩნდა წაგებული (1:2) (1:1).



ამ წონაში მისი ბედი გაიზიარა გერმანიის სახელით მოსპარეზე დავით ბიჩინაშვილმა - მანაც დათმო მესამე ადგილისთვის ორთაბრძოლა.

კარგად დაიწყო შალვა მუზიაშვილმაც (66 კგ). ფრანგ ვადიმ გიგოლაევს, მართალია, პირველი პერიოდი ქულით დაუთმო, მაგრამ მეორე სუფთად მოუგო. მეორე შეხვედრა სომეხ სურენ მარკოსიანთან სუფთად წააგო და იქვე ევროპის ჩემპიონატიც დაამთავრა.

მძიმე წონაში შედეგის მხრივ იგივე ბედი ეწია დავით ოთიაშვილსაც, რომელმაც თურქ რეჩეპ კარაზე სუფთად გამარჯვების შემდეგ მეორე შეხვედრაში ბერძენ ევსტატოს ტოპალიდისს პირველი პერიოდი 4:0 მოუგო, მაგრამ მეორეში ბერძენმა შეხვედრის ბედი თავის სასარგებლოდ შემოაბრუნა და უკვე თავად მოახერხა ოთხი ქულის აღება. დაინიშნა დამატებითი დრო, მაგრამ ქართველმა მძიმეწონოსანმა სამი ქულის აღებაღა შეძლო. ეს მაშინ, როდესაც ტოპალიდისმა 7 ქულა აიღო.

რაც შეეხება ნაკრების ყველაზე მსუბუქი წონის წარმომადგენელს, 55 კგ წონაში მოასპარეზე ბესარიონ გუჩაშვილს, მან პირველი შეხვედრა უკრაინელ გევორქ მარქარიანს საკმაოდ იოლად მოუგო. მეორე შეხვედრა კი მასპინძელ როდოსლავ ველიკოვთან წააგო, მაგრამ რადგან ბულგარელმა მოგვიანებით გზა ფინალამდე გაიკვალა (რომელიც მერე წააგო), გუჩაშვილს მესამე ადგილისთვის ბრძოლის უფლება მიეცა (ესპანელ ფრანცისკო სანჩესთან). გუჩაშვილმა ეს შანსი ბოლომდე გამოიყენა - ორივე პერიოდის ჯამში (3:0) (6:0) ცხრა ქულა აართვა.

ერთი სიტყვით, "თავისუფლების" მონაგარი თითო "ოქრო" და "ვერცხლია". ხვალიდან ბერძენ-რომაელებიც ჩაერთვებიან საქმეში და, იმედია, უკეთეს შედეგს მიაღწევენ.

ინფოთეკა

### ტაისონი თვალს გიხვევთ!

ბრიტანელი მძიმეწონოსანი დენი უილიამსი, რომელმაც შარშან, ივლისში, მაიკ ტაისონი დაამარცხა, მოგვიანებით კი მატჩ-რევანში შესთავაზა, იმედგაცრუებულია თავისი ყოფილი მეტოქის არჩევანის გამო. ბრიტანელის აზრით, მეტოქედ კევინ მაკბრაიდის არჩევა იმაზე მიუთითებს, რომ ტაისონსა და მის გუნდს უილიამსთან რევანშის აღების იმედი არა აქვთ. "ამასთან, იმის განცხადება, რომ ჩემთან ტრავმის გამო დამარცხდა, მხოლოდ თავის გამართლებაა. თუ ტაისონს მართლაც ჰქონდა იმის იმედი, რომ მომიგებდა, მაშინ ხელმეორედ შეხვედრაზეც დამთანხმდებოდა...

მაკბრაიდი ისეთი მოკრივეა, რომელსაც ტაისონი ორ რაუნდში უპრობლემოდ გაუშვებს ნოკაუტში. ერთადერთი, რაც მაიკს დღემდე შემორჩა, ეს დარტყმაა, რომელსაც მაკბრაიდი ვერ აიტანს... ტაისონის რინგზე დაბრუნება ხალხისთვის თვალის ახვევაა და მეტი არაფერი. მას ჩხუბი აღარ უნდა და, იმედი მაქვს, კრივის მოყვარულები მალე ამაში დარწმუნდებიან".

### დელ ბოსკე "რეალზე" გაბრაზებულია

"ასოშეიტედ პრესის" ცნობით, მადრიდის "რეალის" ყოფილ მწვრთნელს ვინსენტე დელ ბოსკეს კლუბში დაბრუნება აღარ სურს, რადგან განაწყენებულია, რომ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან, ამასთან, არაერთი ჯილდოს მოგების შემდეგ გაათავისუფლეს.

"რეალში" არ დავბრუნდები. პრინციპის საკითხია და მორჩა, - განაცხადა დელ ბოსკემ. - არ მეგონა, თუ ასე მომექცეოდნენ მას შემდეგ, რაც კლუბისთვის გავაკეთე".

### კენიელმა კენიას ამერიკა არჩია

კენიის სახელით ათენის ოლიმპიურ თამაშებზე 1500 მეტრზე რბენაში ვერცხლის მედლის მომპოვებელმა ბერნარ ლაგატმა ამერიკის მოქალაქეობა მიიღო.

"ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, დღეის იქით აშშ-ის ღირსება დავიცვა, - აცხადებს კენიელი მძლეოსანი. - 30 წლის ვარ და მომავალზეც უნდა ვიფიქრო".

ბერნარ ლაგატს ახალი სამშობლოს სახელით ასპარეზობის უფლება არ ექნება წლეულს აგვისტოში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე. იააფ-ის წესებით, მოქალაქეობის შეცვლიდან, სულ ცოტა, ერთი წელიწადი უნდა გავიდეს, რომ სპორტსმენს შეჯიბრებაზე გამოსვლის უფლება მიეცეს.

### მალდინი მარკუს მერკის გადაწყვეტილებას ამართლებს

მილანის "მილანის" კაპიტანი პაოლო მალდინი მიიჩნევს, რომ გერმანელმა მსაჯმა მარკუს მერკმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი "ინტერთან" შეწყვიტა.

მოგეხსენებათ, "სან სიროზე" ატეხილი აურზაურის შემდეგ "მილანისა" და "ინტერის" შეხვედრა 73-ე წუთზე შეწყდა. "ინტერის" გულშემატკივრებმა მოედანზე პეტარდები, ბოთლები, გასაღებები და, თქვენ წარმოიდგინეთ ქოლგაც კი ისროლეს. ერთ-ერთი პეტარდი კი "მილანის" ბრაზილიელ მეკარეს დიდას მოხვდა მარჯვენა მხარზე.

"ვერაფრით ვახერხებდით მატჩის ჩამთავრებას. თავად შევეცადეთ მოედანი გაგვეწმინდა, მაგრამ ტრიბუნებიდან საგნების სროლა არ წყდებოდა. მიმაჩნია, რომ რეფერიმ სწორი გადაწყვეტილება მიიღო", - "სან სიროზე" განვითარებულ მოვლენებს იხსენებს მალდინი და იქვე დასძენს, რომ "მილანისა" და "ინტერის" შეხვედრათა ისტორიაში, ყოველ შემთხვევაში, რაც ფეხბურთს ვთამაშობ, ასეთი რამ არ მომხდარაო.



# ვნახოთ, გავხდებით თუ არა საფეხბურთო ქვეყანა

რუბრიკას უძღვება
ნინო სვანიძე

*ჩვენმა სტუმრებმა - ზურა მაისურაძემ და ვალერი კობახიძემ ფეხბურთის ფედერაციაში მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს; ჩვენი რესპონდენტების აზრით, არც ისე ჩქარა, მაგრამ მაინც გამოიკვეთება, საერთოდ, შევძლებთ თუ არა, გავხდეთ საფეხბურთო ქვეყანა...*

**ზურა მაისურაძე:**"რა თქმა უნდა, იმედი მაქვს, რომ ფედერაციაში ახალი ხალხის მოსვლა მნიშვნელოვანი საქმეა - ძველები, 15 წელიწადია, იწყებენ და საშველი ვერ დააყენეს, უკვე ნულამდე დავედით. ახალ კანდიდატურებს რაც შეეხება, ჩემი აზრით, ორი ძალიან კარგი ძალაა - ერთი ახალგაზრდული და მეორე - ძველი. ძველებიდან ვლადიმერ გუცაევს ვგულისხმობ; ღირსეული კანდიდატია - წესიერი, სიტყვის კაცი და საქმის გამკეთებელი; ასევე - ნემსაძე, ანჩაბაძე, ჯამარაული, ყაველაშვილი - ეს ერთი დიდი გუნდია წესიერი, საქმიანი და პატიოსანი ახალგაზრდების, ვისაც რეალურად შეუძლია საქმის ადგილიდან დაძვრა. სხვა სასურველ კანდიდატურას მე ვერ ვხედავ. საერთოდ, ეს საკითხი ფეხბურთის სამყარომ უნდა გადაწყვიტოს და მთავრობა უხეშად არ უნდა ჩაერიოს ამ საქმეში - საკუთარი კანდიდატის გაყვანა არ უნდა სცადონ, თორემ ამას აუცილებლად მოჰყვება ხალხის დიდი უკმაყოფილება".

**ვალერი კობახიძე:**"პირველ რიგში, საფეხბურთო ინფრასტრუქტურას უნდა მიხედონ. წინათ ქართული ფეხბურთი მუდმივად ივსებოდა რაიონებიდან ჩამოყვანილი ფეხბურთელებით - მაშინ ფეხბურთს სოფელშიც თამაშობდნენ; ახლა ასე აღარ ხდება, რადგან პროფესიულმა ფეხბურთმა ძალიან გაუსწრო სამოყვარულო დონეს - ადრე ეს განსხვავება არც ისე დიდი იყო. მაგალითად, ანდრო ჟორდანიამ ბანძიდან ჩამოიყვანა ხურცილავა, გაგრიდან - ბარქაია და სიჭინავა. ეს ფეხბურთელები ერთ თვეში ისე მომზადდნენ, რომ, ლამის, მაშინვე ძირითად შემადგენლობაში მოხვდნენ. ახლანდელ ფეხბურთს სულ სხვა მოთხოვნები აქვს და, ბუნებრივია, საქმე ასე მარტივად არ გადაწყდება. ასე რომ, თანამედროვე სტანდარტების ფეხბურთელის გაზრდა პატარაობიდანვე უნდა დავიწყოთ; უნდა არსებობდეს უამრავი მოედანი, ბაზა, აღჭურვილობა და, რაც მთავარია - მწვრთნელების სკოლა, რომლებიც მომავალ თაობას შესაფერის ცოდნას გადასცემენ.

რამდენადაც ვიცი, ჩვენს ხელისუფლებას ფეხბურთი პრიორიტეტულ დარგად მიაჩნია - გარკვეულ დახმარებასაც უწევს და კიდევ აპირებს. ერთი სტყვით, საჭიროა, ამ საქმეს კარგმა ორგანიზატორმა მიხედოს, რომელიც თითოეულ კაპიკს მიზანმიმართულად მოახმარს ფეხბურთის აღორძინებას. თუ ეს ვერ შევძელით, მაშინ თავი აღარ უნდა მოვიტყუოთ და აღარც უნდა ვიოცნებოთ, რომ საფეხბურთო ქვეყანა გავხდებით".

**ზურა მაისურაძე:**"ამჯერად ახალგაზრდა ფეხბურთელებთან ურთიერთობის ორი გზა მესახება - უნდა გაკეთდეს ძლიერი ეროვნული ჩემპიონატი (რაც, რასაკვირველია, ფინანსებს უკავშირდება) და 15 წლიდან ნიჭიერი ახალგაზრდები პატარა დოზით (ეს მწვრთნელის გადასწყვეტია) უნდა ჩაებან დიდ ფეხბურთში და კლასი აიმაღლონ; ანდა - პერსპექტიული ახალგაზრდა ამ ასაკიდან აუცილებლად უნდა გაემგზავროს საზღვარგარეთ და იქაურ დონეს ეზიაროს...

მწვრთნელის განათლება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ ყველა განსწავლული მწვრთნელიც ერთნაირად ძლიერი ვერ იქნება - მწვრთნელობის ნიჭიც ისეთივე თანდაყოლილია, როგორც ფეხბურთელობის"...

**ვალერი კობახიძე:**"თან სულაც არ არის აუცილებელი, კარგი მწვრთნელი წარსულში აუცილებლად ფეხბურთელი ყოფილიყო. ამის ნათელი მაგალითია "ჩელსის" მწვრთნელი -მოურინიო, რომელიც არასოდეს ყოფილა ფეხბურთელი, მაგრამ მწვრთნელობის დიდებული ალღო აღმოაჩნდა.

საერთოდ, მშიერ ქვეყანაში დიდი საქმეების კეთება ძალიან ძნელია. მშიერი მწვრთნელი, რომელიც იმას ფიქრობს, შვილებს რა აჭამოს, დიდ ფეხბურთელებს ვერ გაზრდის; მით უმეტეს - თუ გუნდის წევრებიც არ ჰყავს მაძღარი. დავაკვირდეთ აბა, სად თამაშობენ დიდ ფეხბურთს - მხოლოდ დალხენილ ქვეყნებში; ანდა ზოგჯერ ისეთი ქვეყნებიდანაც გამოდიან ფეხბურთელები, სადაც ბავშვები სკოლაშიც კი ვერ დადიან და, ბურთის გორების გარდა, აღარაფერი დარჩენიათ. ჩვენი ქვეყანა რა გზას ადგას ახლა ძნელი სათქმელია...

ძალიან ხშირად ფეხბურთის მესვეურები იმაშიც სცოდავენ, რომ ნეიტრალური ადამიანების რჩევას არ ითვალისწინებენ. ზოგჯერ მცოდნე ადამიანი ამა თუ იმ ფეხბურთელის გასინჯვას ურჩევს რომელიმე მწვრთნელს, მაგრამ, უმეტესად, მათ რჩევას ყურად არ იღებენ. არადა, ყოფილა შემთხვევები, როცა მწვრთნელს ასეთი ფეხბურთელი გამოუცდია და მართლაც კარგი შედეგი მიუღია. მაგალითად, ომარ თეთრაძე ახალკაცის დროს სამჯერ გასინჯეს თბილისის "დინამოში" - ჩვენ ვურჩიეთ, და არ აიყვანეს; შემდეგ კახი ასათიანმა ლესელიძეში შეკრებაზე საცდელად წაიყვანა და იქიდან რომ ჩამოვიდნენ, მადლობა გვითხრა. მექსიკის ჩემპიონატიდან თეთრაძე რუსეთის საუკეთესო ფეხბურთელის წოდებით დაბრუნდა. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები ხშირია - მწვრთნელები ტიტულებს და რეგალიებს უფრო აკვირდებიან, ვიდრე თავად ფეხბურთელის მონაცემებს".

**ზურა მაისურაძე:**"ერთი სიტყვით, ზემოთ რომ ის სასურველი კანდიდატურები ვახსენე, მე იმედი მაქვს, რომ ისინი საქმეს აუცილებლად გააკეთებენ - არც ერთ კაპიკს ჯიბეში არ ჩაიდებენ და ფეხბურთს მოახმარენ. ვნახოთ, რა გამოვა. დანარჩენ კანდიდატებს სკეპტიკურად ვუყურებ და ვერ ვებოდიშები...

მართალია, ფედერაცია, საერთოდ, უკონტროლო სისტემაა - მათ საქმეში ბოლომდე ვერავინ ჩაერევა, მაგრამ საქმე თუ გაკეთდა და ხალხმა ეს დაინახა, მართლაც აღარავინ ჩაერევა მათ საქმეებში...

მოკლედ, იტალიის დონის ჩემპიონატს ვერ გააკეთებ, მაგრამ ნორმალური დონის მიღწევა შეუძლებელი სულაც არ არის...

**ვალერი კობახიძე:**"საქართველოში ცხოვრების დონემ უნდა აიწიოს, რომ რაღაცას დაემსგავსოს ეს ფეხბურთი. მაგალითად, ზუგდიდელი ბავშვი წელიწადში ხუთ შეხვედრაში მონაწილეობს, როცა თბილისელი 50 თამაშს ასწრებს. რაიონიდან ჩამოსული ნიჭიერი ბავშვებისთვის სკოლა-ინტერნატები მაინც უნდა არსებობდეს - აი, ისეთი, კომუნისტების დროს რომ იყო. სხვათა შორის, კომუნისტები ჩვენს ახლანდელ ხელისუფლებას ჭკუით ჯობნიდნენ - სპორტს მეტი გულისყურით ეკიდებოდნენ, ხვდებოდნენ, რომ მოსახლეობის ყურადღების გადასატანად ეს საუკთესო საშუალებაა. ეს ხუმრობით - ისე კი, ასეთი მოტივაცია ღმერთმა დაგვიფაროს; ჩვენს ქვეყანასაც და ფეხბურთსაც ნამდვილად უნდა ეშველოს, თორემ ისე, რა აზრი აქვს რაიმეზე ლაპარაკს".












ინფოთეკა

### გამარჯვებული ხვალ გამოვლინდება

"24 საათის" და "ბრითიშ ეარვეიზის" კონკურსი დასრულდა.

დასრულდა გაზეთ "24 საათისა" და მისი პარტნიორი ავიაკომპანია "ბრითიშ ეარვეიზის" ერთობლივი კონკურსი. ვიქტორინა-კონკურსში მონაწილე ჩვენი გაზეთის მკითხველთა დიდმა ნაწილმა საკონკურსო შეკითხვებს სწორი პასუხი გასცა. ხვალ, 15 აპრილს, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართება ვიქტორინა-კონკურსის ბოლო ფაზა: გათამაშდება ლატარია, რომელიც გამოავლენს "ბრითიშ ეარვეიზის" რეგულარული რეისის, თბილისი-ლონდონი-თბილისის ორი ბილეთის მფლობელს. მათ, ვინც სწორი პასუხები გამოგზავნა, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით უკვე ეცნობათ ლატარიაში მონაწილეობის თაობაზე. ლატარია გათამაშდება "შერატონ მეტეხი პალასის" დარბაზ "ბალავარში", პარასკევს, 15 აპრილს, 17 საათსა და 30 წუთზე.

TV-სპორტი

### ხუთშაბათი. 14 აპრილი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:20 ლიბერტადორესის თასი. "სან პაულუ" (ბრაზილია) - "კილმესი" (არგენტინა)
14:00 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. პსჟ - "ლიონი". საპასუხო მატჩი
15:50 თავისუფალი დარტყმა
16:05 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:00 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. "იუვენტუსი" - "ლივერპული". საპასუხო მატჩი
18:55 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "დინამო" - "ნორილსკი ნიკელი". პირდაპირი ტრანსლაცია
20:20 თავისუფალი დარტყმა
20:35 სახვალიო ტელეპროგრამა
20:40 ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალური მატჩების მიმოხილვა
22:00 საუიკენდო მატჩების ანონსი
22:05 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი
22:35 "2:1". ტოქშოუ
23:35 ლიბერტადორესის თასი. "სან პაულუ" (ბრაზილია) - "კილმესი" (არგენტინა). შესვენებისას (00:25) - თავისუფალი დარტყმა
01:35 "საფეხბურთო კლუბი". რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:10, 18:30, 22:00 პრესცენტრი
10:20, 18:45 "ქრონიკა"
10:25, 12:45 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ფინალები: 55კგ, 66კგ, 84კგ, 120კგ
13:15 სუპერკროსი. პარიზის სპორტის სასახლე "ბერსიში"
14:00 სახანძრო-სამაშველო სპორტი
14:30 "2:1". ტოქშოუ
15:40 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
16:25 სინქრონული ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
18:50 სახვალიო ტელეპროგრამა
18:55 ჭიდაობა. ქალები. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ფინალები: 48კგ, 55კგ, 63კგ, 72კგ. პირდაპირი ტრანსლაცია
22:10 "მოტოვებული კვირა"
22:55 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
23:25 ჩოგბურთი. "Masters Series" მონტე კარლოში. შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები
01:10 სინქრონული ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი

**EUROSPORT**

10:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი შვედეთში
11:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ახალი ზელანდია. მიმოხილვა
12:00 სადარბაზო ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იბიცა
13:00 ფეხბურთი - უეფას თასი
14:45 მულტისპორტი - აი, მესმის!
15:15 წყალში ხტომა - ევროპის თასი შვედეთში
16:45 ფეხბურთი - გ-ო-ო-ოლ!!!
17:00 ფეხბურთი - უეფას თასი
18:00 ტაიკვანდო. მსოფლიო ჩემპიონატი ესპანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 მულტისპორტი - აი, მესმის!
20:30 ავტოსპორტი. ფი-ს მსოფლიო ჩემპიონატი ტურინგის კლასში
21:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში. პირდაპირი ტრანსლაცია
22:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
23:15 ფეხბურთი - უეფას თასი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:15 ფეხბურთი - უეფას თასი
02:00 ახალი ამბები
02:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. კვირის მატჩი

# B-კლასი ანუ, უბრალოდ, დიდი ზომის A-კლასი

რაც დრო გადის, სულ უფრო ივსება "მერსედეს-ბენცის" სამოდელო რიგი და მალე ის დროც დადგება, როცა "სამქიმიანები" უკლებლივ ყველა კლასის ავტომობილების გამოშვებას დაიწყებენ. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ ჟენევის ავტოსალონზე შედგა გერმანული კომპანიისთვის სრულიად ახალი, B-კლასის ავტომობილის დებიუტი, რომელსაც ბაზარზე უკვე დიდი ხანია, ელოდნენ.

ამ ახალი ავტომობილით შტუტგარტელები მოღვაწეობას იწყებენ ბაზრის იმ სეგმენტში, რომელსაც კომპაქტვენების კლასი ჰქვია, თუმცა მარკეტინგული მოსაზრებით, მწარმოებელი მაინც ემიჯნება ამ კლასს და თავის ახალ მოდელს "კომპაქტ სპორტ ტურერს" (კომპაქტური სპორტული სამოგზაურო ავტომობილი) უწოდებს.

ზუსტად ასეთი განმარტება ჰქონდა ავტომობილს დაახლოებით ნახევარი წლის წინაც, როცა მისი დებიუტი შედგა სახელით "ვიჟნ B" (B-კლასის ხედვა). ამ კონცეპტუალური მოდელის პარიზში ჩვენება პირველი და უტყუარი ნიშანი იყო იმისა, რომ მალე შტუტგარტელთა სამოდელო გამა სრულიად ახალი, კომპაქტური ავტომობილით შეივსებოდა.

და აი, ჟენევაში მოლოდინი გამართლდა - "პალექსპოს" საგამოფენო კომპლექსში "მერსედეს-ბენცმა" წარმოადგინა B-კლასის ავტომობილი, რომლის წყალობითაც, კომპანია ახლო მომავალში თავისი პროდუქციის გაყიდვების საგრძნობ ზრდას იმედოვნებს.





*მერსედეს-ბენც B-კლასი*

გარეგნულადაც და ტექნიკური თვალსაზრისითაც, ახალი ავტომობილი ძლიერ ჰგავს თავრის A-კლასის ნათესავს. უფრო მეტიც, მისი პლატფორმის დაგრძელებულ ვარიანტზეა ბაზირებული. B-კლასის სიგრძე 4.27 მეტრია და ის 43 სანტიმეტრით გრძელია A-კლასზე. შესაბამისად, მის თვლებს შორის ბაზაც 21 სანტიმეტრით გრძელია. გაბარიტების ზრდა პირველ რიგში, მგზავრთა კომფორტის გაუმჯობესებას მოხმარდა. შესაბამისად, გაიზარდა საბარგულის ზომაც (სამოგზაურო ავტომობილისთვის შესაფერისად). ეგ კიდევ არაფერი, უკანა სავარძლების ტრანსფორმაციის მეშვეობით, საბარგულის მოცულობა დაახლოებით სამჯერ იზრდება. შესაბამისი შეკვეთის შემთხვევაში კი დილერს შეუძლია მოსახსნელი წინა სამგზავრო სავარძლის დამონტაჟება და მაშინ მძღოლის სავარძლის გარდა, მთელი სალონის ბარგისთვის დათმობა იქნება შესაძლებელი. ასეთ შემთხვევაში, საბარგული თითქმის ხუთჯერ იზრდება და მისი მოცულობა 2.245 ლიტრს აღწევს. ამ მხრივ, B-კლასის ავტომობილს ბაზრის შესაბამის სეგმენტში ბადალი არ ეყოლება.

B-კლასის ავტომობილისთვის განკუთვნილია ბენზინის ოთხი და დიზელის ორი აგრეგატი. საბაზო ვერსია ინდექსით B 150 მიიღებს 1.5-ლიტრიან ბენზინის ძრავს, რომლის სიმძლავრე მხოლოდ 95 ცხენის ძალაა. ტოპ-ვერსია (B 200) კი მიიღებს 2.0-ლიტრიან ტურბომოტორს 193 ცხენის ძალით. ამ აგრეგატით ავტომობილს შესანიშნავი აჩქარება ექნება - ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის ასაკრეფად 7.6 წამი დასჭირდება, მაქსიმალური სიჩქარე კი 225 კმ/სთ-ს მიაღწევს, რაც ამ კლასისთვის შესანიშნავი მაჩვენებელია.

რა თქმა უნდა, დებიუტიდან ცოტა ხნის შემდეგ, ეს ავტომობილიც გაივლის მოდერნიზების კურსს ატელიე AMG-ში, რომელიც "სამქიმიანთა" პარტნიორია და ამ კომპანიის თითქმის ყველა მოდელს უტარებს ტიუნინგს. B-კლასის ტოპ-ვერსია და დიზელისძრავიანი მოდიფიკაციები მიიღებენ 6-საფეხურიან მექანიკურ გადაცემათა კოლოფს, ბენზინისძრავიანები კი - 5-საფეხურიან, ასევე მექანიკურს. ამასთან, მყიდველის სურვილისამებრ, შესაძლებელი იქნება ავტომატური კოლოფის დაყენებაც.

ავტომობილის საბაზო აღჭურვილობაში შედის საკიდარის სიხისტის ცვლის სისტემა, რომელიც ამ კვანძის მახასიათებლებს უხამებს გზის საფარს და ავტომობილის მართვის მანერას (სპორტული, მშვიდი, ქალაქში და ქალაქგარე მოძრაობის, უგზოობის და ა.შ. პირობებში). ნორმალურ რეჟიმში გადაადგილებისას, საკიდარი რბილ სვლას უზრუნველყოფს, მაგრამ თუ ელექტრონული სისტემა შენიშნავს, რომ მძღოლი მოსახვევებს მაღალი სიჩქარით გადის, მაშინ საკიდარის დრეკადი ელემენტების (მოზამბარე და რხევების ჩამქრობი ამორტიზატორები) შესაბამისად გახისტდება, რითაც უზრუნველყოფილ იქნება ავტომობილის მდგრადი მოძრაობა.

B-კლასის ავტომობილი კომპაქტურ კლასში ყველაზე უსაფრთხო ავტომობილი იქნება. მძღოლისა და მგზავრების უსაფრთხოებას ემსახურება ორსაფეხურიანი, ადაპტური (შეგუებადი) პნევმობალიშები, წინასწარი დაჭიმვის რეჟიმით მომუშავე ღვედები, რომლებიც ყველა სავარძლისთვისაა განკუთვნილი, კისრის აქტიური დამცავები, ღვედების დაჭიმვის შემზღუდველები და მოდერნიზებული გვერდითი უსაფრთხოების პნევმობალიშები.

ავტომობილის აქტიური უსაფრთხოების სისტემის მუშაობას კი უზრუნველყოფს ელექტრონული სისტემა ESP, რომელიც საჭის მექანიზმის კონტროლის სისტემასთან კომპლექსში მუშაობს. კერძოდ, ყურადღებას აქცევს საჭის სერვოგამაძლიერებელის მუშაობას და კრიტიკულ სიტუაციებში მძღოლს ავტომობილზე კონტროლის შენარჩუნებაში ეშველება. ეს სისტემა იმ შემთხვევაშიც ამუშავდება, თუ დამუხრუჭებისას ავტომობილი მოცურდება (რაც მაგალითისთფვის, შეიძლება გამოიწვიოს გზის საფარის ერთი ნაწილის მოყინვამ).

"მერსედეს-ბენცის" B-კლასი კონკურენციას გაუწევს "გოლფის" კლასის კომპაქტვენებს, როგორებიცაა "ფოლკსვაგენ ტურანი", "ფორდ ფოკუს C-მაქსი" და "ოპელ ზეფირა". შტუტგარტული სიახლის გაყიდვები ევროპაში ამ გაზაფხულიდან იწყება. ჯერჯერობით საბოლოოდ არაა ფასები დაზუსტებული, თუმა სავარაუდოდ, ისინი კომპლექტაციის მიხედვით, 22-30 ათასი ევროს ფარგლებში იქნება.

# "აუდის" ორი ახალი "კვატრო"

25 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გერმანულმა კომპანია "აუდიმ" პირველად გამოიყენა ტექნოლოგია "კვატრო", რომლის საშუალებითაც პირველად აღჭურვა თავისი სედანები და კუპეები ოთხივე წამყვანი თვლიანი ტრანსმისიით. მას შემდეგ ინგოლშტადტელები ყოველთვის იყენებენ ამ სისტემას თავიანთი მოდელების ტოპ-ვერსიებში.

წელს კი, "აუდის" კონსტრუქტორებმა ჟენევის ავტოსალონისთვის ამგვარი სისტემით აღჭურვილი ორი ახალი ავტომობილი მოამზადეს - კონცეპტუალური კუპე "აუდი TT კვატრო სპორტი" და სედან "აუდი A4-ის" ტოპ ვერსია სახელად "აუდი RS4".



*აუდი TT კვატრო სპორტი*





*აუდი RS4*

ახალი "TT კვატრო სპორტი" ყველაზე მძლავრი და დინამიკური ავტომობილია TT-ს სამოდელო რიგში. მისი 1.8-ლიტრიანი ტურბომოტორი 240 ცხენის ძალას ავითარებს, რაც მხოლოდ 10 ცხენის ძალით ნაკლებია "აუდი 3.2 DSG-ს" 3.2-ლიტრიანი ატმოსფერული ძრავის სიმძლავრეზე. სამაგიეროდ, ავტომობილის სიმსუბუქისა და ტრანსმისიის გადაცემათა რიცხვების წყალობით, "TT კვატრო სპორტი" გაცილებით უფრო დინამიკური მახასიათებლებით გამოირჩევა.

ავტომობილის შესამსუბუქებლად, კონსტრუქტორებმა რამდენიმე ისეთ სისტემაზე თქვეს უარი, რომლებიც პირველ რიგში, კომფორტის გაუმჯობესებას ემსახურება. მოდერნიზება გაიარა უკანა საკიდარმა, სტანდარტული სავარძლების ნაცვლად კი სალონში ჩაიდგა "რეკაროს" წარმოების სპორტული სავარძლები. საერთო ჯამში, ავტომობილის წონა 75 კილოგრამით შემცირდა. ერთი შეხედვით, ეს არც ისე ბევრია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველ 5.8 კილოგრამზე თითო ცხენის ძალა მოდის, მაშინ წონის შემცირებით მიღებული ეფექტი უფრო თვალსაჩინო გახდება.

ძრავთან შეწყვილებულია "აუდი 3.2 DSG-ის" გადაცემათა კოლოფი, რომლის მეშვეობითაც, "TT კვატრო სპორტს" შესანიშნავი დინამიკური მახასიათებლები აქვს - ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარეს 5.9 წამში ავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 250 კმ/სთ-ითაა შეზღუდული.

დივიზიონ "კვატროს" ინჟინრებმა ძრავის გარდა ავტომობილში კიდევ ბევრი რამ შეცვალეს. კერძოდ, ახალი TT აღჭურვილია დაკიდების სრულიად ახალი სისტემით S-ლაინ, რომელიც სტანდარტულთან შედარებით, გაცილებით ხისტია და შესამჩნევად ადაბლებს ავტომობილის კლირენსს. შეიცვალა სტანდარტული ბორბლებიც, რომელთა ნაცვლად გამოყენებულია 18-დუიმიანი ბორბლები, რომლებსაც 15 ქიმი აქვთ. ისინი შემოსილნი არიან 235/40 ზომის საბურავებით.

ახალი TT-ს აღჭურვილობაში შედის აეროდინამიკური პაკეტი S-ლაინ (S - სპორტ), რომელშიც შედის ახალი, დიდი ზომის ბამპერები, უკანა დიფუზორი და მასში ჩასმული, დიდი ზომის გამოსაბოლქვი მილები. ავტომობილის სახურავი შავი მეტალიკითაა შეღებილი, მთლიანად ძარის შესაღებად კი მხოლოდ სამი - შავი, ვერცხლისფერი და ლურჯი საღებავი გამოიყენება.

დაბოლოს, ამ შესანიშნავი ავტომობილის ღირებულება ევროპის ბაზარზე 44 100 ევრო იქნება.

"კვატროს" სისტემითაა აღჭურვილი "აუდი RS4-იც", თუმცა ის უფრო იმით გამოირჩევა, რომ მისი ძრავის შექმნისას, კონსტრუქტორებმა აქცენტი გააკეთეს არა სიმძლავრის, არამედ მუხლა ლილვის ბრუნთა მაქსიმალურ რიცხვის გაზრდაზე, როგორც ამას ჩვეულებრივ, კონკურენტი მიუნხენელები (ბეემვე) აკეთებენ. ახალი ავტომობილი აღჭურვილია 4.2-ლიტრიანი ძრავით, რომლის სიმძლავრე 420 ცხენის ძალას აღწევს, მაქსიმალური ბრუნთა რიცხვი კი - 8250 ბრ/წთ-ს. ამასთან, მაბრუნი მომენტი მაქსიმალურ დონეს (430 ნ.მ) აღწევს მუხლა ლილვის 5550 ბრ/წთ-ზე. ეს მომენტი კი "კვატროს" სისტემის ტრანსმისიის გავლით, ყველა წამყვან თვალს მიეწოდება.

იმ შემთხვევაში, როცა ძრავთან შეწყვილებულია სტანდარტული კომპლექტაციით გათვალისწინებული 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფი, მაშინ ადგილიდან 100 კმ/სთ-მდე ასაჩქარებლად მას 4.8 წამიც ჰყოფნის, დაძვრიდან 16.6 წამის შემდეგ კი შეუძლია 200 კმ/სთ სიჩქარის აკრეფა. ისევე როგორც გერმანული წარმოების ყველა ავტომობილს, სპეციალური ელექტრონული სისტემა ახალი RS4-ის მაქსიმალურ სიჩქარესაც 250 კმ/სთ-ით ზღუდავს.

რა თქმა უნდა, დინამიკური მახასიათებლების გაუმჯობესებას თან სდევს ავტომობილის მართვის გართულება. ამიტომ, "კვატროს" კონსტრუქტორებმა მძღოლის დასახმარებლად მრავალრიცხოვან ელექტრონულ სისტემას "უხმეს". მაგალითად, ელექტრონული დიფერენციალი აღკვეთავს ავტომობილის დაძვრისას ბორბლების ადგილზე მოსრიალებას, სისტემა ESP კი საქმეში მაშინ ჩარეთვება, როცა გამოუცდელი, ან სპორტული ავტომობილების მართვას მიუჩვეველი მძღოლი უხეშ შეცდომას დაუშვებს.

გარდა ამისა, ესოდენ სწრაფ ავტომობილს შესაბამისად ძლიერი მუხრუჭები ესაჭიროება. ჰოდა, ახალ RS4-ს წინიდან ემსახურება 365-მილიმეტრიანი, უკნიდან კი 324-მილიმეტრიანი დისკებითა და 8-ცილინდრიანი სუპორტებით აღჭურვილი მუხრუჭები. მუხრუჭები განლაგებულია 18-დუიმიანი თვლების შიგნით, რომლებზეც ჩაცმულია 255/40 ზომის საბურავები.

ახალი RS4-ის ძარა გზის საფარს 30 მილიმეტრით დაუახლოვდა, დიდი სიჩქარით მოძრაობისას ავტომობილის მდგრადობის გასაზრდელად კი კონსტრუქტორებმა გაზარდეს ბორბლების კვალი - წინა 37 მილიმეტრით, უკანა კი - 47 მილიმეტრით.

თუ RS4-ის ძარის ქვეშ შეფარებულია ულტრასპორტული აღჭურვილობა, გარეგნულად მას სტანდარტული A4-ისგან ბევრი არაფერი გამოარჩევს. თითქმის არაა შესამჩნევი, რომ ბორბლების კვალის გაზრდის გამო, უფრო გამოიბერა ბორბლების თაღები. უფრო მსხვილსეგმენტოვანი გახდა რადიატორის ბადე. რა თქმა უნდა, ავტომობილმა ახალი, დიდი ბამპერებიც მიიღო, რომელთაგან წინაში უფრო დიდი ზომის სარადიატორე ნიშაა ამოჭრილი, უკანას კი დიფუზორი ამკობს, რომლის გამოყენებაც კონსტრუქტორებმა პირველად ფორმულა ერთის ბოლიდებში დაიწყეს, ახლა კი თანდათან მკვიდრდება სერიულ ავტომობილებშიც.

სამაგიეროდ, სალონის ნახვისას ეჭვიც არავის შეეპარება იმაში, რომ ის ჯიშიან სპორტულ ავტომობილს ეკუთვნის. აქ დიზაინერებმა გასაწყობად გამოიყენეს ტყავი, ალუმინი და ნახშირბადოვანი კომპოზიციური მასალები. წინა ორი სავარძელი აქაც სპორტულით შეიცვალა, საჭის რგოლი დაბლა წაჭრილი, რაც სარბოლო ავტომობილის კოკპიტის შთაბეჭდილებას ახდენს. საჭის რგოლის სიახლოვესაა განლაგებული სპეციალური კლავიშები, რომლებითაც მძღოლს (თუ პილოტს) შეუძლია საწვავის შეფრქვევის სისტემის რეჟიმების კაბინიდან მართვა.

კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ "აუდი RS4-ის" გაყიდვები წლის მეორე ნახევარში დაიწყება. თუ რა ფასი დაედება მას, გაყიდვების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე გამოცხადდება.

# "ზაფირას" შეცვლის დრო დაუდგა

## "ასტრამ" კი სპორტული ფორმა ჩაიცვა

"ჯენერალ მოტორსის" გერმანულმა შტომ სახელად "ადამ ოპელ", 1999წელს დაიწყო შვიდადგილიან კომპაქტვენ "ზაფირას" გამოშვება, რითაც ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა ახალ, კომპაქტვენების კლასს. ეს იყო ფაქტობრივად, "გოლფის" კლასის ავტომობილი, ოღონდ მინივენის მსგავსი ძარით. ეს საკმაოდ თამამი ნაბიჯი იყო, მაგრამ გაამართლა და მერე როგორ - პირველი თაობის "ზაფირა" დღესაც წარმატებით იყიდება მსოფლიოს ბაზარზე.

თუმცა, მისი შეცვლა მაინც აუცილებელი იყო და ბაზარიც ელოდა მეორე თაობის "ზაფირას" გამოჩენას. მოლოდინი ჟენევის ავტოსალონზე დასრულდა, სადაც კომპანიამ წარმოადგინა ახალი, უფრო ტევადი, მოსახერხებელი და ტრანსფორმირებადი სალონის მქონე "ზაფირა".

ისევე როგორც მის წინამორბედს, ახალ ავტომობილსაც სამ რიგად განლაგებული სავარძლები აქვს, რომელთა ნებისმიერი სახით ტრანსფორმირებაა შესაძლებელი, რის შედეგადაც, ინტერიერში ბარგისთვის დამატებითი ადგილი ჩნდება. უფრო მეტიც, მყიდველის შეკვეთის შემთხვევაში, დილერებს შეუძლიათ რეგულირებადი წინა სავარძლის დაყენებაც. სალონში დამატებითი საბარგო ადგილის ორგანიზების თავიანთ სისტემას "ოპელის" კონსტრუქტორები "ფლექს7-ს" უწოდებენ. ამ სისტემის წყალობით, ავტომობილის ინტერიერი წამებში შეიძლება ტრანსფორმირდეს 7-ადგილიანიდან 2, 3, 4, 5 და 6-ადგილიანად.



*ოპელ ზაფირა*



*ოპელ ასტრა OPC*

ახალ "ზაფირაში" ყველაზე მეტი ყურადღება სწორედ მგზავრებს და მათ ბარგს დაეთმო. ავტომობილის სტანდარტული ვარიანტი ხუთი მგზავრის გადაყვანას გულისხმობს, ამ დროს კი საბარგულის მოცულობა 620 ლიტრს აღწევს. ამ სივრცის უკეთ გამოსაყენებლად შექმნილია სისტემა "ფლექს ორგანაიზერ", რომელიც უკვე გამოიყენება "ასტრასა" და "ვექტრას" უნივერსალისძარიან ვარიანტებში. ამ სისტემაში შედის ბარგისთვის განკუთვნილი ერთგვარი რელსები, ტიხრები, ბადეები. ასე განსაჯეთ, ავტომობილს სახურავში ქედის მსგავსი ზოლი გასდევს, რომელიც სალონში უფრო დიდი ზომის ბარგის განთავსების საშუალებას იძლევა. ჭერში, შუშებს შორის, ერთგვარი ჯიბეებია ჩაკერებული, რომლებშიც შესაბამისი ზომის ბარგის მოთავსება შეიძლება.

სულ სალონში ბარგისთვის განკუთვნილი დაახლოებით 30 სეგმენტია, რაც ამ კლასის ავტომობილებისთვის აბსოლუტურ რეკორდად შეგიძლით ჩათვალოთ. ინტერიერის ყველაზე უცნაური დეტალი კი არის U-ს ფორმის ხელის მუხრუჭი, რომლის მსგავსიც პირველად "რენო მეგანში" იქნა გამოყენებული, თუმცა ეს ტექნიკურად მნიშვნელოვან სიახლეს სულაც არ წარმოადგენს.

რაც შეეხება ავტომობილის ტექნიკურ პარამეტრებსა და აღჭურვილობას, მის საფუძვლად აღებულია მოდელ "ასტრას" პლატფორმა, რომელიც 89 მილიმეტრით არის დაგრძელებული. ავტომობილის სიგრძე 4., სიგანე 1.776, სიმაღლე კი 1.637 მეტრია და ყველა ამ პარამეტრით, უფრო დიდია წინა "ზაფირაზე".

ეს პლატფორმა, აღნიშვნით "IDS პლუს", იმითაა გამორჩეული, რომ მისი მოდერნიზება პრობლემას არ წარმოადგენს და ამიტომ, "ასტრას" კლასთან მეტნაკლებად ახლოს მდგარ ავტომობლებში მისი გამოყენება მოსახერხებელია, რითაც მისი შექმნისას უზარმაზარი თანხა იზოგება.

ახალი "ზაფირას" აღჭურვილობაში შედის ბენზინის ოთხი და სამი დიზელის აგრეგატი. ბენზინზე მომუშავე ძრავებში ყველაზე მცირელიტრაჟიანია 1.6-ლიტრიანი მოტორი, რომელიც 105 ცხენის ძალას ავითარებს. მას მოსდევს 1.8 და 2.2-ლიტრიანი აგრეგატები, რომელთა სიმძლავრე შესაბამისად, 140 და 150 ცხენის ძალაა. ყველა დიზელის ძრავა 1.9-ლიტრიანია განსხვავებული (100, 120 და 150 ცხენის ძალა) სიმძლავრით. ყველაზე მძლავრი კი არის 2-ლიტრიანი ტურბომოტორი, რომლის სიმძლავრე 200 ცხენის ძალას აღწევს.

დიდი არჩევანია გადაცემათა კოლოფების მხრივაც. მყიდველს შეუძლია აირჩიოს 5 და 6-საფეხურიანი მექანიკური, 6-საფეხურიანი ავტომატი და რობოტიზირებული კოლოფი სახელწოდებით "იზიტრონიკ". ორლიტრიანი ძრავითა და 6-საფეხურიანი კოლოფით ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე 220 კმ/სთ-ს აღწევს.

ჟენევაშივე "ოპელმა" საზოგადოებას წარუდგინა დივიზიონ "ოპელ პერფორმანს სენტერის" (OPC) მიერ მომზადებული სპორტული "ზაფირაც", თუმცა ძნელი სათქმელია, რაში შეიძლება დასჭირდეს ავტომოყვარულს სპორტული კომპაქტვენი, როცა შესაძლებელია იმავე ცენტრის მიერ მომზადებული, გაცილებით აზარტული "ოპელ ასტრა OPC-ს" შეძენა. ისევე როგორც "ზაფირა" და მისი სპორტული ვარიანტი, "ოპელმა" ჟენევაში ეს სპორტული "ასტრაც" წარმოადგინა.

"ასტრას" ამ სამკარიანი ტოპ-ვერსიის მთავარი ღირსებაა 2-ლიტრიანი ტურბომოტორი, რომელიც 240 ცხენის ძალას ავითარებს, 40-ით მეტს, ვიდრე იმავე მუშა მოცულობის მქონე სტანდარტული ტურბირებული აგრეგატი. მთავარი კი ისაა, რომ კონსტრუქტორებმა სიმძლავრის ზრდას მიაღწიეს საწვავი ნარევის შემშვები და გამონაბოლქვის გამომშვები აირების არხების დამუშავებით და ფაზების ოპტიმიზირებით. ამასთან, შეიცვალა ტურბოკომპრესორის მუშაობის რეჟიმიც - ის უფრო მაღალი წნევით აწვდის კუმშვის კამერას საწვავ ნარევს. მთავარი შედეგი ისაა, რომ ამ ძრავით "ასტრა OPC-ს" მაქსიმალური სიჩქარე 240 კმ/სთ-მდე გაიზარდა.

რა თქმა უნდა, სიმძლავრის ზრდამ დაკიდების სისტემის მოდერნიზება მოითხოვა. აქტიური საკიდარი ახლა უფრო ხისტ რეჟიმებში მუშაობს, თუმცა მასში შენარჩუნებულია ეკონომიური და კომფორტული რეჟიმებიც.

გარეგნულად ავტომობილი ადვილად გამოირჩევა სტანდარტული "ასტრასგან", რაც პირველ რიგში, ახალი აეროდინამიკური პაკეტის დამსახურებაა. ამ პაკეტში შედის ახალი, დიდი ზომის ბამპერები, წინა ბამპერში ამოკვეთილი დიდი ზომის ჰაერამღები, ბამპერების ქვეშ და პარმაღის გაყოლებაზე მდებარე სპოილერები და საბარგულის ზედა ნაწილში მოთავსებული მცირე ზომის ანტიფრთა (ანტი იმიტომ, რომ ის თვითმფრნავის ფრთის საწინააღმდეგო დანიშნულებისაა და ავტომობილის გზის საფართან ჩაჭიდების გასაზრდელად გამოიყენება).

სალონში ყურადღებას იქცევს "რეკაროს" წარმოების სპორტული სავარძლები. გარდა ამისა, ისევე როგორც გარედან, ავტომობილი შიგნდანაც ლურჯი ფერისაა, ერთფეროვნებას კი შიგადაშგ არღვევს ალუმინისგან დამზადებული დეკორატიული დეტალები და მუქი ფერის საკისრეები.

"ოპელ ასტრა OPC-ს" წარმოება ამ წლის შემოდგომაზე დაიწყება და მაშინვე გამოცხადდება მისი ფასი. რაც შეხება ახალ "ზაფირას", მისი წარმოება აპრილში დაიწყება, გაყიდვები კი ცოტა მოგვიანებით და მისი ფასიც მაშინ გამოცხადდება, თუმცა წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ მისი ღირებულება ახლოს იქნება კონკურენტ "გოლფისასთან".

სახელი ____________

გვარი ____________

ასაკი ____________

სიმაღლე ____________

მისამართი ____________

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ____________

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
განქორწინებული
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დახარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა____________ თარიღი____________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა

# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გიხარიათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ელის უკლებლივ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოთმინების სურვილი.

**გთხოვთ შეავსოთ ბარკვევით ბლანკი ფრანა**

[illegible]

**ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:**

[illegible]

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მკაფიოდ იქნება ხაზი გამოსახული, გვერდი სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გამოყენებული უნდა იყოს ერთი ორი წლის განმავლობაში.

## სკანვორდი



ბეჭედში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი

მორენას გვარი

ტბა აფრიკაში

სამხალე ბალახი

სოფელი გორის რ-ში

სალეთი რეგიონა

ბუბა კიკაბიძის კინოროლი

ღვთისმშობლის დედა

შადრევანი რომში

ით. ხარე სამხ. საქართ. / ხელნაწერის ქვალი

ავტომატ. სენსორი / პირველი პირველი კაცის სიდიდე

ცნობილი კუბაის ავტორი

ლონდონის სტადიონი

ღვთაების ქალღმერთი / ბრიტანული ხმარა მეფარე

კოშის და რკალის სახური ერთეული

თანამედროვე ქართველი ფეხბურთელი

სოფლის გვარი / ფოსო თვალის კედი

წითელი ქვირფასი თვალი

დახრილი კოშკის ქალაქი

მაკაკანიანი

ისტორიული ქალაქი კახეთში

ბოლოში ფრანგულად

სურნელოვანი მცენარე

ჩინელ კომუნისტთა ბელადი

დარტყმისგან ამობურცული ადგილი შუბლზე

ავსტრიული ალპინისტი *** ვეი

სამლოცველოს უხრო კლარნეტი

ბარბის მოფრენდი

მდინარე ნორმა

მუსიკალური თავითავის კონა

მელოდიური მხატვარი ფრიდა ***

იგივეა რაც ლენინი

ლოცვის მონაკვეთი

ოპერის მეტრი გერმანი-ქორეგრაფი

ნაძელჯოების მხატვარი / მეია თიმოლისთან

კომპოზიტორი-ლი ლითონი

ქართული ხალხური საცეკვა

სტალინის დედა

წაბლისფერი ნაირიანი სამონადირეო თავისუფალი ხელი

წინა სკანვორდის პასუხები: (ჰორიზონტალურად) კაპიტოლიუმი სპა კოზაკი ტიტანიკი ამი ლოველასი ურალი ვაგი ლოზარიუმი იონ ვერაძე მისი ბროლინი ანა ინი აბარაკი ასაკოვანი ტოში ტოგა ისრაში ნიკოტინი ვერლიჰი ბუბრილი ახა როიმი ლილო აპორა დრო ლამა ალი ავი ფინიში აბრია ქვა მინა მამაი კოლანი ანოტაცია ტონა ავარა მაკე

## TV პროგრამა

14 აპრილი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ჯეტიქსი **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **22.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.45** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "ზებერი ყაჩაღები" **15.25** ჩემპიონთა ლიგა. **18.30** პატრული **18.55** უცნობი **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** ვის უნდა 50 ათასი **23.00** დოკ. ფილმი "როგორ იღებდნენ ადამიანის სხეულს" **00.00** მხ. ფილმი "ორმო" (18) (ტორა ბერჩი) **02.05** პატრული

### TV5

14 აპრილი **06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.15(შვეიცარია), 02.40(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.30** ტელეტურიზმი. **11.05** გდაცემა: საოჯახო ფოტოები. **12.20** მაშველები. ტელესერიალი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.25** გადაცემა: ფრანს ევროპ ექსპრესი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** ქალთა ტკივილი. ტელესერიალი. **22.05** აკუსტიკა. **24.25** წმინდა პეტრეს ქვრივი. მხ ფილმი. რეჟისორი პატრის ლეკონტი. **04.25** ქალთა ტკივილი. ტელესერიალი.

### ჯისტ

**09.00** პროგრამა "დილა" **11.00** "საბავშვო ხუთეული" **11.30, 16.45, 20.30** სტერეო-ნიუსი **11.54** პოპ-ათეული **12.30** სმს-ჩარტი **13.30** სტერეო-რეპი **14.00** ავტოპილოტი **15.00** სმს-ჩარტი **16.00** პოპ-ათეული **17.00** რეტრო **17.30** "საბავშვო ხუთეული" **18.00** სმს-ჩარტი **19.00** ლიტ. ვიქტორინა **20.00, 23.00** "ქალაქური" **21.00** რეტრო **21.15** პოპ-ათეული **22.00** სმს-ჩარტი **01.00** ავტოპილოტი

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ძველი ბერძენი გმირები" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აზერბაიჯანულ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" - სტუარტი, ვაშინგტონი. **16.30** დოკ. ფილმი "კატის კავშირი" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" - "კამელოტის ქალები" მე-3ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "შედევრის პირადი ცხოვრება" **23.00** მედიატორი **23.30** ქართ. ფილმი "პირველი მერცხალი" (გ) **02.00** საინფ. გამოშვება

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "ფოკუსის ისტორია" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება. "მარბენალი" **00.00** მხ. ფილმი "პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი" (გ) (ჯინა ლოლობრიჯიდა)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტ. სერიალი "ჟაკ კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავლები" **20.30** დოკ. სერიალი "ცხოველი და მისი ტერიტორია" **20.55** დოკ. ფილმი "კათედრალური ტაძრები" **21.45** დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" **22.10** კინოსეანსი "ხაფანგი" 1-ლი ს.

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ცხელი ძაღლი-1" **12.20, 17.10, 02.25** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.55** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "კაპიტანი ნემო" მე-2ს. **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.05** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** "ერთხელ ჰოლივუდში" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ცხელი ძაღლი-1" **22.55** "ათასიდან ერთი შანსი" **23.25** მხ. ფილმი "ჯინოსტრა" (15) (ჰ. კეიტლი)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფორმაციო დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" (გან) **10.00** მუსიკა **10.30** დოკ. ფილმი "ისლამის ისტორია" მე-26ნაწ. **11.30** კომედია "ბლეფი" **13.00** მხ. ფილმი "არც გაიფიქრო" **14.30, 17.30, 20.30** საინფორმაციო გამოშვება **14.50** მხ. ფილმი "ცუდი კომპანია" **17.00** მუსიკა **17.55** მულტფილმი **18.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **18.55** მუსიკა **19.15** "წკიპურტები" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.05** ვესტერნი "უკანასკნელი გარიყული" **22.35** "გადარჩენილი სიტყვა" **23.15** "ექსკლუზივი" **00.00** საინფორმაციო დაიჯესტი **00.25** კომედია "ადაპტაცია"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости **09.20, 21.30** Сериал **"ГИБЕЛЬ ИМПЕРИИ". 10.30, 18.40** Сериал **"КЛОН". 11.30** Дисней-клуб: "Утиные истории". **12.20** Евгений Матвеев в фильме **"СУДЬБА". 1**-я с. **14.10** "Ералаш". **14.30** "Угадай мелодию" **15.20** Многосерийный фильм **"ПО ТУ СТОРОНУ ВОЛКОВ". 16.20** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. "Бриллианты для мафии". **19.50** Сериал **"НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ".** Заключительная с. **21.00** Время. **22.40** "Человек и закон" **23.30** Ночное "Время". **23.50** Тайная история искусства. "Фальшивые шедевры". **00.30** "Формула власти". Президент Намибии. **01.00** Роберт Де Ниро в бовике **"ФАНАТ".** Будучи сыном бейсболиста, Гил Ренар с самого детства был одержим страстной любовью к этой игре. Он всегда болел за команду "Гигантов". В результате вся жизнь пошла прахом: остался только фанатизм болельщика. Его любимый игрок Бобби Рэйберн переходит в "Гиганты", но играет очень плохо. Неудача следует на неудачей. А все из-за того, что у него поменялся любимый номер. И тогда Гил решает помочь своему кумиру. **03.10** Сара Полли в триллере **"МОНСТР".** Нью-Йоркская тележурналистка Беатрис отправляется в Исландию, чтобы найти своего жениха-оператора, не вернувшегося из служебной командировки. Страшного открытия, которое делает Беатрис, прибыв на место, никто не ожидал. Вместо возлюбленного, девушка обнаруживает логово настоящего монстра, наводящего ужас на всю округу. Сам хозяин - странное, злобное чудо-юдо, привыкшее убивать и пребывающее в глубокой депрессии. Беатрис уверена, что ее ждет жестокая смерть. Но монстр поступает неожиданно...

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.15** Тайны разведки. **10.50** Сериал **"КОСВЕННЫЕ УЛИКИ". 11.55** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 13.35** Чистосердечное признание. **14.05** Худ. фильм **"ГОСУДАРСТВЕННАЯ ГРАНИЦА".** Фильм 6-й. **"ЗА ПОРОГОМ ПОБЕДЫ". 1**-я с. **15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 20.45** Сериал **"КОСВЕННЫЕ УЛИКИ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** "К барьеру!" Ток-шоу **00.15** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 01.20** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ". 02.25** Бильярд. **03.10** Сериал **"ФИЛАДЕЛЬФИЯ".. 04.15** Сериал **"ПЕРВЫЙ ПОНЕДЕЛЬНИК". 05.05** Сериал **"ТАРЗАН". 05.50** Чрезвычайное происшествие.

# საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

**სახელმწიფოს მიერ უძრავ ძეგლებსა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტებზე მუდმივი მზრუნველობის, მოვლა-პატრონობისა და დაცვითი მექანიზმების ეფექტურად ამოქმედების, მათი სახელმწიფო რეესტრში შეტანის მიზნით**

## ა ც ხ ა დ ე ბ ს  კ ო ნ კ უ რ ს ს

**უძრავ ძეგლთა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტთა ინვენტარიზაციისათვის მათი სახელმწიფო რეესტრში შესატანად**

**კონკურსი ითვალისწინებს:**

ქალაქების: თბილისის, თელავის, სიღნაღის, ასევე თელავისა და სიღნაღის რაიონის კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშთა (უძრავი ძეგლებისა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტთა) იდენტიფიკაციის, ტოპოგრაფიულ რუკაზე დატანისა და თითოეულ მათგანზე უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათის მომზადების უზრუნველყოფას.

**ჩასატარებელი სამუშაო**

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის Mინისტრის ბრძანებით, დამტკიცებულ ძეგლთა სიის საფუძველზე ჩასატარებელია აღნიშნულ ქალაქებსა და მითითებულ რაიონებში მდგარ ობიექტთა ინვენტარიზაცია. კერძოდ: ფოტოფიქსაცია, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული დახასიათება, ფენათა განშრევა, დათარიღება, სხვა ფაქტობრივი მონაცემები.

**ობიექტთა რაოდენობა:**

**თბილისი - 700 ერთეული**
**თელავი და თელავის რაიონი - 160 ერთეული**
**სიღნაღი და სიღნაღის რაიონი - 160 ერთეული**

შენიშვნა: საველე მუშაობის დროს შესაძლებელია ღირებულების მქონე, სიაში არ შესული ობიექტების გამოჩენა.

**კონკურსებში მონაწილეობის წესი**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პროფესიონალ ხელოვნებათმცოდნეს, არქიტექტორს, ან სპეციალისტთა ჯგუფს, რომელსაც გააჩნია კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მოღვაწეობის სათანადო გამოცდილება და მუშაობის შესაბამისი უნარ-ჩვევები.

**განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:**

- განაცხადი სამინისტროს მიერ შემუშავებული ფორმის მიხედვით:
- ინფორმაცია განმცხადებლ(ებ)ის კვალიფიკაციის შესახებ (ბიოგრაფიული მონაცემები და პროფესიული გამოცდილება)
- სამუშაოს საბოლოო სახის წარმოსადგენად სამინისტროდან გაცემული ნიმუშის მიხედვით შევსებული რამდენიმე სააღრიცხვო ბარათი.

კონკურსში გამარჯვებულის შერჩევა მოხდება კონკურსანტ(ებ)ის გამოცდილების, განსახილველად წინასწარ წარმოდგენილი სააღრიცხვო ბარათის ხარისხის, საველე სამუშაოსთვის შემოთავაზებული დროისა და მოთხოვნილი თანხის გათვალისწინებით.

თბილისში, თელავსა და სიღნაღში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშთა ინვენტარიზაციისათვის კონკურსით გათვალისწინებული ბიუჯეტი განსაზღვრულია 24 950 ლარამდე.

**განაცხადების მიღება წარმოებს კონკურსის პირობების გამოცხადებიდან 15 დღის განმავლობაში.**
**საკონკურსო კომისია განაცხადს განიხილავს განაცხადის მიღებიდან 5 დღის ვადაში.**

**განაცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე გარდა ორშაბათისა, 11-დან-15 საათამდე.**

**განაცხადი მიიღება შემდეგ მისამართზე:**
თბილისი, სანაპიროს ქ. N4,
საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი, ოთახი 404

**ინფორმაციისათვის დარეკეთ: 98-74-20 ან 99 91 96**



## სწავლა დიდ ბრიტანეთში

ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერთიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო შპს **"ი ელ ელ"**-ი (**ELL. Ltd**) გთავაზობთ სწავლას დიდ ბრიტანეთში.

**ენის სასწავლო პროგრამები:**
- ინგლისური ენა - ზოგადი, ინტენსიური და საგამოცდო, 2 - 48 კვირა.
- ინგლისური ენა და დასვენება -საზაფხულო სკოლებში, 2 - 10 კვირა.
- ინგლისური ენის მასწავლებელთა სტაჟირება 2 - 4 კვირა.

**წინა საუნივერსიტეტო მოსამზადებელი პროგრამები:**
- **A-level** 1-დან 2 წლამდე. 16 წლიდან.
- **Foundation** 1 წლით 17 წლიდან (სკოლადამთავრებულთათვის).
- **Pre - MBA** 3 - 6 თვე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
ქ. თბილისი ი. ჭავჭავაძის N74, მე-5 სართული; ოთახი 503;
ტელ: 22-59-57, 29-91-78 მობ: 899 50-40-12
**E-mail: n_makatsaria@yahoo.com**








# "ნატალი" შვეიცარიასა და ამერიკაში

## ქართული სამოდელო სააგენტოს მოდელების წარმატებული ზამთარი


თაკო ჩხეიძე და ვივიენ ვესტვუდი


ნინო ცქიტიშვილი "ესკადას" ჩვენებაზე

ია ვეკუა

ხანგრძლივი პაუზების რეჟიმში ჩატვირთული ქართული სამოდელო ბიზნესი მაინც აგრძელებს არსებობას და ზოგჯერ დიდი "კუშის" მოხსნასაც ახერხებს. ამ მხრივ ყველაზე წარმატებულია სააგენტო "ნატალი", რომელიც პროფესიონალურ გამოცდილებას უმეტესად პრაქტიკაშიც ახორციელებს.

მეუღლის საქმიანობის გამო შვეიცარიაში "გადახვეწილი" თაკო ჩხეიძე ადგილობრივი "სევენმოდელსისა" და ფრანგული "კლიკის" წამყვანი სახეა. ხშირად მონაწილეობს ცნობილი სახლების ჩვენებასა და ფოტოგადაღებებში. 9 თებერვალს პარიზის ერთ-ერთ პრესტიჟულ დარბაზში გამართულ საღამოზე თაკო ჩხეიძე საათების ფირმა "ზენიტის" წლევანდელი სახე გახდა, რასაც ადგილობრივი პრესა დიდი ინტერესით გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ეს 23 წლის ქართველი მოდელის დიდი აღიარებაა.

მორიგი წარმატება თაკო ჩხეიძეს ცოტა ხნის წინ ჰქონდა. მან მსოფლიო მოდის ინდუსტრიაში ყველაზე სკანდალური და პანკური მოდის ფუძემდებლის ვივიენ ვესტვუდის კოლექციის ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა. "ამ ჩვენებამდე რამდენიმე დღით ადრე გაიმართა გრანდიოზული კასტინგი. ძალიან ვნერვიულობდი, რადგან მასში საუკეთესო მოდელები მონაწილეობდნენ. გამიმართლა და ჩვენებისთვის შემარჩიეს", - აღნიშნა თაკო ჩხეიძემ.

ვიდრე თაკო ჩხეიძე ჟენევის პოდიუმზე სეირნობდა, მისი კოლეგა, "ნატალის" კიდევ ერთი "სტაჟიანი" წევრი ნინო ცქიტიშვილი ნიუ იორკს იპყრობდა. ნინოს ძმა, ნიკა ცქიტიშვილი NBA-ში თამაშობს. მასთან ერთად ცხოვრობს დედაც, რომელიც "ესკადას" დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა, ამიტომ ამ სახლის მორიგი ჩვენების მოსაწვევი გაუგზავნეს. მან კი "ესკადას" წარმომადგენლებს საკუთარი ქალიშვილის ფოტოები შესთავაზა. ნინო ცქიტიშვილით "ესკადას" საერთაშორისო ქსელის დირექტორი სიმონ ბონეტი დაინტერესდა და ჩვენებაში მონაწილეობა შესთავაზა.

"ესკადას" ჩვენება ნიუ იორკის ერთ-ერთ სავაჭრო ცენტში გაიმართა, სადაც მხოლოდ ცნობილი სახლების პროდუქცია იყიდება. ნინომ ამ ცნობილი სახლის ორი კაბა წარმოადგინა. უახლოეს მომავალში ნინო ცქიტიშვილი ლოს ანჯელესის ან სან ფრანცისკოს სააგენტოდან მიწვევას ელოდება.

# გალერეა AGORA-მ ქართველი მხატვარი მიიწვია

ია ვეკუა

თვითნასწავლმა მხატვარმა ირაკლი ავალიშვილმა ცოტა ხნის წინ მნიშვნელოვანი მიწვევა მიიღო ნიუ იორკის პრესტიჟულ გალერეა AGORA-დან. მხატვრისა და ამ საგამოფენო დარბაზის ურთიერთობა კონკია, ზღაპრის მსგავსი სიუჟეტით დაიწყო. ავალიშვილმა გალერეას მცირე ბუკლეტი გაუგზავნა, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მომავალ გამოფენასთან დაკავშირებით მოლაპარაკება დაწყებულიყო.

უკვე მოგვარებულია ყველა დეტალი, შერჩეულია ამერიკაში გასაგზავნი ნამუშევრებიც, თუმცა პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მხატვარს გალერეის დარბაზის რამდენიმე კვადრატულმეტრიანი ფართობის დასაქირავებელი თანხა არ აქვს. გადასახდელი თანხის მინიმალური რაოდენობა 2 800, ხოლო მაქსიმალური 9 200 აშშ დოლარია (თანხა დასაქირავებელი ფართის მიხედვით იცვლება). მხატვარმა დახმარებისთვის უკვე მიმართა რამდენიმე ქართულ ბანკს, მაგრამ უშედეგოდ.

იმ შემთხვევაში, თუ ეს საკითხი გადაიჭრება, ირაკლი ავალიშვილს საშუალება მიეცემა, საკუთარი ნამუშევრები თითქმის ერთი წლის განმავლობაში გამოფინოს და ნიუ იორკელ აუდიტორიას თანამედროვე ქართული ფერწერის ნიმუშები შესთავაზოს. ამ ცნობილ გალერეაში ადრე მხოლოდ ორი ქართველი მხატვრის - რამაზ რაზმაძისა და ილია ზაუტაშვილის ნამუშევრები გამოფენილა.

ირაკლი ავალიშვილი პროფესიით ბიოფიზიკოსია, თუმცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტიც დაამთავრა. უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში 10-მდე გამოფენა გამართა. აღსანიშნავია, რომ იგი აფხაზეთის ომის მონაწილეა, სადაც მეუღლესთან და ხუთ შვილთან ერთად იმყოფებოდა (მეექვსე შვილი ომის დამთავრების შემდეგ შეეძინათ).

ირაკლი ავალიშვილის მხატვრობა უკვე აღიარეს თანამედროვე ფერწერის საუკეთესო ნიმუშად. როგორც ხელოვნებათმცოდნეები აღნიშნავენ, ასეთი დონის ფერმწერი ირაკლი ფარჯიანის შემდეგ ქართულ მხატვრობაში ძალიან ცოტა იყო. ავალიშვილს სამშობლოს გარეთ გამოფენა არასდროს გაუმართავს, თუმცა მისი ნამუშევრები ინახება შვეიცარიის, ინგლისის, აშშ-სა და ავსტრალიის კერძო კოლექციებში.

ხელოვნების გალერეა "აგორა" 1984 წელს დაარსდა. მისი საქმიანობის სფერო ადგილობრივი და უცხოელი თანამედროვე მხატვრების ხელოვნების პოპულარიზაციაა. გალერეა არა მხოლოდ ამერიკაში, არამედ მსოფლიოშიც ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევა და ცალკეული მხატვრების გარდა, ხელოვნებათმცოდნეებსა და კრიტიკოსებსაც აერთიანებს.





## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.